

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

ზაზა ბერიძე

თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების
ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში

სპეციალობა: ისტორია

წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი,
პროფესორი ემზარ მაკარაძე

ბათუმი - 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზაზა ბერიძე

13.11.2019

შინაარსი

შესავალი-----	5
თავი I. თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დიპლომატიური თანამშრომლობის ისტორია-----	17
1.1 თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა-----	17
თავი II. სამხრეთ კავკასია, თურქეთი და ბიპოლარული მსოფლიო-----	25
2.1 თურქეთი და სამხრეთ კავკასია აშშ-სთან ურთიერთობის პრიზმაში-----	25
2.2 თურქეთის გეოსტრატეგიული მიზნები ამიერკავკასიაში და რუსეთის ფაქტორი-----	30
2.3 თურქეთისა და ირანის პოლიტიკური ინტერესების თანხვედრა და შეჯახება სამხრეთ კავკასიაში-----	41
თავი III. თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში	
3.1 თურქეთ-საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ-----	48
3.2 თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური პარტნიორობა-----	58
თავი IV. თურქეთის ურთიერთობა სომხეთთან-----	62
4.1 თურქეთ-სომხეთის ურთიერთობა საუკუნეთა მიჯნაზე-----	62
4.2 თურქეთისა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივები და მისი გავლენა რეგიონზე-----	67
თავი V. თურქეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური კავშირები და სტრატეგიული მიზნები-----	77
5.1 აზერბაიჯანი თურქეთის სტრატეგიული პარტნიორი-----	77
5.2 მთიანი ყარაბაღის პრობლემა, როგორც თურქეთ - აზერბაიჯანის ურთიერთობის განმსაზღვრელი ფაქტორი-----	84

თავი VI. თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობის მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის-----	90
6.1 კავკასიური სამკუთხედი: თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანი-----	90
6.2 ენერგოპროექტები და მისი გავლენა თურქეთზე და სამხრეთ კავკასიის რეგიონზე-----	98
დასკვნა -----	110
ბიბლიოგრაფია და წყაროები -----	117

შესავალი

საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა: თურქეთის საგარეო პოლიტიკის შესწავლა საქართველოს და სამხრეთ კავკასიის უახლესი ისტორიის უაღრესად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც „ცივი ომის“ დასრულებამ სათავე დაუდო ახალ მოვლენებს და პირველ რიგში სხვადასხვა სამხედრო პოლიტიკურ-კავშირებში გაერთიანებული სახელმწიფოების გადაჯგუფების პროცესს, ახალი სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, რამაც კიდევ ერთხელ შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, გაჩნდა ახალი პრობლემები, ახალი მიდგომები და შესაბამისად, ბევრი ადრინდელი პრობლემის ახლებური წარმოჩენის და დანახვის ობიექტური აუცილებლობა.

თემის აქტუალობას უფრო მეტად ზრდის რეგიონში დღეს არსებული მდგომარეობა (ყარაბაღის პრობლემა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემა, სომხეთსა და თურქეთს შორის არსებული დამაბულობა, რუსეთის ფაქტორი კავკასიაში და სხვ.). ამ ფონზე მნიშვნელოვანია თურქეთის პოლიტიკური კურსი და მისი დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი. ის, თუ როგორ ცდილობს თურქეთი, რომელმაც XX საუკუნის 90-იანი წლებში ერთ-ერთმა პირველმა აღიარა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა, რეგიონში ლიდერის როლის მოპოვებას.

სადოქტორო დისერტაციაში გაშუქებული იქნება თურქეთის ისტორიის XX საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთი უაღრესად აქტუალური საკითხი თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები აღნიშნულ პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პრობლემას არაერთი სტატია მიეძღვნა, თემა მაინც საჭიროებს ძირფესვიან შესწავლას. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საკითხი საინტერესოა და დისერტაბელურია. მით უფრო იმ ფონზე, როცა თურქეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორად ნეო-ოსმანიზმი იქცა,

რომლის მიმდევარნიც 90-იანი წლების თურქეთის პოლიტიკურ ელიტაშიც მრავლად იყვნენ.

აღნიშნული საკითხის კვლევას, ქართველმა აღმოსავლეთმცოდნეებმა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს, სადაც ცალ-ცალკე განხილულია თურქეთის ურთიერთობა სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან. ერთიან კონტექსტში კი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან თურქეთის ურთიერთობის კვლევა, სადაც ერთიანობაში განხილული იქნებოდა „თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან XX საუკუნის 90-იან წლებში“ არ არის წარმოდგენილი. მათი ერთობლივი განხილვა მოგვცემს საშუალებას განვაზოგადოთ პრობლემა და გავაკეთოთ უფრო სრულყოფილი და ამომწურავი დასკვნები.

სადისერტაციო ნაშრომში, ჩვენ შევვხებით თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ურთიერთობებს XX საუკუნის 90-იან წლებში, ასევე განვიხილავთ სამხრეთ კავკასიას, როგორც ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანს და შევაფასებთ თურქეთის პოლიტიკურ როლს სამხრეთ კავკასიური დერეფნის განვითარებასა და უსაფრთხოებაში, რომელიც ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, სამეცნიერო კვლევა კი უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს აღნიშნული საკითხის შესწავლაში.

სადისერტაციო ნაშრომში, შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ ის პოლიტიკური რეალობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თურქეთსა და ახლად ჩამოყალიბებულ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. აქვე საფუძვლიანად არის განხილული თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები და საქართველოს როლი თურქეთის სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში.

კვლევის მიზანი: სადისერტაციო ნაშრომში მიზნად დავისახეთ, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, ისტორიული ლიტერატურისა და წყაროების დღემდე უცნობი მასალების ობიექტური ანალიზი და

ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავხსენით თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში.

XX საუკუნის 90-იანი წლები მნიშვნელოვანი პერიოდია თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლდათ, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლიდერის როლის მოპოვება და თავისი გავლენის გაზრდა. შესაბამისად ჩვენს მიზანს წარმოადგენს თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობების პრობლემების განხილვა, გატარებული ღონისძიებების და არსებული გამოწვევების შესწავლა.

თუმცა, ვიდრე ამ საკითხებს შევეხებით, ნაწილობრივ მიმოვიხილავთ იმ პოლიტიკურ პროცესებს, რამაც დააჩქარა თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის წარმოშობა. პირველ რიგში თურქეთის სტრატეგიულ მიზნებს კავკასიის რეგიონში.

XX საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რეგიონის სამმა სახელმწიფომ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) მოიპოვა დამოუკიდებლობა. თურქეთმა ახალი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის თანახმად, დაუყონებლივ აღიარა მათი დამოუკიდებლობა, რითაც ღიად დაუჭირა მხარი დასავლეთის, კერძოდ აშშ-ის ინტერესებს რეგიონში და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულების ე.წ. „გაფართოების კონცეფციას“. ამასთანავე, აუცილებელია ხაზი გაესვას, იმ გარემოებასაც, რომ უკანასკნელის მიერ ხსენებული ქვეყნების სუვერენიტეტის აღიარების პროცესში ადგილი არ ჰქონია არავითარ დისკრიმინაციულ პოლიტიკას, თვით სომხეთთან მიმართებაშიც კი.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში, ხელოვნურად თუ ბუნებრივად წარმოიშვა კონფლიქტის მრავალი კერა, რის გამოც აღნიშნული რეგიონი არასტაბილურ ვითარებაში ჩავარდა. თურქეთის მიერ დღის წესრიგში დადგა რეგიონალური ინტეგრაციისა და თანამშრო-

მლობისკენ მიმართული მრავალი ინიციატივა, რამაც სამხრეთ კავკასიის ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოებს, საერთაშორისო კავშირებში ჩართვას შეუწყო ხელი.

სამხრეთ კავკასიის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია 1993 წლის აგვისტოში, რუსეთის ფედერაციაში ახალი მილიტარისტული დოქტრინისა და ე.წ. „ახლო საზღვარგარეთის“ კონცეფციის გამოცხადების ფაქტმა, რომელმაც პრაქტიკულად გამოაღვიძა დასავლეთი. ევროპული გეოპოლიტიკური ინსტიტუტების წარმომადგენლები 1994 წელს დადგნენ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (Partnership for Peace)¹ კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობის წინაშე. ამას კი, სამხრეთ კავკასიის რეგიონში აღმოცენებული კონფლიქტების (სამაჩაბლო, აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი) ერთიან, საშიშ კერაში გაერთიანება მოჰყვა, რის შემდეგაც თანამედროვე ევროპა დადგა მათი დარეგულირების აუცილებლობის წინაშე.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი მოექცა დიდი ქვეყნებისა თუ კავშირების ინტერესთა სფეროში (რუსეთი, თურქეთი, ირანი, ევროკავშირი, აშშ), რაც, სამხრეთ კავკასიას უაღრესად დიდი რისკის ქვეშ აყენებდა. ასეთ ფონზე, თურქეთის მიზანი იყო აღნიშნულ რეგიონში განვითარებისა და უსაფრთხოების დაცვა, რაც გაზრდიდა მის პოლიტიკურ როლს რეგიონში.

კვლევის მეთოდები: დისერტაცია ეხება თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთობას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან XX საუკუნის 90-იან წლებში და თურქეთის გავლენის ზრდას რეგიონში პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური მიმართულებით. ეს კი იმდენად ფართო და ამავდროულად, რთული საკითხია, რომ უდაოდ მოითხოვს სერიოზულ სამეცნიერო კვლევას სხვადასხვა დისციპლინის მხრიდან, როგორებიცაა: პოლიტოლოგია, კონფლიქტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, ისტორია

¹ პარტნიორობა მშვიდობისთვის (ინგლ. Partnership for Peace, შემოკლ. PFP) - ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ორგანიზაციის (ნატო) პროექტი, რომელის მიზანი, ნატოსა და ევროპის სხვა ქვეყნებს შორის ნდობისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებაა. შეიქმნა 1994 წელს.

და ა.შ.. ჩვენი ნაშრომი ემყარება კვლევის შერეულ (როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ) მეთოდებს. გარდა ლიტერატურის ანალიზისა, გამოყენებულია კვლევის სტატისტიკური, შედარებითი და ისტორიული ანალიზის პროგნოზირების მეთოდები.

საერთაშორისო ურთიერთობების თავისებურებათა ანალიზი, სამხრეთ კავკასიის სტაბილურობაზე და მათი გავლენის შეფასება, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სამივე რესპუბლიკაში (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ლოგიკა თურქეთთან მიმართებაში და განვახორციელოთ ერთგვარი შედარებები მთელი რეგიონის ქრილში.

მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა:

„თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში“, ჩვენს მიერ იქნა შესწავლილი და საფუძვლიანად გაანალიზებული.

კვლევის პროცესში, გავაკეთეთ თურქეთის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან შედარებითი ანალიზი, რამაც თურქეთი, აღნიშნულ რეგიონში ერთ-ერთ წამყვან ქვეყანად წარმოაჩინა.

მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულებაც, რომელიც დახმარებას გაუწევს აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ ისტორიკოსებს, აღმოსავლეთმცოდნეებს და სამეცნიერო წრეების სხვა წარმომადგენლებს.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ისტორიული პროცესის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდება. ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ლიტერატურის მიმოხილვა:

ქართულ სამეცნიერო კვლევებში, ჯერჯერობით არ მოიპოვება ისეთი მონოგრაფიული ნაშრომები, რომელიც კომპლექსურად გააშუქებს სადოქტორო თემის საკვლევ საკითხებს. მიუხედავად ამისა, არის ისტორიული ხასიათის სამეცნიერო

ლიტერატურა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული საკითხების კვლევისას სწორი მეთოდოლოგიური მიდგომის შემუშავებისა და მასალის სისტემიზაციისთვის.

დისერტაციაზე მუშაობისას გამოვიყენეთ დოკუმენტები და წყაროები: „ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ“; „დეკლარაცია საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და სოლიდარობის შესახებ“; „შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის მთავრობას შორის სამხედრო წვრთვნისა და ტექნიკის სფეროში“; „შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“.

თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემების შესწავლის პირველწყაროს წარმოადგენს ცნობილი თურქი მეცნიერების გამოკვლევები. აღნიშვნის ღირსია ალი დაიოდლუს, ბასქინ ორანის, ფუნდა ქესქინ ათას, ილჰან უზგელის, ყუდრეთ ოზესაის და სხვათა შრომებისაგან შემდგარი კრებული „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1980-2001 წლებში“, ნაწილი II, 2010 წელი. სადაც საფუძვლიანადაა გაანალიზებული აღნიშნული პერიოდის თურქეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში. მოცემულია ცალკეულ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები და წარმოდგენილია მათი გარკვეული ანალიზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული შრომები საფუძვლიანად არ არის შესწავლილი და გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

აღნიშვნის ღირსია, თურქეთის რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, პროფესორ აჰმედ დავუთოდლუს,² სამეცნიერო ნაშრომი - „სტრატეგიული სიღრმე (Stratejik derinlik) - თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობების

² აჰმედ დავუთოდლუ - თურქი პოლიტიკოსი, ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობებში. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2009-2014 წლებში. თურქეთის პრემიერ-მინისტრი 2014-2016 წლებში.

საკითხები“ (2014 წელი), სადაც ავტორი განსხვავებულად აყალიბებს თურქეთის საგარეო პოლიტიკის კურსს და აზუსტებს, თუ როგორი საგარეო პოლიტიკის გატარება სურს თურქეთს XXI საუკუნეში.

აჰმედ დავუთოღლუ დასძენს, რომ თურქეთი ვერ იქნება რომელიმე ახალი გეოპოლიტიკური სივრცის ნაწილი. თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საიმედოდ უზრუნველსაყოფად აუცილებელია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მეზობელ რეგიონებში - ახლო აღმოსავლეთში, ბალკანეთსა და კავკასიაში. გარდა ამისა, მისი სტრატეგია ითვალისწინებს თურქეთის გავლენის გაზრდას ისლამურ სამყაროში, განსაკუთრებით ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

საინტერესოა თურქოლოგ მაია მანჩხაშვილის მიერ თურქულიდან ნათარგმნი სახელმძღვანელო - „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990 - 2008 წლებში“, სადაც ოცი თურქი მეცნიერის სხვადასხვა შრომაა განხილული, ახსნილია თურქული პოლიტიკის ახალი საფუძვლები და ნაჩვენებია თურქეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანები.

სახელმძღვანელოში განხილულია თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ საინტერესო განმარტებას აკეთებს თურქი მეცნიერი ნასულ უსლუ თავის ნაშრომში „1947 წლიდან დღემდე, თურქეთ - ამერიკის ურთიერთობათა ზოგადი პორტრეტი“, ის აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთის ბლოკის დაშლის შემდეგ შექმნილი გაურკვეველი ატმოსფერო თურქეთის უსაფრთხოების მხრივ შემაშფოთებელი იყო. სპარსეთის ყურის კრიზისი, იუგოსლავიაში ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტი, კავკასიაში სომხეთ - აზერბაიჯანის დაპირისპირება და ჩეჩნეთის ომი, ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის და ზოგადად მთელი კავკასიის არეულობა თურქეთის რესპუბლიკას აიძულებდა დაეწყო უსაფრთხოების ზომების მიღება“. ავტორის აზრით, ასეთ გაურკვეველ და მრავალმხრივად არეულ სიტუაციაში თურქეთს ამერიკის „დახმარებით“,

როგორც აღმოსავლეთ ისე კავკასიის რეგიონში ჟანდარმის როლის თამაში შეეძლო.

გამორჩევით გვინდა აღვნიშნოთ პოლონური წარმოშობის - ამერიკელი პოლიტოლოგისა და სახელმწიფო მოღვაწის ზბიგნევ ბჟეზინსკის წიგნი „The Grand Chessboard“ (New York 1997) (დიდი საჭადრაკო დაფა). აღნიშნულ ნაშრომში ბჟეზინსკის ძალიან კარგად აქვს ნაჩვენები თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკური როლი ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიის რეგიონში. თურქეთი აღნიშნულ რეგიონში ითვლება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცენტრად, რადგან იგი ასტაბილიზებს შავი ზღვის რეგიონს, აკონტროლებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს და აწონასწორებს რუსეთს სამხრეთ კავკასიაში.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ თანამედროვე თურქი პოლიტოლოგებისა და მეცნიერების უკანასკნელ 10-15 წლის მანძილზე გამოქვეყნებული მონოგრაფიები და გამოკვლევები თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაზე. აღნიშნულ ნაშრომებიდან უპირველესად გვინდა გამოვყოთ ბ. თანორის ქ. ბორტავის და ს. აქშინის ნაშრომი „დღევანდელი თურქეთი 1980-2003“ (Bugünk Türkiye 1980-2003), რომელშიც ავტორებს დაწვრილებით აქვთ აღწერილი თანამედროვე თურქეთის ისტორიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1980 წლიდან 2003 წლამდე.

თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის აქტუალურ პრობლემებს ეხება რ.ოლსონის ნაშრომი „Türkiye'nin Suriye, Israel ve Rusya ile ilişkileri - 1979-2001“ (თურქეთის ურთიერთობა სირიასთან, ისრაელთან და რუსეთთან), სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენთვის მნიშვნელოვან თურქეთ - რუსეთის ურთიერთობას სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა ბასქინ ორანის ნაშრომი „თურქეთის საგარეო პოლიტიკა“ (Türk Dış Politikası), სადაც ავტორი თამამად ამტკიცებს, რომ სამხრეთ კავკასიას მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული ადგილი

უჭირავს რეგიონში და ამ მიმართულებით ეთანხმება თურქეთის რესპუბლიკის საგარეო კურსს, რაც ძირითადად გამოიხატება ანკარის ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერით აზერბაიჯანსა და საქართველოს მიმართებაში.

ყურადსაღებია პროფესორ ა. ბაჩის ნაშრომი „თურქეთის საგარეო პოლიტიკა“ (Türk Dış Politikası), სადაც ავტორი საუბრობს ანკარის მნიშვნელობაზე რეგიონალურ პოლიტიკაში და ყურადღებას ამახვილებს თურქეთის მნიშვნელოვან როლზე მეზობელი ქვეყნების განვითარებასა და უსაფრთხოებაში.

პროფესორი ჰ. თაშდემირი, თავის ნაშრომში, „კავკასიის უსაფრთხოების საკითხები“ (Kafkasya'daki Güvenlik Sorunları), პირველ რიგში ეხება საქართველო-თურქეთის უსაფრთხოების საკითხებს და დასძენს, თუ რა როლს ასრულებს თანამედროვე ეტაპზე თურქეთის რესპუბლიკა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების პრობლემებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ქართველი მეცნიერების გამოკვლევები. უპირველესად, გვინდა ავღნიშნოთ, პროფესორ მიხეილ სვანიძის ნაშრომი „თურქეთის ისტორია“ (1299-2000). სადაც საფუძვლიანად არის წარმოდგენილი როგორც ძველი, ისე თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკის საკითხები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში.

აღნიშვნის ღირსია თანამედროვე თურქეთის ისტორიის მკვლევარის პროფესორ ემზარ მაკარაძის სამეცნიერო ნაშრომი „თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები XX საუკუნის 90-იან წლებში“, სადაც მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდის თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემებზე, საუბრობს „თურანიზმის“ საკითხზე და ანკარის საგარეო-პოლიტიკურ კურსზე ყოფილ საბჭოთა მუსლიმურ რესპუბლიკებთან მიმართებაში. ხსენებულ ნაშრომში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს

აგრეთვე, თურქეთ - საქართველოს ურთიერთობებს და ქვეყნებს შორის 1992 წლის 30 ივლისის გაფორმებულ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

აღსანიშნავია აგრეთვე პროფესორ ე.მაკარაძის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო - „თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები“ - სალექციო ჩანაწერები, სადაც ავტორი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თურქეთის საგარეო პოლიტიკას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში.

საინტერესო მონოგრაფიას წარმოადგენს, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ლაშა ხოზრევანიძის ნაშრომი „თურქეთის საგარეო პოლიტიკის ასპექტები“, სადაც ავტორი, მეორე თავში საფუძვლიანად მიმოიხილავს თურქეთის საგარეო პოლიტიკას სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში.

აღნიშვნის ღირსია, პროფესორ რ. გაჩეჩილაძის მონოგრაფია „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“, რომელშიც ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თურქეთის როლს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მონოგრაფიის მეთორმეტე თავი, სადაც ავტორი საუბრობს თურქეთის რესპუბლიკაზე და გვაჩვენებს, თუ როგორ შეძლო ანკარამ გეოპოლიტიკური ლიდერის როლის მორგება.

საინტერესოა პროფესორ გიორგი ჭიღვარიას სადისერტაციო ნაშრომი „თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იან წლებში“, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს თურქეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებს XX საუკუნის 90-იან წლებიდან XXI საუკუნის ათიან წლებამდე. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, როგორც თურქეთის საგარეო პოლიტიკას სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ისე ახლო აღმოსავლეთის წამყვან სახელმწიფოებთან მიმართებაში და აკეთებს დასკვნებს, შეძლებს თუ არა ანკარა მოაგვაროს მის წინაშე მდგარი საგარეო პრობლემები. რაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურობა, სიმშვიდე და დემოკრატიის განვითარება როგორც ახლო აღმოსავლეთის, ისე ხმელთაშუაზღვისპირეთისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

საინტერესო სახელმძღვანელოს წარმოადგენს ავტორთა ჯგუფის (ალასანია გ., გელოვანი ნ., სანიკიძე გ.) მიერ მომზადებული ნაშრომი - „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX-XXI ს-ის დასაწყისში)“ (ალასანია გ., გელოვანი ნ., სანიკიძე გ., 2011). ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე თურქეთს და მის საგარეო პოლიტიკურ კურსს.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე, ისტორიის აკადემიური დოქტორის, ზურაბ ბატიაშვილის წიგნი - „თურქეთის შეიარაღებული ძალები“, სადაც ავტორი მრავალფეროვან წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას თურქეთის შეიარაღებული ძალების შესახებ, აქ დიდი ყურადღება ეთმობა თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობის საკითხებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თურქოლოგ მაია მანჩხაშვილის მონოგრაფია „თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს“, თბილისი, 2014. სადაც ავტორი ეხება XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დამდეგს თურქეთში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებსა და საგარეო პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან მიმართულებებს.

თურქეთის უახლესი ისტორიის საკითხებს საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს ცნობილმა რუსმა მეცნიერებმა: ტ. ატაიოვმა, „აშშ, ნატო და თურქეთი“; გ. სტარჩენკოვმა, „თანამედროვე თურქეთი“; ნ. გ. კირეევმა, „თურქეთის ისტორია - XX საუკუნე“, რომლებშიც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა თურქეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებს სხვადასხვა ეტაპზე.

მიუხედავად ასეთი ინტენსიური კვლევისა, მკვლევარ-ისტორიკოსთა მიერ ჯერ კიდევ არ შექმნილა ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელშიც აღწერილი იქნებოდა თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობა XX საუკუნის 90-იან წლებში.

ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში აღნიშნული საკითხების მეცნიერული კვლევა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ძირითად საკითხების შესწავლაში.

თავი I . თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოკლე

ისტორიული მიმოხილვა

1.1.თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის დიპლომატიური ურთიერთობის

ისტორიის მოკლე მიმოხილვა

შავსა და კასპიის ზღვებს შორის მოქცეული სამხრეთ კავკასიის რეგიონი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა დიდი იმპერიების ცილობის საგანს, რაც განპირობებული იყო რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობით და, შესაბამისად, რეგიონი ამ იმპერიების სასიცოცხლო ინტერესების სფეროში შედიოდა. XVI საუკუნიდან, სამხრეთ კავკასიის მიმართ ინტერესი, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულმა ოსმალეთისა და ირანის იმპერიებმა გამოამჟღავნეს. XVI-XVIII საუკუნეებში სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონტროლისათვის ერთმანეთს ძირითადად სწორედ ეს ორი ძალა ეცილებოდა. მოცემული პერიოდი სამხრეთ კავკასიაში გავლენის მოპოვებისათვის, ირანსა და ოსმალეთს შორის გამუდმებული ბრძოლებით აღინიშნებოდა, რაც გარდამავალი უპირატესობით ხასიათდებოდა.

თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს წინაპარი ოსმალეთის იმპერიისათვის საქართველოსა და საერთოდ სამხრეთ კავკასიაში ბატონობა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიღწევად მიიჩნევა, რადგანაც საქართველოზე კონტროლის მოპოვება კავკასიის სხვა თურქულენოვან და მუსლიმ ხალხებთან შეუფერხებელ დამაკავშირებელ გზად აღიქმება [სვანიძე,2007:57].

XVI საუკუნიდან მოყოლებული, კავკასიისაკენ სულ უფრო მეტად მოიწვედა რუსეთის იმპერია, რომელმაც კავკასიაში გავლენის მოპოვებამდე, მიზნად დაისახა, პლაცდარმის სახით, ყირიმის ნახევარკუნძულის დაპყრობა. 1552 წელს ყაზანის სამეფოს და 1556 წელს ასტრახანის სახანოს დაკავება კავკასიის რეგიონში რუსეთის ისტორიაში ექსპანსიის დასაწყისი იყო. ყაზანისა და ასტრახანის

დაკავებიდან მოკლე პერიოდში რუსეთის საზღვრები უფრო მიუახლოვდა ჩრდილოეთ კავკასიას. რუსეთის მეფე ივანე მრისხანის მიერ ასტრახანის დაპყრობის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის, ირანისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის დავის საგანი გახდა. რეგიონი სტრატეგიულად სასიცოცხლო იყო ვაჭრობისა და სამხედრო თვალსაზრისით. მოსკოვისათვის ჩრდილოეთ კავკასიის კონტროლი სამხრეთისაკენ გასასვლელის მოპოვებას ნიშნავდა. ოსმალეთისათვის კი იგი სამხედრო ბაზა იყო, რომელიც ირანთან ომის შემთხვევაში, საჭირო დახმარებას უზრუნველყოფდა [დუმბაძე,2017:12].

ყაზანისა და ასტრახანის დაპყრობის შემდეგ რუსეთი და ოსმალეთი უშუალო მეზობლები გახდნენ.

XVIII საუკუნიდან ოსმალეთ - სპარსეთის ტანდემს სამხრეთ კავკასიაში შეუერთდა რუსეთის იმპერია. საუკუნის დასაწყისში, სპარსეთის დასუსტებით ისარგებლეს რუსეთმა და ოსმალეთმა და დაიწყეს სპარსეთის მფლობელობაში მყოფი კავკასიის ტერიტორიების ათვისება. რუსეთი კასპიის ზღვისკენ წაიწია და ბაქო დაიკავა. ოსმალეთმა, თავის მხრივ, საქართველოდან სამხრეთის მიმართულებით სამხედრო კამპანია წამოიწყო და განჯა, ქერმანშაჰი, ჰამადანი და თავრიზი დაიპყრო. 1724 წლის 12 ივნისს სტამბოლში ოსმალეთსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ორმა იმპერიამ დასუსტებული სპარსეთის კავკასიური სამფლობელოები გაიყო.³ ამ შეთანხმებით კავკასიაში რუსეთის ყოფნა დაკანონდა, ანუ რეგიონში გავლენის მოპოვებისათვის მებრძოლ იმპერიებს კიდევ ერთი ძლიერი ძალა დაემატა [სურგულაძე,1997:156].

XVIII საუკუნიდან მოყოლებული იმპერიებს შორის დაპირისპირება გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა რუსეთის წარმატებები უფრო აშკარა ხდებოდა.

³ 1724 წლის 12 ივნისს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ოსმალეთმა და რუსეთმა სპარსეთის დიდი ნაწილი გაიყვეს.

1774 წელს ოსმალებმა ყირიმი დაკარგეს, მოგვიანებით კი სტრატეგიული მნიშვნელობის ნახევარკუნძული რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ქუჩუქ-კაინარჯის ზავით⁴ რუსებმა ოსმალეთის ქრისტიანული უმცირესობების დაცვის უფლებაც მოიპოვა. მოგვიანებით კი გავლენისათვის ბრძოლა უფრო აქტიურ ფაზაში შევიდა.

XIX საუკუნე რუსეთ-ოსმალეთის და რუსეთ-ირანის ომებით ხასიათდება. იმპერიებს შორის დაპირისპირებამ დაადასტურა, რომ რუსეთის სწრაფვა რეგიონში ჰეგემონობის მოსაპოვებლად შეუქცევადი ხასიათის იყო, სწორედ ამ პროცესს მოჰყვა ოსმალეთისა და სპარსეთის შეიარაღებული ძალების სამხრეთ კავკასიიდან გაძევება.

რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომის შედეგად და 1828 წლის 10 თებერვლის თურქმანჩაის შეთანხმებით რუსეთის ბატონობა კავკასიაში განმტკიცდა. თურქმანჩაის საზავო შეთანხმებით დადგენილი საზღვრები დღემდე უცვლელია, რომელმაც აზერბაიჯანი ორ ნაწილად გაყო. რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანი, ყარაბაღი, ნახიჩევანი და სომხეთის ნაწილი. რუსეთმა კასპიის ზღვაში ფლოტის განთავსების უფლება და განსაკუთრებული კომერციული პრივილეგიები მიიღო. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთმა, სომხები ირანიდან და ოსმალეთის იმპერიიდან ყარაბაღის ტერიტორიაზე დაასახლა.

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომიც რუსეთის გამარჯვებით დასრულდა, 1829 წლის ადრიანოპოლის შეთანხმებით კი ოსმალეთი იძულებული გახდა რუსეთისათვის სამხრეთ კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო.⁵

⁴ ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება (1774) - რუსეთისა და ოსმალეთს შორის 1774 წლის 21 ივლისს, სოფელ ქუჩუქ-კაინარჯში დადებული ხელშეკრულება, რომლითაც დამთავრდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი. ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების 23-ე მუხლი საქართველოს ეხებოდა. ოსმალეთი „სამუდამოდ“ იღებდა ხელს იმერეთისაგან ხარკის მოთხოვნაზე, საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შევიწროვებაზე.

⁵ ანდრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ოსმალეთმა ცნო რუსეთის გავლენა დასავლეთ საქართველოზე, ასევე ახალციხესა და ახალქალაქზე.

XIX საუკუნის მიწურულისათვის რუსეთმა რეგიონში მეტოქეების დამარცხება დაასრულა. 1877-1878 წლების რუსეთ - თურქეთის ომი იყო ფაქტობრივად უკანასკნელი შეტაკება, რომლითაც რუსეთმა მოიპოვა სრული ჰეგემონობა რეგიონში. 1878 წლის სან-სტეფანოს ზავით რუსეთმა საბოლოოდ გაიმყარა პოზიციები ბალკანეთსა და კავკასიაში [სურგულაძე,1997:158].

1917 წელს 21 თებერვლის (6 მარტი) ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და შემდგომ 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) სოციალისტური რევოლუციის შედეგად დაემხო რუსეთის იმპერია. რუსეთის დროებით გამოთიშვამ საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენებიდან განაპირობა სამხრეთ კავკასიაში ახალი ძალების გამოჩენა. განსაკუთრებით გააქტიურდა გერმანია, რომელმაც სამხრეთ კავკასიაში დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების მხარდაჭერა, რაც პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მარცხის გამო, ამ სახელმწიფოებისათვის სასარგებლო შედეგის გარეშე დასრულდა. ასევე პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის მარცხმა⁶ გაუადვილა რუსეთს ახლადშექმნილი კავკასიის რესპუბლიკების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) კვლავ თავის გავლენის ქვეშ მოქცევა. დახმარების გარეშე დარჩენილი სამხრეთ კავკასიის სუსტი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები საბჭოთა ხელისუფლების მსხვერპლნი გახდნენ.

პირველი მსოფლიო ომის მიწურულს, რუსეთის მხარდაჭერით, სომხები თურქეთისგან ისტორიული სომხეთის ტერიტორიების დაბრუნებას მოითხოვდნენ, რასაც ანკარის მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. 1920 წლის გაზაფხულზე სომხებმა მოახერხეს ყარსის, სარიყამიშისა და გიუმრის დაკავება, მაგრამ თურქეთის კონტრდარტყმის შედეგად, იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. 1920 წლის 23 დეკემბრის გიუმრის შეთანხმებით, სომხებმა ის მიწები დატოვეს, რომლებიც მათ 1920 წლის 10 აგვისტოს ოსმალეთის იმპერიასა და

⁶ 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ყურეში ოსმალეთმა ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს, რითაც თავი ცნო დამარცხებულად, მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს გადაეცა სამანდატო ტერიტორიად.

ანტანტას შორის დადებული სევრის შეთანხმებით გადაეცათ, თურქეთმა კი სომხეთს გიუმრი დაუბრუნა [გაჩეჩილაძე,2003:167]. თურქეთს დაუბრუნდა ყარსი და არდაგანი, რუსეთმა კი ბათუმი დაიკავა. 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმია საბოლოოდ ახდენს საქართველოს ანექსიას, რის შედეგადაც ბოლშევიკურმა რუსეთმა სამხრეთ კავკასიის გაწითლება საბოლოოდ დაასრულა.

მუსტაფა ქემალ ათათურქის⁷ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვითარება თურქეთში შეიცვალა, ათათურქის საგარეო პოლიტიკის მიხედვით, ახლად ჩამოყალიბებულ თურქეთის რესპუბლიკას აღმოსავლეთით საიმედო საზღვრები უნდა ჰქონოდა [მაკარაძე,2010:17].

1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში, თურქეთსა და საბჭოთა მთავრობას შორის გაფორმდა მეგობრობის ხელშეკრულება, ხოლო 1921 წლის 13 ოქტომბერს გაფორმდა ყარსის ხელშეკრულება,⁸ რომელიც იმეორებდა 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში, დადებულ შეთანხმებას ტერიტორიების განაწილების თაობაზე. თუმცა, ათათურქსა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის „წყნარი ურთიერთობა“ დიდხანს არ გაგრძელებულა. თურქეთში დაიწყო ანტისაბჭოთა განწყობილების გაძლიერება, რაც საბჭოთა რუსეთის მხრიდან თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორიების შესაძლო ოკუპაციის საფრთხეს უკავშირდებოდა.

მეორე მსოფლიო ომში (1939-1945) თურქეთმა, ისმეთ ინონუს⁹ ხელმძღვანელობით ნეიტრალიტეტის პოლიტიკას გაატარა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა

⁷ მუსტაფა ქემალ ათათურქი თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი 1923-1938 წლებში.

⁸ სამშვიდობო ხელშეკრულება თურქეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მთავრობებს შორის. ხელი მოეწერა ყარსში 1921 წლის 13 ოქტომბერს, ხოლო რატიფიცირებულ იქნა 1922 წლის 11 სექტემბერს ერევანში. შეთანხმებით საქართველოს სსრ-ს ბათუმის ოლქიდან დარჩა მხოლოდ ქალაქი ბათუმი და აჭარა, თურქეთმა მიიღო ართვინის ოკრუგი და არტანის ოკრუგი. სომხეთის სსრ-ს თურქეთმა დაუბრუნა ქალაქი გიუმრი და დაიტოვა ყარსი. ყარსის ხელშეკრულებაში ამიერკავკასიის სახელმწიფოების მონაწილეობის მიუხედავად, ის არ გამოხატავდა ამ სახელმწიფოების ნებას, რადგან თავად ეს ქვეყნები იყო ოკუპირებული საბჭოთა რუსეთის მიერ. საქართველომ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ 1992 წელს აღიარა ყარსის ხელშეკრულება.

⁹ თურქეთის პირველი პრემიერ-მინისტრი 1923-1938 წლებში, თურქეთის პრეზიდენტი 1938-1950 წლებში. თურქეთის პრემიერ-მინისტრი 1961-1965 წლებში.

კავშირმა, ი.ბ.სტალინის ხელმძღვანელობით, თურქეთს ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა ომის ბოლო თვეებში. სსრკ ითხოვდა 1878 წელს რუსეთის იმპერიაში შემავალი ტერიტორიების დაბრუნებას, რომლებიც, საბჭოეთის ხელმძღვანელების აზრით, 1921 წელს უსამართლოდ გადაეცა თურქეთს. ეს ტერიტორიები საქართველოსა და სომხეთს შორის უნდა განაწილებულიყო. ამასთანავე, ითხოვდა ბოსფორის სრუტეში თავისუფალი ნავიგაციის უფლებას და სამხედრო ბაზების განლაგებას შავი ზღვის სრუტეებში.

სსრკ-ისა და თურქეთის რესპუბლიკის ახალი საზღვარი, საბჭოთა მხარის აზრით, უნდა გავლებულიყო ისე, როგორც იყო 1878 წელს, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების არსებობისას.

საბჭოთა ხელისუფლება უკანონოდ წართმეულ ტერიტორიებად მიიჩნევდა ყარსის ოლქს, ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილსა და ყოფილი ერივანის გუბერნიის სურმალინის მაზრას.

თურქეთისადმი სსრკ-ის ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი 1945 წლის 22 ივლისს პოტსდამში დიდი სამეულის კონფერენციის მეექვსე სხდომაზე განიხილეს, სადაც თურქეთმა უარყო საბჭოთა კავშირის ყველა წინადადება და თავისი პოზიციების დაცვას აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დახმარებით შეეცადა [ხოზრევანიძე,2019:37].

საბჭოთა კავშირის ექსპანსიური გეგმები არა მარტო თურქეთს არამედ დასავლეთსაც აღშფოთებდა, რამაც განაპირობა თურქეთის და დასავლეთის სწრაფი სამოკავშირეო ურთიერთობის ჩამოყალიბება. თურქეთმა საბჭოთა აგრესიის შესაჩერებლად დაიწყო აშშ-ის დახმარებების მიღება. 1952 წელს კი თურქეთი ხდება ნატოს¹⁰ სრულუფლებიანი წევრი. რითაც იგი საბჭოთა კავშირის ექსპანსიას წინ აღუდგა.

¹⁰ NATO (ნატო) ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია- სამხედრო პოლიტიკური კავშირი, შეიქმნა 1949 წელს 12 წევრი სახელმწიფოსგან, რომლის პირველი გაფართოება მოხდა 1952 წელს თურქეთისა და საბერძნეთის გაწევრიანებით.

საბჭოთა კავშირისაგან მომავალი საფრთხე, რომელიც თურქეთის ტერიტორიის ექსპანსიას გულისხმობდა იოსებ სტალინის გარდაცვალებამდე არსებობდა. 1953 წლის 30 მაისს, სტალინის გარდაცვალებიდან დაახლოებით თვე-ნახევარში, საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად უარი განაცხადა თურქეთის ტერიტორიულ პრეტენზიებზე.

ამ ფაქტით, თურქეთს საბჭოთა კავშირის მხრიდან რეალური საფრთხე აღარ ჰქონდა, რამაც მას მისცა საშვალეობა ქვეყანაში გაეგრძელებინა იმ დემოკრატიული ღირებულებების გამყარება, რასაც საფუძველი ჩაუყარა მუსტაფა ქემალ ათათურქმა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში, თურქეთი ქემალიზმის პრინციპებზე¹¹ დაყრდნობით ინარჩუნებს დემოკრატიულ ღირებულებებს და ევროპულ კურსს. 1960, 1971, 1980 წლებში მომხდარმა სამხედრო გადატრიალებებმა აჩვენა თურქეთის მტკიცე ნება დარჩენილიყო ამ პრინციპების ერთგული [მაკარაძე,2000:35].

1980-იან წლების მიწურულს ე.წ. „პერესტროიკის“¹² პერიოდში საზღვრების გახსნამ ინტენსიური გახადა თურქეთის ურთიერთობები, ცენტარლური აზიისა და კავკასიის ხალხებთან.

1991 წლის 8 დეკემბერს ოფიციალურად დაიშალა საბჭოთა კავშირი, რის შემდეგაც კავკასიის რეგიონი დადგა ახალი რეალობის წინაშე.

1991 წელს სანამ საბჭოთა კავშირი თვითდაშლას გამოაცხადებდა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა - სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ მოიპოვეს დამოუკიდებლობა. თურქეთის რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი რომელმაც დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან.

¹¹ თურქეთის რესპუბლიკის იდეოლოგიის უმთავრესი ნაწილი, რომლის რეფორმა განახორციელა მუსტაფა ქემალ ათათურქმა. რითაც მოხდა ქვეყნის სრული მოდერნიზაცია. იდეოლოგიას აქვს 6 უმთავრესი პრინციპი: რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, სახალხოვნობა, სეკულარიზმი, ეტატიზმი, რევოლუციონიზმი.

¹² საბჭოთა სისტემის რეფორმირება: სსრკ-ში სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლების და დემოკრატიული არჩევნების შემოტანა, „ცივი ომის“ დასრულება; კომუნისტურ, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიაზე უარის თქმა და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების დევნის შეწყვეტა; ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე და დემოკრატიაზე გადასვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მძიმე ისტორიული გამოცდილებისა, ოსმალეთის იმპერიასთან, (თუ არ ჩავთვლით აზერბაიჯანს) ისტორიულ წარსულს ხელი არ შეუშლია ახალი დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის. სამხრეთ კავკასიის რეგიონი დადგა ახალი შესაძლებლობისა და გამოწვევების წინაშე, რომელიც საჭიროებდა ახალ პოლიტიკურ მოკავშირეებს. თავის მხრივ, რეგიონში ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ შესაძლებლობა მისცა თურქეთის რესპუბლიკას დაეწყო გავლენის სფეროების გაფართოება, მით უფრო იმ ფონზე, როცა ახლადშექმნილ სახელმწიფოთა უმეტესობა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში თურქეთის მონათესავე ერებად აღიქმებოდნენ.

თავი II. სამხრეთ კავკასია, თურქეთი და ბიპოლარული მსოფლიო

2.1 თურქეთი და სამხრეთ კავკასია აშშ-სთან ურთიერთობის პრიზმაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლდათ, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლიდერის როლის მოპოვება და თავისი გავლენის გაზრდა. მას შემდეგ, რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა 1991 წელს მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ანკარამ ქვეყნის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი სწორედ ამ რეგიონისკენ მიმართ, რაც გამოიხატა თურქეთის მიერ ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების აღიარებით. ამით ანკარამ ღიად დაუჭირა მხარი დასავლეთის, კერძოდ აშშ-ს ინტერესებს და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულების ე. წ. „გაფართოების კონცეფციას“ [ჭიღვარია,2014:34].

„ცივი ომის“ დასრულებამდე თურქეთი კარგად ართმევდა თავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დავალებას სსრკ-თან მიმართებით. დაპირისპირების პერიოდში თურქეთი, აშშ-ის დახმარებით წარმატებით ასრულებდა შემაკავებელი პლაცდარმის ფუნქციას და არაფერია გასაკვირი, რომ სამხრეთ კავკასიისა თუ ცენტრალური აზიის ქვეყნების სუვერენიტეტის აღიარებით, პრაქტიკულად გააფართოვეს თავიანთი გეოპოლიტიკური ზეგავლენის სფერო, ხოლო რუსეთს მაქსიმალურად შეუმცირეს მისი გავლენის არეალი როგორც სამხრეთ კავკასიის, ისე ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში. საწყის ეტაპზე, 1991-1994 წწ. ოფიციალური ანკარა ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა შეექმნა მაქსიმალურად ხელსაყრელი ნიადაგი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით. მან საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთანავე დაამყარა მათთან დიპლომატიური ურთიერთობები და ოფიციალური წარმომადგენლობები გახსნა ამ ქვეყნებში [მაკარაძე,2000:57]. აღნიშნული ნაბიჯების შემდეგ, თურქეთის ხელმძღვანელობამ წამოაყენა

რეგიონული ინტეგრაციისა და თანამშრომლობაზე მიმართული მრავალი ინიციატივა, მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო იყო თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ თურგუთ ოზალის (1989-1993) იდეა „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ (BSEC)¹³ ჩამოყალიბების შესახებ.

ამ ორგანიზაციის შექმნის შემდეგ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ თურქეთის ახალი პრეზიდენტის სულეიმან დემირელის (1993-2000) იდეა რეგიონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით „კავკასიის სტაბილურობის პაქტის“¹⁴ განხორციელების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს საკმაო აქტუალობას.

თურქეთის სამხედრო და პოლიტიკური ელიტის მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში გადადგმულ ესოდენ მნიშვნელოვან ნაბიჯებს, წმინდა სავაჭრო-ეკონომიკური შინაარსის ღონისძიებები მოჰყვა, კერძოდ: ავიაკომპანია „თურქეთის ავიახაზებმა“ სტამბოლისა და ანკარის მეშვეობით დააკავშირა თბილისი დასავლეთთან და ევროპულ ქვეყნებთან ამავე დროს თურქეთი აქტიურად შეუდგა სავაჭრო ეკონომიკურ საქმიანობას აღნიშნული რეგიონის ქვეყნებში.

თურქეთის ხელმძღვანელობის შემდგომ ინიციატივას წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და ბალკანეთში „თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს“ (TIKA)¹⁵ დაარსება, რომლის მეშვეობითაც თურქეთმა ფაქტიურად გზა გაუხსნა თავის ბიზნესმენებსა და კერძო სექტორის სხვა წარმომადგენლებს.

¹³ BSEC - შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ინგლ. Black Sea Economic Cooperation, აკრონიმი BSEC – ბისეკი) - შეიქმნა 1992 წლის 25 ივნისს თერთმეტი ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურთა მიერ სტამბოლის სამიტის დეკლარაციისა და ბოსფორის შეთანხმების ხელმოწერით. ორგანიზაციის მიზანი მრავალმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა და წევრ-ქვეყანათა შორის ინტეგრაციისა და ჰარმონიული თანაარსებობის წახალისებაა შავი ზღვის რეგიონში.

¹⁴ კავკასიის უსაფრთხოების და სტაბილურობის პაქტი წარმოადგენს იდეების ერთობლიობას სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების, როგორც პოლიტიკური მოვლენების, ისე პოსტკონფლიქტურ პერიოდში ეკონომიკური რეაბილიტაციის შესახებ.

¹⁵ T I K A - თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო (T I K A) თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის აპარატზე დაქვემდებარებული საერთაშორისო ტექნიკური დახმარების ორგანიზაციაა. თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (T I K A) თბილისის პროგრამის საკოორდინაციო ოფისი 1994 წლიდან საქმიანობს საქართველოში.

დგენლებს პოსტსაბჭოთა სივრცეში მცირე და მსხვილი ინვესტიციების განსახორციელებლად[გრიგალაშვილი,2009:65].

TIKA-ს წარმომადგენლობა ხელს უწყობდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში საბაზროეკონომიკის განვითარებას. ამასთანავე, მან საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური ხასიათის მრავალი პროექტის განხორციელებას (იმერეთის მხარის სოციალ-ეკონომიკური აღორძინება, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ლტოლვილებისათვის ასი საცხოვრებელი სახლის აშენება, ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის ქვეყნებში ძველი ისტორიული ძეგლების აღდგენა და ა.შ.).

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ არსებით გარემოებას, რომ 90-იანი წლების დასაწყისში თურქეთი პრაქტიკულად მარტო აღმოჩნდა ამ რეგიონში, მიტოვებული თავისი ტრადიციული მოკავშირეების აშშ-ის და ევროპის მიერ, რომელთაც იმ დროისათვის ფაქტობრივად არ ჰქონდათ მკაფიოდ განსაზღვრული სამხრეთ კავკასიური პოლიტიკა, რაც უფრო აძნელებდა დასახული ამოცანებისა და მიზნების სრულფასოვან განხორციელებას. საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის ფედერაციის სამხრეთ კავკასიის რეგიონში კვლავ გაააქტიურების ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი სწორედ ეს იყო, რის თვალსაჩინო შედეგი გახდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ (დსთ)¹⁶ შექმნა [[www. nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e](http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e)].

დსთ-ს შექმნით რუსეთს საშუალება მიეცა შეენარჩუნებინა გავლენა პოსტ-საბჭოთა სივრცეზე, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე. რუსეთის ამ გეოპოლიტიკურ ნაბიჯს შედეგად მოჰყვა დასავლეთის გააქტიურება, რათა მათი მხრიდან საჭირო იყო რიგი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. [მაკარაძე, 2010:57]

¹⁶ რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია – სსრ კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება. დაფუძნდა 1991 წ. 8 დეკემბერს ბელორუსიის რესპუბლიკაში. რსფსრ-ისა და უკრაინის რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირთა ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. 1991 წლის 21 დეკემბერი.

საერთოდ დასავლეთმა ალიანსთან ერთად მოკლე დროში გაითავისა, რომ „ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო“ (NAC) აღმოჩნდა არაქმედითუნარიანი აღნიშნულ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ევროპული გეოპოლიტიკური სკოლებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლები 1994 წელს დადგნენ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“¹⁷ (Partnership for Peace) კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობის წინაშე და „ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს შემადგენლობაში“ შემავალმა ქვეყნებმა NATO-სთან ერთად დაიწყეს PFP-ს (Partnership for Peace) „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ხელშეკრულების ხელმოწერის პროცედურა, რომლის მიზანიც ზემოხსენებული რეგიონის რუსეთის სრული გავლენის სფეროდან გამოყვანა იყო. თუმცა რეგიონში აღმოცენებულმა კონფლიქტებმა (სამაჩაბლო, აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი) და სამხრეთ კავკასიის რეგიონის საშიშ კერად წარმოჩენამ - შეაფერხა ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლა. რის შედეგადაც თანამედროვე ევროპა, პირველ რიგში დადგა კონფლიქტების დარეგულირების აუცილებლობის წინაშე [Korkmaz,2007:117]. პარალელურად, თურქეთის ხელისუფლებამ 1994 წლიდან დაიწყო აქტიური მუშაობა აღნიშნულ რეგიონებთან უფრო მეტად დაახლოებისა და დაკავშირებისათვის. ამ მიზნით, მოკლე დროში შემუშავებული იქნა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან არსებული თანამშრომლობის განვითარებისა და გაფართოებისაკენ მიმართული მკვეთრად განსაზღვრული საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების სისტემა, რომელიც თავის მხრივ, ემყარება სამ ძირითად პრინციპს:

1. პოლიტიკური დიალოგის გაფართოება;
2. ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება;

¹⁷ პარტნიორობა მშვიდობისათვის PFP (Partnership for Peace) - ნატოს და მისი პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი პროგრამა, რომელიც მიმართულია ნდობისა და უსაფრთხოების ზომების გამყარებისაკენ. შეიმუშავეს 1994 წელს აშშ-ის ინიციატივით. 1995 წელს საქართველო შეუერთდა ამ პროგრამას.

3. დიალოგი უსაფრთხოების საკითხებში [ხოზრევანიძე,2019:34].

პირველი პრინციპის მიხედვით აღნიშნულ პერიოდში ანკარის მიერ ამ რეგიონთან მიმართებაში წარმოებული საგარეო-პოლიტიკური ვექტორი უმთავრესად ემყარებოდა უმაღლესი დონის ორმხრივი ვიზიტებისა და კონსულტაციების პრინციპს, ხსენებული ვიზიტების ფარგლებში შესაძლებელი გახდა მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბება, რაც გახდა შემდგომში საწინდარი ეკონომიკური და კულტურული კავშირებისა [ხოზრევანიძე,2019:35].

მეორე პრინციპი, რომელსაც ემყარება რეგიონთან მიმართებაში თურქეთის საგარეო-პოლიტიკური ვექტორი, გახლავთ ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება. აღნიშნული მიზნის წარმატებით განსახორციელებლად თურქეთის ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბება სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებთან. დაიდო ხელშეკრულება საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ძალაში 1995 წლის 9 აგვისტოდან შევიდა. და ბოლოს, მესამე მნიშვნელოვანი პრინციპი - ეს არის თანამშრომლობის განვითარება უსაფრთხოების სფეროში [ხოზრევანიძე,2019:35]. მსგავსი ხასიათისა და შინაარსობრივი დატვირთვის სამიტი თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მონაწილეობით გაიმართა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ტრაპიზონში, 2001 წლის 30 აპრილს. დონისძიების ფარგლებში, აღნიშნული ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ ხელმოწერილ იქნა შეთანხმება „აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ [„პოლიტიკა“, 2002,№4-5].

ყველა ზემოთქმული ღონისძიება, ხელს უწყობს რეგიონში უსაფრთხოების სისტემის შექმნას, რომელიც ასევე არსებითად წარმოადგენს არა მარტო თურქეთის, არამედ დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის ინტერესებსაც. თავის მხრივ, სამხრეთ კავკასიის რიგი ქვეყნები (საქართველო და აზერბაიჯანი) კარგად იყენებენ ამ შესაძლებლობას და მაქსიმალურად ცდილობენ თავი დააღწიონ რუსეთის გავლენას.

2.2. თურქეთის გეოსტრატეგიული მიზნები ამიერკავკასიაში და რუსეთის ფაქტორი

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საბჭოთა რუსეთისგან გათავისუფლების შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახდა კავკასიაში დაბრუნებოდა რეგიონალური ლიდერის როლს და მოეხდინა რუსეთის პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენის შესუსტება, რაშიც თურქეთს აშკარად თუ ფარულად დახმარებას უწევდა დასავლეთ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები. რამეთუ ანკარა ამერიკისათვის წარმოადგენდა საიმედო პლაცდარმს, რითაც აშშ კავკასიაში მიმდინარე პროცესებს გააკონტროლებდა და რუსეთის გავლენას შეასუსტებდა არსებულ რეგიონზე[გაჩეჩილაძე, 2003;87].

თავის მხრივ, თურქეთიც სარგებლობდა ამით და ცდილობდა ამერიკის ახლო-აღმოსავლური პოლიტიკა თავისი მიზნების განსახორციელებლად წარემართა. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ ირანისა და რუსეთის ინტერესებს კავკასიაში. თურქეთისათვის ამერიკასთან პარტნიორობა მეტად ხელსაყრელი იქნებოდა[KIZILBUĞA,2013:155-166]. და სწორედ, თურქეთი აშშ-ის დახმარებით ცდილობდა გაემყარებინა პოზიციები რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო არენაზე გამოჩენილი თურქულენოვანი სახელმწიფოები (აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი) მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, თურქეთის მიერ განიხილებოდა, გეოპოლ-

იტყვი არეალის გაფართოების ერთ-ერთ წყაროდ. თურქეთის ელიტაში კვლავ აღდგა აზრი ე.წ. „თურანისა“¹⁸, თურქულენოვანი ხალხების გაერთიანებისა 130 მილიონამდე მოსახლეობით[მაკარაძე,2000:78]. ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოებთან ურთიერთობით ოფიციალური ანკარა ცდილობდა ასე თუ ისე შეექმნა წონასწორობა სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში რუსული ზეგავლენის დასაბალანსებლად.

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ თურქეთმა დასაწყისშივე დემონსტრაციულად გამოამჟღავნა ახალ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისადმი კეთილგანწყობა, იმ იმედით, რომ შეეკავშირებინა ყველა თურქულენოვანი მოსახლეობა ანკარის ეგიდით და თავის კონტროლის ქვეშ მოექცია მთელი მათი რესურსები, რაც გამოიხატებოდა მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებაში და საერთაშორისო პროექტების აქტიურ მხარდაჭერაში, მაგალითად როგორც იყო „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მშენებლობა და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენის მშენებლობა.¹⁹

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა სრულიად ახალ გარემოში აღმოჩნდა, რაც ანკარას საგარეო პოლიტიკის ძირეული გადახედვისკენ უბიძგებდა. დაიწყო ბრძოლა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ჰეგემონობისათვის. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შემდეგ მოსკოვის ხელშეწყობით, სამხრეთ კავკასიის რეგიონში იმთავითვე უამრავი მოუგვარებელი კონფლიქტი წარმოიშვა (აფხაზეთი, სამაჩაბლო და მთიანი ყარაბაღი)[მაკარაძე,2010:65].

თურქეთ - რუსეთის ურთიერთობები, სწორედ ამ სახელმწიფოთა მიმართ კავშირში და არსებულ კონფლიქტთა ჭრილში უნდა იქნას განხილული, რამეთუ

¹⁸ იგივე პანთურანიზმი - არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა თურქეთში, რომელიც მიზნად ისახავს ყველა თურქი ხალხის კულტურულსა და პოლიტიკურ კონსოლიდაციას ერთი, საერთო სახელმწიფოს, შიგნით.

¹⁹ იხ. გვერდთ 23,24

ორივე სახელმწიფო, ოსტატურად იყენებს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებულ კონფლიქტებს, რათა ამით გააძლიეროს თავიანთი პოზიციები აღნიშნულ რეგიონებში.

აღნიშნულ კონფლიქტებში თურქეთი და რუსეთი სხვადასხვა ბანაკებში აღმოჩნდნენ. თუმცა, თურქეთი სტრატეგიული და ეკონომიკური ფაქტორების გამო მოსკოვთან აშკარა დაპირისპირებას მოერიდა. შედეგად ანკარა იძულებული გახდა მოსკოვთან ურთიერთობაში დელიკატური პოლიტიკა გაეტარებინა, რათა ბალანსი დაეცვა კავკასიისა და ცენტრალური აზიის მუსლიმური და ძირითადად თურქულენოვანი ხალხების მიმართ და ამავე დროს, შეეჩერებინა რუსეთის პოლიტიკური მონოპოლიის დაბრუნება რეგიონში [ბიულეტენე,2002: №66 03].

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია გაცილებით სუსტი სახელმწიფო იყო, ვიდრე მისი წინამორბედი, ეს რუსეთს მნიშვნელობას სულაც არ უკარგავდა, რადგან იგი კვლავაც ანგარიშგასაწევი ძალა არის, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ სახელმწიფოთა მიმართ. ვარშავის პაქტის დაშლის მიუხედავად, რუსეთი კიდევ ფლობდა შეიარაღებულ ძალებს, ბირთვულ იარაღსა და უშიშროების საბჭოში მუდმივი ადგილიც ეკავა. ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) იქნა გაერთიანებული, რუსეთი კვლავაც წამყვანი „მოთამაშე“ არის[სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011:486].

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა თურქეთის ხელდასმით და მასში გაერთიანებული იყო თურქეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, იყო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია ბისეკი (Black Sea Economic Cooperation-BSEC). თუმცა, წევრი ქვეყნების განსხვავებული პოზიციის გამო ორგანიზაციამ ვერ მოახერხა ეფექტური განვითარება არა თუ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მიმართულებითაც კი.

მიუხედავად თურქეთის დიდი მცდელობისა, აქტიურობამ მნიშვნელოვან შედეგს ვერ მიაღწია. ბისეკის არაეფექტურობაზე საუბრობენ ქართველი ექსპერტებიც: სოსო ცინცაძე და ირაკლი მენაღარიშვილი ორგანიზაციის შექმნის იდეას დადებითად აფასებენ, თუმცა მას შემდეგ, რაც „ბისეკი“ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, მან მართლაც ვერ გაამართლა მზარდ მოთხოვნებთან დაკავშირებული იმედები. ეს კი, ექსპერტთა აზრით, უპირველეს ყოვლისა, ამ რეგიონში დაგროვილ რთულ პრობლემებს და ძირითადად მწვავე კონფლიქტებს უკავშირდება[**რადიო თავისუფლება,2012:26.05**]. შესაბამისად ბისეკის პროექტმა ვერ უზრუნველყო სამშვიდობო მისიის შესრულება ქვეყნებს შორის, იგი არ იყო აღჭურვილი პრევენციული დიპლომატიისა და რეგიონული განიარაღების მექანიზმებით, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, ბისეკი წევრი-ქვეყნებისათვის ერთადერთი ფორუმი იყო, რომელიც რეგიონალურ ორგანიზაციად მოგვევლინა 1990 იან წლებში [**მაკარაძე,2010:70**].

რუსეთ-თურქეთის პოლიტიკურ ურთიერთობას საფრთხე შეექმნა 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, 1990-1994 წლებში როდესაც მიმდინარეობდა სომხეთ-აზერბაიჯანის სრულმასშტაბიანი ომი. რადგან იგი ერთადერთი ომი იყო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის, რომლის დროსაც ანკარა დადგა საგარეო და შიდა პოლიტიკური ზეწოლის წინაშე. მაშინ, როდესაც თურქეთის საზოგადოებრივი აზრი ცალსახად აზერბაიჯანელებს უჭერდა მხარს [**Yanar,2002:114**].

თურქეთის მთავრობას, სომხეთთან პირდაპირი სამხედრო კონფლიქტის პროვოცირების შიშით, არ შეეძლო აზერბაიჯანისათვის მეტი მხარდაჭერა გაეწია, რადგან შესაძლებელი იყო რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა მწვავე კრიზისში გადაზრდილიყო.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებთან, საწყის ეტაპზე, თურქეთის მჭიდრო სამხედრო პოლიტიკური კავშირების დამყარებას ხელი შეუშალა „დსთ-ს“ შექმნამ. 1992 წლის 15 მაის ტაშკენტში დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრუ-

ლებას მოაწერეს ხელი, რომლის ძალითაც მონაწილე ქვეყნებმა ერთმანეთის დახმარების პირობა დადეს, თუ მათ დსთ-ს არაწევრი ნებისმიერი ქვეყანა შეუტე-
ვდა ან ჩაებმებოდა რაიმე სახის სამხედრო კონფლიქტში.

არსებული შეთანხმებიდან გამომდინარე რუსეთს მიეცა საშუალება განეთავ-
სებინა ჯარები ჯერ სომხეთში (1993 წელი), მოგვიანებით კი საქართველოში (1994
წელი). ასე, რომ თუ თურქეთი სომხეთთან სამხედრო კონფლიქტში აღმოჩნ-
დებოდა, მაშინ ანკარა რუსეთთანაც დაპირისპირებაში ჩაებმებოდა. საქართველოსა
და სომხეთში რუსეთის ჯარის განთავსებით, თურქეთის წინსვლა რეგიონის
ათვისებისკენ შეფერხდა. ფაქტობრივად თურქეთი და რუსეთი სამხედრო
თვალსაზრისით კვლავ დამეზობლდნენ[მაკარაძე,2010:85].

ოპტიმისტური პროგნოზებით, 90-იან წლებში თურქეთს რეგიონული არბი-
ტრის როლიც უნდა შეესრულებინა. თურქეთის ეს ამბიცია მისაღწევად შეუძლე-
ბელი აღმოჩნდა, რადგან მას ამისათვის საკმარისი პოლიტიკური, ეკონომიკური და
სამხედრო რესურსები არ ჰქონდა. ასევე დიდ სირთულეს წარმოადგენდა
რეგიონული კონფლიქტების გაკონტროლება, რადგან რუსეთი მაქსიმალურად
ცდილობდა არ დაეშვა თურქეთის ჩართულობა რეგიონში არსებული კონფლი-
ქტების მოგვარებაში, განსაკუთრებით ყარაბაღში. ყოველივე ამის მიუხედავად
თურქეთმა შეძლო აქტიური მხარდაჭერა გამოეხატა აზერბაიჯანის ტერიტო-
რიული მთლიანობის მიმართ, საერთაშორისო ასპარეზზე.

1992 წლის 28 თებერვალს, თურქეთის აქტიურობით, ევროპაში უსაფრთხოებისა
და თანამშრომლობის ეგიდით გამართულმა შეხვედრამ, საზღვრების შეცვლის
ძალისმიერი მეთოდები გაკიცხა და მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ნაწილად
აღიარა [Davutoglu, 2007: 205-207]. ამას სომხები არ შეუკავებია, რომლებმაც 11 მაისს
მთელი მთიანი ყარაბაღი დაიპყრეს და ანკლავსა და უშუალოდ სომხეთს შორის,
ლაჩინის გავლით, დერეფანი შექმნეს. გარდა ამისა, დაბომბეს ნახიჩევანის დასა-
ვლეთის ნაწილი, რომელიც გეოგრაფიულად აზერბაიჯანს მოწყვეტილია და

თურქეთის ტერიტორიას ესაზღვრება. ამას მოჰყვა თურქეთის სახმელეთო ჯარების ხელმძღვანელის, გენერალ ფისონოლლუს განცხადება, რომ შესაძლო სამხედრო მოქმედებისათვის „ყველა აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაო“ შესრულებული იყო. ამ განცხადების შემდეგ მოსკოვში, დსთ-ს შეიარაღებული ძალების მეთაურმა, მარშალმა შაპოშნიკოვმა განაცხადა, რომ ნებისმიერი სახის ინტერვენცია მესამე ქვეყნის (ამ შემთხვევაში იგულისხმება თურქეთი) მხრიდან, შეიძლება დიდ ომში გადაზრდილიყო. მსგავსი გაფრთხილება გააკეთა რუსეთის ელჩმა ანკარაში ალბერტ ჩერნიშევმაც [ნოვიკოვა,2018:67].

რუსეთის ამ განცხადების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თურქეთის მხრიდან ნებისმიერ სამხედრო ინტერვენცია, რუსეთის მხრიდან საპასუხო ნაბიჯები მოჰყვება.

რუსეთთან მიმართებაში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა (1993-2000) დიპლომატიური ნაბიჯები აირჩია, რამაც შედეგი გამოიღო. 1992 წლის 25-26 მაისს გამართულ საგანგებო შეხვედრაზე ორმა ლიდერმა - სულეიმან დემირელმა და ბორის ელცინმა, გამოაქვეყნეს დეკლარაცია, სადაც გაკიცხული იყო ლაჩინის ოკუპაცია და სომხეთისა და ნახიჩევანის საზღვარზე ბრძოლები, რამაც სომხები აიძულა ორ დღეში შეტევები შეეჩერებინა [Balci, 2017:161 163].

1993 წლის დასაწყისში რუსეთი ერთი შეხედვით თანახმა იყო თურქეთთან ერთად კონფლიქტის გადაწყვეტის გზები ერთობლივად მოეძებნათ, მაგრამ მოგვიანებით რუსეთმა უარყო მსგავსი მიდგომა, რადგან მას სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი არბიტრის როლის შესრულება სურდა. რითაც მოსკოვს, რეგიონზე სრული გავლენის აღდგენას სურდა. თურქეთის ყველა მცდელობა, რაიმე სახით ჩართულიყო რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში, რუსეთის მხრიდან მწვავე წინააღმდეგობად იქცა [Гаджиев,1997:65].

1993 წლის ივლისში, თურქეთმა აზერბაიჯანში, გაეროს სამშვიდობო ძალებში საკუთარი სამხედრო დანაყოფის გაგზავნის წინადადება წამოაყენა, რომელიც სომხეთმა, რუსეთმა და ირანმა უარყვეს, მიუხედავად თურქეთის აქტიური მცდელობისა, მისი როლი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში მინიმალური იყო. თურქეთის დახმარება აზერბაიჯანის მიმართ კვლავ სამხედრო სფეროში თანამშრომლობაში გამოიხატა, რაც კონფლიქტის შემთხვევაში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას არ გულისხმობდა [მანჩხაშვილი, 2014:95].

ჯერ კიდევ, 1993 წლიდან რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში საქართველომაც მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა, ამ დროისათვის საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას ვეღარ აკონტროლებდა. რუსეთის მიერ აფხაზი სეპარატისტების მხარდაჭერისა და ქვეყანაში სამოქალაქო ომის შემდგომი განვითარების ასაცილებლად საქართველოს მთავრობამ, ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო. საქართველომ რამდენიმე თავდაცვით და სამხედრო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც რუსეთს საქართველოსათვის სამხედრო დახმარება უნდა გაეწია.

თუმცა, რეალურად რუსეთის პოლიტიკა საქართველოს დახმარებას არ ითვალისწინებდა და იგი მთლიანად ანტიქართული იყო, რის გამოც ოფიციალურ თბილისში მოსკოვის მიმართ უნდობლობა გაიზარდა. რუსეთის არამეგობრულმა პოლიტიკამ თბილისი აიძულა ანკარასთან დაახლოების გზები მოეძებნა. თუმცა თურქეთთან დაწყებული მჭიდრო დიპლომატიური კავშირების პარალელურად 1994 წლის 3 თებერვალს საქართველომ ხელი მოეწერა რუსეთთან დიდ ჩარჩო ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ [გეგეშიძე, 1998:35]. იმ დროისათვის რუსეთის ძლიერი ზეწოლის შედეგად საქართველოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, მითუმეტეს, რომ თურქეთს არ შეეძლო თბილისისათვის ალტერნატივის შეთავაზება.

თურქეთის მთავრობამ ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში შუამავლის ფუნქციის შესრულების სურვილიც გამოთქვა. ანკარის ეს ნაბიჯი, რეგიონში რუსეთის გავლენის შესუსტებას ისახავდა მიზნად. ამავე დროს კონფლიქტის დასრულებისთანავე თურქეთმა სურვილი გამოთქვა გაეროს სამშვიდობო ძალების ეგიდით საკუთარი სამხედრო კონტინგენტი გაეგზავნა, რომელიც განახორციელებდა ცეცხლის შეწყვეტის ზოლზე მონიტორინგს. თურქეთის შემოთავაზება რუსეთში აღიქვეს, როგორც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში რუსეთის ხარჯზე გავლენის გაფართოების მცდელობა. რუსეთის პოზიციის გამო, თურქეთის ინიციატივა განუხორციელებელი დარჩა. მოსკოვი, რა თქმა უნდა, არ დაუშვებდა რეგიონში გავლენის მოპოვებაში მოზიარე გაეჩინა, რადგან თურქეთისათვის ეს სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციების შესუსტებისათვის დამატებითი ბერკეტი იქნებოდა. 1993-94 წლებში თურქეთს არ ჰქონდა იმის ძალა, რომ ამ საკითხის ლობირება თავის სასარგებლოდ წარემართა [Basyigit,2006:157].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, გააფორმა რუსეთთან რიგი ხელშეკრულებები (ჩარჩო ხელშეკრულება 1994 წლის 3 თებერვალი, 1993 წელს საქართველოს დსთ-ში გაწევრიანება), რომლებიც ითვალისწინებდა საქართველოსათვის სამხედრო სფეროში დახმარებას, ქართული ჯარის გაწვრთნაში ხელშეწყობას, რეალურად ამ კუთხით არაფერი გაკეთებულა. რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში ქართველები სწავლებას გადიოდნენ, მაგრამ ეს უფრო მოჩვენებითი მხარდაჭერა იყო, ვიდრე ფაქტობრივი, საქართველოს თურქეთთან დაახლოების ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი სწორედ რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა იყო.

1999 წლის 4 მარტს თურქეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს სამხედრო დახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. შეთანხმება საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის უახლოესი 5 წლის განმავლობაში ფინანსურ,

ტექნიკურ დახმარებას და ქართველი ოფიცრების თურქეთში მომზადებას ითვალისწინებდა [მანჩხაშვილი,2014:196].

თურქეთ - საქართველოს თანამშრომლობაში სამხედრო ელემენტის გააქტიურება თავის გავლენას თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაზეც ახდენდა, რაც რეგიონში გავლენის მოპოვების სურვილით შეიძლება ავხსნათ.

თურქეთსა და რუსეთს შორის პოლიტიკური დაპირისპირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ასევე უნდა მივიჩნიოთ ენერგორესურსები და მათ რეალიზაციაზე კონტროლის დამყარება, რომელიც გულისხმობდა კასპიის აუზის ნავთობისა და გაზის რესურსების საერთაშორისო ექსპლუატაციას. აზერბაიჯანი, კასპიის აუზის სხვა ქვეყნების, ყაზახეთისა და თურქმენეთის მსგავსად, ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებაში რუსეთზე იყო დამოკიდებული. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ კი, ამ პრობლემისაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება ახალი ალტერნატიული მილსადენების მშენებლობა იყო, რაც მეზობლებთან სტაბილურ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს მოითხოვდა[გორგილაძე,2005:97].

კასპიის აუზის ქვეყნების მიერ ენერგორესურსების მოპოვებისა და მოსკოვის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გარეთ საექსპორტო მილსადენების მშენებლობის პერსპექტივა რუსეთის ლიდერებს აფიქრებინებდა, რომ ეს ქვეყნები შეიძლებოდა მოსკოვის გავლენის სფეროდან გამოსულიყვნენ დასავლეთის ქვეყნების, ისევე როგორც თურქეთის ინტერესების სასარგებლოდ. ამიტომაც, მილსადენების პროექტებმა შეიძინეს იარაღის როლი პოლიტიკური ძალაუფლების მიღწევისა და ეკონომიკური დომინირებისათვის [გრიგალაშვილი,2009:105].

90 - იანი წლების პირველ ნახევარში სამხრეთ კავკასიაში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ (ყარაბაღი, აფხაზეთი) საერთაშორისო ყურადღება კასპიის ნავთობსაბადოების მომავალმა განვითარებამ და ნავთობისა და გაზის მსოფლიო ბაზრებამდე მილსადენების მარშრუტების უსაფრთხოების საკითხებმა

მიიპყრო. ამ რთულ ბრძოლაში რუსეთი, საქართველო და ირანი, ისევე როგორც თურქეთი და ენერგორესურსების მთავარი რეგიონული მწარმოებელი ქვეყნები - აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქმენეთი - მნიშვნელოვანი, რეალური მონაწილენი გახდნენ. აღნიშნულ საკითხში, განსაკუთრებულ დამაბულობას რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები იწვევდა, რამეთუ ენერგორესურსებზე კონტროლი გარკვეულწილად ნიშნავდა რეგიონზე კონტროლს.

შესაბამისად, რუსეთის მთავარი მიზანი იყო კასპიის აუზში არსებული ენერგორესურსების რეალიზაციაზე კონტროლი. თურქეთი კი ცდილობდა ენერგორესურსების გატარება მოეხდინა საკუთარ ქვეყანაზე და გარკვეული როლი მოეპოვებინა კავკასიის ენერგოუსაფრთხოების საკითხში[Çelikpala, Veliyev,2015:15].

1992 წლიდან მოყოლებული, ბაქოდან ნავთობის მსოფლიო ბაზარზე, მთავარი საექსპორტო მილსადენის მარშრუტის არჩევა სადაო საკითხი გახდა, რასაც მოჰყვა სხვადასხვა ვერსიის განხილვა.

პირველი: გზა რუსეთის გავლით პორტ ნოვოროსიისკამდე, რომელიც კიდევ უფრო გაზრდიდა აზერბაიჯანის დამოკიდებულებას რუსეთზე.

მეორე: გზა შავი ზღვის გვერდის ავლით ირანზე უნდა გასულიყო, რომლის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი სწორედ ირანის არაპროგნოზიებადი ქმედებები იყო.

მესამე: ბაქო-სუფსის²⁰ მილსადენი, რომელსაც მხარს უჭერდა დასავლეთ ევროპა და ამერიკა.

მეოთხე; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი, რომელსაც ასევე ჰქონდა მხარდაჭერა ევროპის, ამერიკისა და თურქეთისგან.²¹

²⁰ ბაქო-სუფსას ნავთობსადენი - ექსპლუატაციაშია 1999 წლის 17 აპრილიდან. ნავთობსადენი აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოდან შავიზღვისპირა სოფელ სუფსამდე (საქართველო), რომლის სიგრძე 837 კილომეტრია. მილსადენის დიამეტრი 530 მმ.

²¹ ბაქო-თბილისი ჯეიჰანი (BTC)-ექსპლუატაციაშია 2006 წლის 13 ივლისიდან. ნავთობსადენი აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოდან, თბილისის გავლით ჩადის თურქეთის პორტ ჯეიჰანამდე, მისი სიგრძე 1768 კილომეტრია.

ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტზე საუბრისას გასათვალისწინებელია გეოპოლიტიკური ფაქტორებიც, რაც დასავლეთის მიერ მილსადენის ამ მარშრუტის მხარდაჭერისას ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი იყი. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი გვერდს უვლის ირანსა და რუსეთს, რაც გარკვეულ წილად, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე რუსეთის გავლენის შემცირებას განაპირობებდა. შედეგად რეგიონში დასავლეთის, უფრო კონკრეტულად კი თურქეთის გავლენას ზრდიდა, რომელსაც ზურგს აშშ უმაგრებდა[მაკარაძე, 2000:71].

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში უმნიშვნელოვანეს როლს, როგორც ნავთობი, ასევე გაზი ასრულებს. სამხრეთ კავკასიის და ასევე თურქეთისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჰქონდა ბაქო - თბილისი - ერზრუმის²² გაზსადენის მშენებლობის დაწყებას, ეს გახდა გზა საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მოპოვებისა.

ზემოაღნიშნული პროექტები, რეგიონის ქვეყნების რუსეთის ენერგომონოპოლიისაგან გათავისუფლება, გარკვეულწილად წარმოადგენდა რუსეთის გავლენის შემცირებას რეგიონზე, ხოლო ამ მხრივ თურქეთმა მცირე, მაგრამ კედევ ერთ გამარჯვებას მიაღწია.

ამკარაა, რომ სამხრეთ კავკასიაში ორი გამოკვეთილი რეგიონული ძალა, რუსეთი, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე და თურქეთი, როგორც ახალი ძალა, რომელიც დასავლეთის აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდა, შეეცადნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუნდაც სამხედრო რესურსები (მაგალითად რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია) რეგიონში ჰეგემონობის მოსაპოვებლად.

²² ბაქო- თბილისი -ერზრუმის, იგივე „შაჰდენიზის“ გაზსადენი. ექსპლუატაციაშია 2007 წლის 25 მარტიდან. მისი სიგრძე 970 კილომეტრია. პირველადი დანიშნულება თურქეთისა და საქართველოსთვის გაზის მიწოდებაა.

2.3. თურქეთისა და ირანის ინტერესების თანხვედრა კავკასიაში

კავკასიის რეგიონში თავისი გავლენის გასამლიერებლად ირანი და თურქეთი აქტიურად იბრძოდნენ და ამ ბრძოლაში ირანის აშკარა მოკავშირედ გარკვეულ გეოპოლიტიკურ საკითხებში რუსეთი მოგვევლინა. სულ რაღაც 150 წლის წინ, დღევანდელი ცენტრალური კავკასიის ქვეყნების გარკვეული რეგიონები შედიოდნენ ოსმალეთის ან სპარსეთის შემადგენლობაში, ან მათი ვასალები იყვნენ. დღეს კავკასიის ხალხებს ირანსა და თურქეთში ძლიერი დიასპორები ჰყავთ, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თურქეთისა და ირანის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში, ამიტომაც თურქეთი და ირანი იყვნენ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოები, რომლებმაც 1991 წელს აღიარეს ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა და გამოთქვეს მზადყოფნა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე თურქეთისა და ირანის ინტერესების თანხვედრა რეგიონისადმი ვერ შედგა, ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ თურქეთის მიერ სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესების ზრდას მხარს უჭერდა დასავლეთ ევროპა და აშშ. შესაბამისად, კავკასიის რეგიონალურ პროცესებში თურქეთის მხარეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის აქტიურმა ჩართულობამ, თეირანს უბიძგა რუსეთთან საერთო ენა გამოენახა.

თეირანის ინტერესი კავკასიისადმი განიხილება, როგორც საშუალება გაარღვიოს საერთაშორისო იზოლაცია, რომელშიც მოექცა ქვეყანაში მომხდარი „ისლამური რევოლუციის“²³ შემდეგ. ირანელი მკვლევარები და დიპლომატები ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ ქვეყანას გააჩნია მრავალი საერთო თავიანთ

²³ 1979 წელს ირანში მომხდარი გადატრიალება, რომლის შედეგად ირანი კონსტიტუციური მონარქიიდან სახალხო თეოკრატიულ ისლამურ რესპუბლიკად იქცა.

მეზობლებთან, იქნება ეს ისტორიული წარსული, საერთო კულტურული თუ ლინგვისტური ფესვები, ამიტომაც არსებობს უამრავი შესაძლებლობა ურთიერთგაგებისა და ირანში სურთ,ეს ვითარება სრულად გამოიყენონ. თეირანის ინტერესების შესუსტება კავკასიაში გარკვეულწილად განაპირობა მისმა კავშირმა რუსეთთან, რამეთუ მოსკოვის ინტერესებში არ შედის, თეირანის რაიმე მხრივ გავლენის გაზრდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში. თუმცა დღეს უკვე რიგი ირანელი ექსპერტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ იმ შემთხვევაში, თუ თეირანი წარმატებულ სტრატეგიას შეარჩევს, ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ექნება საშუალება გამოიყენოს თავის გეოპოლიტიკური მდებარეობა და გავლენა ისლამურ სამყაროში[გაჩეჩილაძე,2011:367], რათა რეგიონში იქცეს რუსეთის და თურქეთის თანასწორუფლებიან პარტნიორად.

თავის მხრივ, ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ, არსებითად, აგებულია და ფუნქციონირებს ისტორიული გამოცდილებისა და რეგიონში ძალთა ბალანსის შენარჩუნების ბაზაზე. მიუხედავად იმისა, რომ ირანი ცდილობს თავის დამკვიდრებას, როგორც რეგიონული ძალა, მას კარგად ესმის, რომ ამ ეტაპზე საკუთარი შესაძლებლობები არ აძლევს ამის საშუალებას და ის მხოლოდ აკვირდება გარე გამოწვევებს. აქედან გამომდინარე, მისი რეგიონული პოლიტიკა ფრთხილი და დაბალანსებულია [სანიკიძე,ალასანია,გელოვანი,2011:412].

ირანის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიდგომა სამხრეთ კავკასიისადმი შემდეგია: არ დაუშვას რომელიმე ძალის სრული კონტროლი რეგიონზე და შეინარჩუნოს ბალანსი, რათა არ მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც შეიძლება აშშ-ის, თურქეთის ან რუსეთის პოზიციები გააძლიეროს. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ კავკასიაში თურქეთის გავლენა დასავლეთის მხარდაჭერით საკმაოდ ძლიერია, თეირანი მხარს უჭერს მოსკოვის გავლენის შენარჩუნებას ამ რეგიონში, რათა დაცულ იქნას ძალთა ბალანსი.

ირანისთვის მნიშვნელოვანია რეგიონის უსაფრთხოების საკითხიც, რომელიც გავლენას ახდენს მის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამყარების მთავარ პირობად ირანი რეგიონულ თანამშრომლობას მიიჩნევს. თეირანი მხარს უჭერს რეგიონის კონფლიქტების (აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის) მშვიდობიან გადაწყვეტას. მას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში გააჩნდა სამედიატორო ფუნქცია და უშუალოდ იყო ჩართული ამ პრობლემის გადაჭრის პროცესში [ზაშელეიშვილი, 2016:7].

ირანისათვის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობას განსაზღვრავს ისტორიული მეხსიერება და თანამედროვე პირობებში თეირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები. სამხრეთ კავკასია, ირანის ისლამური რესპუბლიკისათვის დასავლეთთან ურთიერთობის საშუალებად განიხილება. აღსანიშნავია ისიც, რომ ვითარების რადიკალურად შეცვლისა და ირანის საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში რეინტეგრაციის შემთხვევაში, სამხრეთ კავკასია და კერძოდ, საქართველო განიხილება ირანული ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირების ერთ-ერთ მიმართულებად. ასევე, დასავლეთთან ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციის საშუალებად [Böll South Caucasus, 2018:06.02].

ირანმა თავისი რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში შეძლო დაემყარებინა „კეთილმეზობლური“ ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან. ირანის ისლამური რესპუბლიკის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითადი სფეროებია: თანამშრომლობა ორმხრივი და მრავალმხრივი პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში; თანამშრომლობა ეკონომიკურ სფეროში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებისათვის; თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში; თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში; თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების საკითხებში და სხვ.

ირანის მთავარ გამოწვევად კი აზერბაიჯანთან ურთიერთობა მიიჩნევა. ამიტომაც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში მას მტკიცე პოზიცია გააჩნია [ბაშელი-ეიშვილი, 2016: 8].

1992 წლის მარტში ორივე მხარის მოთხოვნით ირანის ისლამური რესპუბლიკა შუამავალი აღმოჩნდა და სამედიატორო ფუნქცია მიენიჭა. 1992 წლის 7 მაისს, ირანის მაშინდელი პრეზიდენტის ჰაშემი რაფსანჯანის²⁴ მცდელობით აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტები ლევონ ტერ-პეტროსიანი (1991-1998) და აბულფაზ ელჩიბეი (1992-1993) ერთმანეთს შეხვდნენ და ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ [ბაშელი-ეიშვილი, 2016: 8].

ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ირანი მხარს უჭერდა კონფლიქტის სწრაფ მოგვარებას. რამეთუ ქვეყნის საზღვრებთან საომარი მოქმედებების მიმდინარეობა ქვეყნის უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. ქვეყნის ნაციონალისტურად განწყობილი და ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის ნაწილი მთავრობაზე ზეწოლას ახდენდა თეირანის, კონფლიქტში „ჩართვის“ მიზნით. დადასტურებული იყო ირანელი ახალგაზრდა აზერბაიჯანელთა ჯგუფების მიერ საზღვრის არალეგალურად გადაკვეთისა და კონფლიქტში ჩართვის ფაქტებიც.

კონფლიქტის გახანგრძლივება ზრდიდა ირანში ლტოლვილების გადადინების შანსს, 1993 წელს ირანის საზღვრებს, ნახიჩევანში არსებული საბრძოლო მოქმედებების შემდეგ, 200000 აზერბაიჯანელი ლტოლვილი მიადგა [დავითაშვილი, 2001: 45].

კონფლიქტში შუამავლის როლით, ირანი ცდილობდა დაეფიქსირებინა საკუთარი თავი როგორც რეგიონული ძალა და დაეხალანსებინა იქ რუსეთისა და თურქეთის გავლენა. აზერბაიჯანის ახალმა პრეზიდენტმა აბდულფაზ ელჩიბეიმ, რომელსაც მხარს თურქეთი უმაგრებდა, უარი თქვა ირანის მხრიდან მომავალ

²⁴ ირანის პრეზიდენტი (1989-1997 წ). რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ახალ კავშირებს.

ყველა ინიციატივაზე. მის პერიოდში გააქტიურდა „სამხრეთ“ და „ჩრდილოეთ“ აზერბაიჯანის გაერთიანებისა და ერთიანი აზერბაიჯანის შექმნის საკითხიც, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა ირანის ტერიტორიულ მთლიანობას.

1993 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტი გახდა ჰეიდარ ალიევი.²⁵ ირანმა საკუთარი მხარდაჭერა აშკარად გამოხატა მის მიმართ და საკუთარი საშუამავლო როლიც გააქტიურა. თავრიზში ვიზიტისას ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ²⁶ მხარი დაუჭირა ახალ პრეზიდენტს, განაცხადა ირანის როლის გააქტიურებაზე და ღიად გააკრიტიკა სომხეთის ქმედებები მთიან ყარაბაღში. 1993 წლის 31 ოქტომბერს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაიდო ახალი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე დღე გასტანა. შემდგომ პერიოდში, ისლამური რესპუბლიკის დასავლეთთან და ამასთანავე, აზერბაიჯანთან ურთიერთობების გაუარესების გამო, თეირანის საშუამავლო როლი შესუსტდა. 1994 წლის 20 სექტემბერს აზერბაიჯანმა ხელი მოაწერა „საუკუნის ხელშეკრულებას“²⁷ დასავლეთის სანავთობო კომპანიებთან. იმავე წლის ნოემბერში ირანი და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ, რომ 5%-ი საერთაშორისო სანავთობო წილიდან ირანს გადაეცემოდა, 1995 წელს თებერვალში ამ საკითხის შესახებ აზერბაიჯანის და ირანის ეროვნულ სანავთობო კომპანიას შორის ხელშეკრულებაც დაიდო, რომლითაც აზერბაიჯანმა აღნიშნული წილი ოფიცი-ალურად ირანს გადასცა[გორგილაძე,2009:37]. დასავლეთის წინააღმდეგობის და აშშ-ის ზეწოლის შედეგად, რომელსაც თურქეთიც ემხრობოდა, 1995 წლის მარტში, ირანის 5%-ი წილი, აზერბაიჯანის მხრიდან ცალმხრივად გაუქმდა. ამან

²⁵ აზერბაიჯანის მე-3 პრეზიდენტი 1993-2003 წლებში.

²⁶ ირანის სასულიერო, სამხედრო და სახელმწიფო ლიდერი 1989 წლიდან.

²⁷ კონტრაქტი, რომელსაც ხელი მოეწერა 1994 წლის 20 სექტემბერს ბაქოში, გიულისტანის სასახლეში 11 მსხვილი კომპანიის მიერ. კონტრაქტის თანახმად კასპიის ზღვაში სამი სანავთობო ველის „აზერი“, „ჩირაგისა“ და „გიუნაშლის“ დამუშავება განხორციელდებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტი დიდი მნიშვნელობით გამოირჩეოდა, მიიღო „საუკუნის კონტრაქტის“ სახელწოდება.

კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობები თეირანსა და ბაქოს შორის [„კონფლიქტი და თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში“, 2015:7.10].

თეირანის მცდელობა, XX საუკუნის მიწურულს, კავკასიის ახალ პოლიტიკურ რეალობაში დაეფიქსირებინა თავისი გავლენა, წარუმატებლად დასრულდა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ირანში დაახლოებით 25 მილიონი ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს და საკმაოდ მნიშვნელოვანია სომხური ლობის გავლენაც, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ თეირანმა ოფიციალურად სომხეთს ან აზერბაიჯანს დაუჭიროს მხარი. ირანისათვის, რომელიც სამხრეთ კავკასიას დასავლეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საშუალებად განიხილავს, აუცილებელია რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემო შექმნას. თეირანი არსებულ ვითარებაში საკუთარ ძალისხმევას სწორედ აქეთკენ მიმართავს და ცდილობს, შუამავლის როლის მორგებით, რეგიონში საკუთარი გავლენა დააფიქსიროს [სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011:413]. ალასანიშნავია ისიც, რომ ირანისათვის სამხრეთ კავკასიაში არსებული ძალთა ბალანსი მეტ-ნაკლებად მისაღებია. მიუხედავად იმისა, რომ ირან-რუსეთის ურთიერთობა ხასიათდება მრავალმხრივი თანამშრომლობით, რეგიონში პოზიციების რუსეთის ან თურქეთის სასარგებლოდ შეცვლა, თეირანის ინტერესებში არ შედის. ასევე, გრძელვადიან პერსპექტივაში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების სანაცვლოდ, აზერბაიჯანის, რუსეთის თუნდაც თურქეთის ინტეგრაციულ პროცესებთან მიერთება, ირანის საზღვრებთან ძლიერი აზერბაიჯანის არსებობას ნიშნავს, რაც აზერბაიჯანში არსებულ „ერთიანი აზერბაიჯანის შექმნის“ იდეას კიდევ უფრო გააქტიურებს, ამის გამოცდილება ირანს არც თუ შორეულ წარსულში, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ჰქონდა.

საინტერესოა, რა ადგილს იკავებს საქართველო ირანის სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში. საქართველოსა და ირანის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ირანი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა [სონდულაშვილი,2015:5].

ირანის ისლამური რესპუბლიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ირანს საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ თავისი მიდგომა და პოზიცია გააჩნია. ირანის ისლამურ რესპუბლიკას ყარაბაღის კონფლიქტისაგან განსხვავებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში სამედიატორო ფუნქციის შესრულების სურვილი არ გამოუთქვამს, მაგრამ პოზიცია ნათლად აქვს გამოხატული. ირანისათვის მიუღებელია სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების შეცვლა და ამასთანავე, ირანს საკუთარი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელიდან გამომდინარე „არ აწყობს“ სეპარატიზმის მხარდაჭერა და მსგავსი პრეცედენტების დაშვება.

თანამედროვე პირობებში თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ირანს აწყობს სტაბილური რეგიონი. თეირანი მომავალში კვლავინდებურად გააგრძელებს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“, ასევე ყარაბაღის კონფლიქტების მიმართ ნეიტრალური პოზიციის დაკავებას ან დასავლეთთან ურთიერთობების ნორმალიზების ფონზე, შეეცდება „კავკასიური პოლიტიკისა“ და დიპლომატიური ქმედებების ფარგლებში ხელი შეუწყოს მშვიდობის უზრუნველყოფას სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ რეგიონებში.

თავი III. თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში

3.1. დიპლომატიური კავშირების დამყარება თურქეთ-საქართველოს შორის XX საუკუნის 90-იან წლებში

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის დესტაბილიზაციამ, თურქეთის სწრაფვამ დაემყარებინა კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა აზერბაიჯანთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, განაპირობა საქართველოს პოლიტიკური როლის მნიშვნელოვანი ზრდა, რამეთუ ერთადერთ დამაკავშირებელ გზად თურქეთს, აზერბაიჯანსა და შესაბამისად ცენტრალურ აზიას შორის სწორედ საქართველო განიხილებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს, ის გარემოებაც, რომ თურქეთიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური წნეხისგან გასათავისუფლებლად და დასავლეთთან დასაკავშირებლად [მანჩხაშვილი,2013:203].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა უმაღლვე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმი აფხაზი სეპარატისტები მოელოდნენ თურქეთისაგან დახმარებას. მაგალითად, 1992 -1993 წლებში სეპარატისტული აფხაზეთის მეთაური ვლადისლავ არძინბა არაერთხელ ეწვია თურქეთს, მაგრამ იგი სახელმწიფოს არცერთმა ოფიციალურმა პირმა არ მიიღო [Mehmet Türüncü,1998:197]. თურქეთი აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს ერთიანობას.

თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები, მიუხედავად საქართველოში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემებისა, სტრატეგიულად ვითარდებოდა.

თურქეთმა 1991 წლის 16 დეკემბერს ოფიციალურად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, აღიარა მისი სახელმწიფოებრიობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. ამასთან დაკავშირებით, 1992 წლის 21 მაისს ოფიციალური ვიზიტით საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო

საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი, რომელსაც აეროპორტში დახვდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე და სხვა ოფიციალური პირები [კომახიძე, 1994:29].

ვიზიტის დროს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჰიქმეთ ჩეთინისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრისას, განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საკითხები. ხოლო შესაბამის შეთანხმებას, ხელი მოეწერა თურქეთის პრემიერ - მინისტრ სულეიმან დემირელის ვიზიტის დროს, რომელიც შედგა 1992 წლის 30 ივლისს. ვიზიტისას მას ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი – ჰიქმეთ ჩეთინი, სახელმწიფო მინისტრი – ჯავით ჩაღდარი და თურქეთის ეროვნული მეჯლისის დეპუტატები [კომახიძე,1994:30].

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა, საქართველოში პირველი ვიზიტისას განაცხადა: „ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი, რათა განვიხილოთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის ფართო თანამშრომლობის გზები. საქართველო დემოკრატიის გზას ადგას, ეს ძნელი გზაა, მაგრამ არ უნდა მივეცეთ პესიმიზმს. წინ კიდევ მრავალი დაბრკოლება გაქვთ. დარწმუნებული ვარ, თქვენ მას დაძლევეთ. ალგიკვამთ, რომ თურქეთი ყოველთვის თავისი მეზობლის გვერდით იქნება. ჩვენ ერთი საზღვარი, ერთი ზღვა, ერთი ინტერესი გვაქვს. ჩვენი გზა, მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის გზაა“ [საქართველოს რესპუბლიკა,1992: N143.31.07].

ამავე ვიზიტის დროს ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ასეთი რანგის ვიზიტი საქართველოსათვის მნიშვნელოვანი იყო და ისაუბრა ჰელსინკის ისტორიულ აქტზეც,²⁸ რომლის ერთ – ერთი ავტორი სულეიმან დემირელი გახლდათ და ამ

²⁸ 1975 წ. მიღებული „ჰელსინკის აქტი“. რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების პრინციპები.

აქტის სამშვიდობო მნიშვნელობაზე მსოფლიოში. ყოველივე ეს კი მიგვანიშნებდა თურქეთის ახალ როლზე. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა კავკასიაში არსებულ მძიმე ვითარებაზე და აღნიშნა: „კავკასია ერთ – ერთი ყველაზე რთული, ფეთქებადი რეგიონი გახდა. ჩვენ მივესალმებით თურქეთის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც თურქეთის მთავრობა და ხელისუფლება ახორციელებს“**[მაკარაძე,1995:152]**.

ორ სახელმწიფოს შორის ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილ-მეზობლური ურთიერთობის შესახებ“. ამ ხელშეკრულების მიხედვით ორივე ქვეყანა აღიარებდა ერთმანეთის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ურღვევობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და გამო-თქვამდა თანამშრომლობის გადრმავევის სურვილს**[საქართველოს საკანონმდე-ბლო მაცნე,1998:13.03]**.

ხელშეკრულება შედგება თხუთმეტი მუხლისაგან. მასში ჩადებული პრინციპების თანახმად, ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა უნდა ჩამოყალიბ-ებულიყო საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი პრინციპების საფუძველზე. ხელშეკრულებას წინ უძღვის პრეამბულა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართვე-ლოს რესპუბლიკა და თურქეთის რესპუბლიკა პატივს მიაგებენ ერთმანეთის სუვერენულ სტატუსს და ეყრდნობიან დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის საფუძველებს, სახელმწიფოები დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს, დაწყებული ყარსის 1921 წლის 13 ოქტომბრის შეთანხმებით **[საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,1998:13.03]**. მხარეები შეთანხმებების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკისა და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით **[კომახიძე,1994: 42]**.

ხელშეკრულებაში დეტალურად არის ჩამოყალიბებული ის პრინციპები, რომელზეც დაფუძვებულია თანამშრომლობა. მე-6 და მე-7 მუხლებით: „ორივე

ქვეყანაში დამკვიდრებული ცხოვრების წესის უფრო სრულყოფილად გაცნობის მიზნით მხარეები ხელს შეუწყობენ მათ მოქალაქეთა პირად კონტაქტებს, განავითარებენ უშუალო თანამშრომლობას კულტურისა და ხელოვნების დარგში“ [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,1998:13.03].

თურქეთ - საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება ეხება მხოლოდ ამ ორ სახელმწიფოს, ის „არ არის მიმართული სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ და არ არღვევს ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს მესამე ქვეყნის მიმართ“.

აღნიშნული ხელშეკრულების გარდა, ხელმოწერილი იქნა 6 მნიშვნელოვანი დოკუმენტი:

- „ხელშეკრულება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ“;
- „ხელშეკრულება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“;
- „ხელშეკრულება ინვესტიციების ურთიერთ წახალისებისა და დაცვის შესახებ“;
- „ხელშეკრულება საჰაერო მიმოსვლის შესახებ“;
- „ხელშეკრულება საერთაშორისო სატრანსპორტო მიმოსვლის შესახებ“ და „საზღვაო შეთანხმება“.

1992 წლის 28 სექტემბერს თურქეთის ეროვნულმა მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება მოეხდინა 1992 წლის 30 ივლისს გაფორმებული საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულების რატიფიკაცია. ანალოგიური დადგენილება მიიღო საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის 25 მარტს [მაკარაძე,2000:97].

ხელშეკრულების დადების შემდეგ თურქეთ - საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო. რის შესახებ თურქეთის რესპუბლიკაში პირველი

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნოდარ კომახიძე წერდა: „საქართველო - თურქეთის ურთიერთობებს დიდი პერსპექტივები აქვს. საქმე ეხება მჭიდრო, თანასწორუფლებიან, მზარდ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობით რეგიონის მნიშვნელოვანი ქვეყანაა და შეუძლია შეასრულოს ხიდის როლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის“ [კომახიძე, 1994: 63].

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც ხელი შეუწყო თურქეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის განვითარებას, კასპიის რეგიონის ნავთობისა და ბუნებრივი აირის საქართველოს გავლით თურქეთში ტრანსპორტირება იყო. თურქეთი ბევრს ეცადა, რომ ეს ფუნქცია საქართველოს შეესრულებინა. ასევე, საქართველოს მთავრობამ პრეზიდენტ ედ. შევარდნაძის მეთაურობით დიდი ინტერესი გამოიჩინა კასპიის ენერგორესურსების სატრანსპორტო მილსადენების საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთისათვის მიწოდების მიმართ. ამავე დროს ეს პროექტი მიჩნეულ იქნა საქართველოს უსაფრთხოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონედ [მანჩხაშვილი, 2013: 205].

თურქეთ-საქართველოს შორის ინტერესთა ერთობლიობამ შექმნა ხელსაყრელი პირობები ამ ორ სახელმწიფოს შორის არამარტო პოლიტიკური, არამედ მჭიდრო კულტურული საგანმანათლებლო თუ ეკონომიკური კავშირებისა.

თურქეთსა და ჩვენს ქვეყანას შორის საგანმანათლებლო-სამეცნიერო კონტაქტების, მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აღმოსავლური ურთიერთობების შემდგომი გაფართოების თვალსაზრისით, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო 1994 წელს ხელმოწერილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედ. შევარდნაძის განკარგულება „საქართველოში აღმოსავლური ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. 1996 წლის 4 აპრილს თურქეთის რესპუბლიკასა და

საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების შემდეგ სამხედრო სფეროში თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები მრავალი ასპექტით ვითარდება, რაც გამოიხატება მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებაში, კადრების მომზადებაში, ასევე სხვა სამხედრო პროგრამების განხორციელებაში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რეფორმა, კოსოვოში თურქეთის სამშვიდობო ბატალიონში ქართული ოცეულის მონაწილეობა, ასევე მნიშვნელოვანია თურქეთის პროგრამა სამხედრო სფეროში საქართველოსათვის მხარდაჭერისა და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე და სხვა[ხოზრეანიძე, 2019:129].

მნიშვნელოვანია კულტურული კავშირები რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბდა და რაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს. თურქეთის ქალაქებსა და სოფლებში შექმნილია ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. მათ შორის გამოირჩევა „იბერი“, იბერია მელაშვილის²⁹ (ოზქანი) ხელმძღვანელობით. იგი დაარსდა 1987 წელს ქ. ბურსაში. საქართველოში ჩამოვიდნენ ქართული კულტურის ქომაგი თურქი მოქალაქეები, მათთან ერთად ქართული წარმოშობის თურქებიც. საინტერესო და ემოციურია მათი საერთო სახელი „ჩვენებურები“, რომელიც დამკვიდრდა ქართულ საზოგადოებაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თურქეთის ბევრ ქალაქში გახსნილია ქართული სათვისტომოები, რომლის მეშვეობით ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ ქართული ენა და ქართული კულტურა. რადგან დღეს უკვე ბუნებრივი პროცესი გახდა ეთნიკური ქართველების ასიმილაცია თურქებთან და იქმნება საშიშროება ქართული ენისა და ეთნიკური იდენტობის დაკარგვისა. ეს ორგანიზაციებიც

²⁹იბერია მელაშვილი (ოზქანი), აჰმედ ოზქან მელაშვილის ვაჟი -ქართველი კულტურული მოღვაწე თურქეთში, რომლის მოღვაწეობა მიმართული იყო თურქეთის ქართველობაში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისაკენ.

სწორედ ამ მიზნით არსდება, რათა საუკუნეების განმავლობაში სათუთად შენახული ქართველობა შეინარჩუნონ.

თურქეთის ქართველობის ორგანიზაციები დაარსებულია სხვადასხვა ქალაქში და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- თურქეთ – საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი;
- „საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2005 წელს;
- „ქართული ხელოვნების სახლი“ სტამბოლში;
- „ქართული კულტურის ცენტრი“ სტამბოლში;
- ქ. დუზჯეს „ბათუმელთა ქართული კულტურის საზოგადოება“ დაარსდა 1998 წელს. რომელიც ერთ-ერთი უძველესია თურქეთელი ქართველების ორგანიზაციებს შორის;
- ქ. გოლჯუქის „კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება“, დაარსდა 2001 წელს;
- ქ. ინეგოლის „კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება“ ;
- ქ. იზნიქის „ბათუმელთა კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება“, დაარსდა 1991 წელს;
- ქ. ჰენდექის „ბათუმელთა კულტურის საზოგადოება“ დაარსდა 1996 წელს, ქ. ჰენდექში;
- „სინოპის ქართული კულტურისა და მეგობრობის საზოგადოება“, დაარსდა 2011 წელს და ამ დროისათვის 170 წევრს ითვლის.

ქართულ დიასპორათა სრული უმრავლესობა დაარსდა ბოლო 30 წლის განმავლობაში და მას ხელი შეუწყო ორ სახელმწიფოს შორის მჭიდრო სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბებამ. საბჭოთა კავშირის დაშლამ და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ერთგვარი ბიძგი მისცა ქართულ კულტურასა და ენას მჭიდროდ შეეღწია თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შთამომავლების გულში [სვანიძე,2000:324].

ქართველი წარმოშობის თურქეთის მოქალაქეებთან თანამშრომლობას და კონტაქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავების საქმეში.

თურქეთის პრეზიდენტმა ს. დემირელმა ქართული დიასპორის არსებობას თურქეთში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების საიმედო ხიდი უწოდა **[საქართველოს რესპუბლიკა, 1992: N143.31.07]**.

ორი ქვეყნის ურთიერთობებში უდიდეს როლს თამაშობს კულტურულ - საგანმანათლებლო ურთიერთობები. საქართველოში უკვე დიდი ხანია წარმატებით მუშაობს თურქოლოგიური სკოლა. მას საფუძველი ჩაუყარეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა სერგი ჯიქიამ და ვალერიან გაბაშვილმა. ამ საქმეს წარმატებით აგრძელებენ ქართველი თურქოლოგები ო. გიგინეიშვილი, მ. სვანიძე, ნ. შენგელია, ნ. ჯანაშია, ც. აბულაძე, ლ. ჩლაიძე, გ. ანთელავა, ე. მაკარაძე, მ. ჯიქია, ი. გოცირიძე, ზ. შაშიკაძე, მ. მახარაძე, ელ. მაჩიტაძე და სხვები **[მაკარაძე, 2010: 83]**.

მნიშვნელოვანია ქართულ - თურქული ურთიერთობების ამსახველი პერიოდული გამოცემების როლიც („ახალი ხიდი“, „თურქეთის ცნობები“, „გულანი“, თურქეთში გამოდის ჟურნალი „ჩვენებურები“ (Cveneburebi), „ფიროსმანი“ (firosmani) და სხვა.

თურქეთის რესპუბლიკაში უამრავი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. ისინი ძირითადად სახლობენ თურქეთის ჩრდილოეთითა და სამხრეთ-დასავლეთით. იმის გამო, რომ თურქეთის კონსტიტუციის 66-ე მუხლი თურქს განსაზღვრავს, როგორც „ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ემორჩილება თურქეთის სახელმწიფოს მოქალაქეობის ვალდებულებით“, არ არსებობს ეთნიკური განსაზღვრება, ამიტომ რთულია იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველების ზუსტი ციფრის დასახელება. მაგრამ, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ იქ დაახლოებით ორ მილიონზე მეტი ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქე ცხოვრობს **[კომახიძე, 1994: 143]**. საზღვარგარეთ და კერძოდ თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახ-

ლეობასთან კონტაქტების დასამყარებლად პირველი ნაბიჯი გადაიდგა 60-იან წლებში, როდესაც საქართველოში შეიქმნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება. რომელსაც, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცნობილი თურქოლოგი და საზოგადო მოღვაწე ოთარ გიგინეიშვილი.

თურქეთში საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის პროპაგანდის საქმეში ნაყოფიერად მოღვაწეობს ფარნა-ბექა ჩილაშვილი (ფაჰრეთინ ჩილოღლუ), რომელმაც 1993 წელს სტამბოლში თურქულ ენაზე გამოსცა წიგნი „ქართველთა ისტორია“, რომელიც თურქულენოვან მკითხველს პოპულარული ენით აწვდის დიდძალ ინფორმაციას საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

სამსუნის უნივერსიტეტის პროფესორმა ბილალ დინდარმა (მიქელაძემ) თურქულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“.

თურქეთ-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარების საქმეში დიდ როლს ასრულებს ჟურნალი „ჩვენებურები“, რომლის დამაარსებელი აჰმედ მელაშვილი³⁰ იყო. ასევე: „ახალი ხიდი“, „თურქეთის ცნობები“ და სხვ.

90-წლებში დაწყებული კულტურული კავშირები თურქეთ-საქართველოს შორის საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა და ფართო განვითარება ჰპოვა. თურქეთის უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომლის სწავლება ფინანსდება თურქეთის რესპუბლიკის მიერ. ასევე, საქართველოში განათლება შეუძლია მიიღოს თურქეთის ნებისმიერმა მოქალაქემ. ამ საგანმანათლებლო ურთიერთობაში ყველაზე დიდი მიღწევა არის, 2014 წლის 9 სექტემბერს თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცე-

³⁰ აჰმედ ოზქანი (მელაშვილი) (1922 -1980) ქართველი კულტურული მოღვაწე თურქეთში, რომლის მოღვაწეობა მიმართული იყო თურქეთის ქართველობაში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისაკენ. მას ზოგჯერ „თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძესაც“ უწოდებდნენ. 1980 წლის 5 ივლისს ქალაქ ბურსაში, ოზქანი თურქული ულტრა-ნაციონალისტური დაჯგუფების „რუხი მგლები“ აქტივისტებმა მოკლეს.

ბული, თურქეთის ქართული დიასპორის საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა „თურქეთის საჯარო და კერძო სკოლებში ქართული ენის შესწავლის შესახებ 2014-2015 სასწავლო წლისათვის.“ ამ პროგრამის საშუალებით მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 კლასებში ქართული ენის შესწავლა არის შესაძლებელი.

განათლებისა და კულტურის სფერო, ეს არის ურთიერთობის საუკეთესო ფორმა სახელმწიფოებს შორის. რომელიც უფრო აახლოებს ერებს და ხელს უწყობს მათ შორის ურთიერთობების გაღრმავებას, ხალხის დაახლოებას. 90-იანი წლებში დაწყებული პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობა, გახდა ერთ-ერთი კარგი საშუალება ქართველი და თურქი ხალხის დაახლოებისა, ეს ურთიერთობები დღითიდღე უფრო ღრმავდება.

მიუხედავად თურქეთთან მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური ურთიერთობებისა, ვფიქრობთ საქართველოს ხელისუფლება მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს საკითხს, რამეთუ მთელი კავკასია, საქართველოს ჩათვლით, თურქეთის ინტერესთა სფეროში შედის. ანკარას აინტერესებს ცენტრალური აზიაც, რომელთანაც სახმელეთო სატრანსპორტო კავშირის ერთადერთ გზას წარმოადგენს საქართველო-აზერბაიჯანის გეოგრაფიული დერეფანი. თუკი გავითვალისწინებთ თურქეთის ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, მის მზარდ საგარეო პოლიტიკურ გავლენას და შესაბამისი სამსახურების მძლავრ რესურსებს, მაშინ ცხადია, რომ თურქეთის მიერ საქართველოზე გარკვეული გავლენის მოპოვება გარდაუვალია. ეს შეიძლება, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგების მომტანი გახდეს. იმისთვის რომ უარყოფითი არ სჭარბობდეს, საჭიროა ორი პირობის დაკმაყოფილება: პირველი, საქართველო არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას თურქეთის რეგიონული პოლიტიკისათვის მხარი უნდა დაუჭიროთ კავკასიის რეგიონში ანკარის ყველა იმ ინიციატივას, რომელიც საქართველოს ინტერესებს შეესაბამება. და, ამავე დროს, საქართველომ

არ უნდა დაუშვას თურქეთის უკონტროლო გავლენა საქართველოს ცალკეულ რეგიონებზე. თუკი თურქეთი მოიპოვებს საკმარის კონტროლს საქართველოში ან თუნდაც სახელმწიფოს სამხრეთ ნაწილებში მიმდინარე პროცესებზე, მან შეიძლება ნაკლებად საჭიროდ ჩათვალოს საქართველოს ხელისუფლების აზრის გათვალისწინება. ასეთ შემთხვევაში თურქეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ნაკლებად დიპლომატიური და უფრო ხისტი გახდება. საქართველოს ამოცანა უნდა იყოს თურქეთ-საქართველოს შორის არსებული ურთიერთობის დადებითი მხარეების მაქსიმალური გამოყენება და გამოწვეული საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანა.

3.2 თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური პარტნიორობა

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელმაც არსებობა 1991 წლის 9 აპრილიდან დაიწყო, ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში მოექცა.

ქვეყანაში წარმოქმნილმა კონფლიქტებმა, აფხაზეთის³¹ და სამოქალაქო ომმა³² გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. ამ მძიმე პირობების მიუხედავად 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება ეკონომიკის გარკვეულ გამოღვიძება, რაშიც უდიდესი წვლილი თურქეთის რესპუბლიკას მიუძღვის, რომელმაც ძნელბედობის ჟამს პირველმა გაუწოდა საქართველოს დახმარების ხელი[სვანაძე,2007:547].

1994 წელს საქართველომ მიიღო ეკონომიკური სტაბილურობისათვის საჭირო ახალი კანონები, 1995 წელს ახალი კონსტიტუცია და შემდეგ ახალი ეროვნული

³¹ 1992-1993 წლების ომი საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის, რომელთაც ფარულ მხარდაჭერას უცხადებდა რუსეთის ფედერაცია. ომი 13 თვეს გაგრძელდა და საქართველოს სამთავრობო ჯარების მარცხით დასრულდა.

³² შიდა-ეთნიკური და პოლიტიკური სამხედრო კონფლიქტი საქართველოში 1992-1993 წლებში. ომი დასრულდა პუტჩისტების გამარჯვებით, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობით და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საქართველოდან განდევნით.

ვალუტა - ლარი. საქართველომ ახალი ცხოვრება დაიწყო, ახალი პარტნიორებით, განვითარების ახალი იდეებით და საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერით [ჯანდიერი,2016:6].

1994 წლის მაისში დაიდო პირველი თურქულ-ქართული შეთანხმება ვაჭრობის შესახებ, რომელიც გულისხმობდა თანამშრომლობას საბაჟო სფეროში. რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი მხარეთა შორის ვაჭრობას. სწორედ, თურქეთი 1995 წელს გახდა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი [ჯანდიერი,2016:7].

1995 წლიდან, საქართველოში ეკონომიკური სტაბილიზაციის შემდეგ ორ ქვეყანას შორის განვითარდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. თურქეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტები და სამშენებლო მასალები, ხოლო საქართველოდან გაჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ფოლადის პროდუქცია. საქსტატის მონაცემებით 1995-2000 წლებში თურქეთი იყო საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი, რუსეთის შემდეგ, საკმაოდ მზარდი ტენდენციით. (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1: . საქართველოს საგარეო ვაჭრობა 1995-2000 წლებში

ქვეყნები:	1995	1996	1997	1998	1999	2000
გერმანია	22,086	38,587	52,454	96,576	75,768	89,518
იტალია	12,819	40,481	48,482	39,311	31,587	32,884
გაერთიანებული სამეფო	15,446	42,989	47,233	63,984	27,259	33,728
სომხეთი	29,737	38,515	41,087	28,103	27,710	27,176
აზერბაიჯანი	61,986	103,915	140,936	92,280	89,461	75,997
რუსეთი	97,957	184,977	194,184	180,065	152,246	160,334
თურქმენეთი	47,790	18,095	19,688	11,015	40,691	23,919
უკრაინა	13,792	44,461	64,184	37,353	40,711	46,347
შვეიცარია	8,516	18,076	23,025	37,967	17,551	36,444
თურქეთი	127,142	108,301	159,252	119,687	116,762	185,889
აშშ	43,932	60,506	106,757	91,811	89,636	76,706

[<http://www.turkstat.gov.tr/UstMenu.do?metod=temelist>]

თურქეთისკენ ძირითადი საექსპორტო საქონელი იყო: ელექტროენერგია, ლითონები, სასუქები, ტანსაცმელი, თევზეული და ავტომობილები; ამავდრ-

ოულად, მთავარ იმპორტს თურქეთიდან წარმოადგენდა ლითონები, ფარმაცევტული საქონელი, ავეჯი, ქაღალდი, კაბელები და სხვა [Demirağ, 2005:144].

ოფიციალური მონაცემებით, 90-იანი წლებიდან 2000 წლისათვის საქართველოში მოქმედებდა კვების მრეწველობის 45 თურქული ფირმა, კომუნიკაციების, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა სფეროებში. საქართველოში შექმნილი სიძნელეების გამო, 90-იანი წლების დასაწყისში ზამთრის პერიოდში, საქართველო თურქეთიდან იღებდა დაახლოებით 250-300 მილიონ კილოვატ ელექტროენერგიას, რომელსაც საქართველოს მთავრობა უბრუნებდა შეთანხმების საფუძველზე ზაფხულის თვეებში [სვანიძე,2000:547].

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ენერგოპროექტების განხორციელებას. სწორედ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის³³ ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტის განხორციელება იყო დასტური ორ სახელმწიფოს შორის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორობისა. ამასთან აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის საკითხი, რომლის მშენებლობის მიზანს წარმოადგენდა ერთმანეთთან დაეკავშირებინა აზიისა და ევროპის ბაზრები, და რომელიც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი გახდებოდა თურქულ-ქართულ სავაჭრო თუ პოლიტიკურ ურთიერთობებში [Demirağ,2005:126].

მეტად მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე თურქეთის მთავრობის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა საქართველოში მომხდარი „ვარდების რევოლუციის“³⁴ დროს. 2003 წლის ნოემბრის თვეში განვითარებული მოვლენების ფონზე, თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა ეთანამშრომლა ახალ ხელისუფლებასთან და იმედიანად განაცხადა, რომ ორ

³⁴ „ვარდების რევოლუცია“ -2003 წლის ნოემბერში საქართველოში მშვიდობიანი სახალხო გამოსვლების სერია, რასაც მოჰყვა 23 ნოემბერს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომა და საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილება.

ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები კვლავ დარჩებოდა კეთილმეზობლური და წარმართებოდა სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ის ფინანსური დახმარებაც, რომელიც თურქეთმა გაუწია საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისათვის [მაკარაძე,2010:86].

ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ ერთი კარგი მაგალითი იყო 2006 წლის 10 თებერვლიდან თურქეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმება, შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადის გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების გაფორმება (2007 წლის 11 ნოემბერი). ეს გადაწყვეტილებები ხელს უწყობს საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას. შემდეგი უპრეცედენტო შეთანხმება უკვე 2011 წლის ნოემბერში დაიდო, რომელიც უფლებას აძლევს ორი ქვეყნის მოქალაქეებს საიდენტიფიკაციო ბარათით შევიდნენ ერთმანეთის ტერიტორიაზე.

აღნიშნული შეთანხმებები, ხელს უწყობდა ორ სახელმწიფოს შორის მეგობრული კავშირების დამყარებას, რაც აისახა ქვეყნებს შორის ვიზიტორთა რაოდენობაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ორ ქვეყანას შორის ახლო პოლიტიკური კულტურული თუ ეკონომიკური კავშირები წარმოადგენს ორ თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა ურყევ კავშირს, ხოლო მათ შორის არსებული დინამიური და ნაყოფიერი პარტნიორული ურთიერთობები კი ხელს უწყობს კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

თავი IV. თურქეთის ურთიერთობა სომხეთთან

4.1. თურქეთ-სომხეთის ურთიერთობა XX საუკუნის 90-იან წლებში

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობა ისტორიის მანძილზე საკმაოდ დრამატულად მიმდინარეობდა. ამ ურთიერთობის დრამატულმა სცენარმა უმაღლეს ფაზას პირველ მსოფლიო ომის წლებში მიაღწია, როდესაც მოხდა სომეხთა მასობრივი დევნა, დეპორტაცია ოსმალეთის იმპერიის პერიფერიული თუ შიდა რეგიონებიდან.

ოსმალეთის იმპერია, რომელმაც თითქმის 500 წელი იარსება, იმპერიებისათვის დამახასიათებელი თავისებურებიდან გამომდინარე, თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ასიმილაციის პოლიტიკას ატარებდა. სომხების გარდა ოსმალეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქართველები, ბერძნები, ბულგარელები, სერბები, ხორვატები, ქურთები და არამუსლიმანური აღმსარებლობის სხვა ხალხები.

აღსანიშნავია, რომ სომხები, სხვა არამუსლიმ ხალხებთან შედარებით, ყველაზე მეტი პრივილეგიებით სარგებლობდნენ ოსმალეთის იმპერიაში. ისინი გათავისუფლებული იქნენ სამხედრო სამსახურისგან და ნაწილობრივ გადასახადებისაგანაც. ჰქონდათ საშუალება დაწინაურებულიყვნენ ვაჭრობა-ხელოსნობაში, სოფლის მეურნეობაში, ადმინისტრაციულ საქმიანობაში. სახელმწიფოსადმი თავიანთი ერთგულების გამო მათ უწოდეს „მილეთ-ი სადიკ“ (ერთგული ხალხი) [Kavkazplus, 2015:21.11]. თუმცა, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენით მდგომარეობა შეიცვალა. რამეთუ რუსეთის მიერ სომხეთის ნაწილის დაპყრობამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გამოიწვია სომეხი მოსახლეობის ორ ნაწილად „გახლეჩა“ რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიაში.

ჯერ კიდევ 1895-1896 წლებში ოსმალეთის სულთნის აბდულჰამიდ II³⁵ (1876-1909) მიერ სომხური მოსახლეობის მიმართ განხორციელებული იქნა სამხედრო აგრესია, რის შედეგადაც, სხვადასხვა შეფასებით, მოკლული იქნა 100-დან 200 ათასამდე სომეხი. 1909 წლის აპრილში ასევე ადგილი ჰქონდა სომეხთა მასობრივ ხოცვას ადანისა და ალეპოს ვილაეთებში [Kavkazplus,2015:21.11].

1907 წელს ხელისუფლება ოსმალეთში „ახალგაზრდა თურქებმა“³⁶ ჩაიგდეს ხელში. „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტია ოფიციალურად პანთურქიზმის იდეოლოგიის მიმდევარი იყო, მათ მიზანს შეადგენდა თურქული იმპერიის შექმნა ბალკანეთიდან ცენტრალურ აზიამდე. პირველ მსოფლიო ომის დაწყებამ „ახალგაზრდა თურქებს“ ჩაუსახა იმედი თავიანთი იდეისათვის ფრთები შეესხათ [სვანიძე,2007:339].

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1914-1918) „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობის პროპაგანდა ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ სომხებს დივერსანტებად და პრორუსულ „მეხუთე კოლონად“ მოიხსენიებდა. „ახალგაზრდა თურქები“ თვლიდნენ, რომ რუსეთის წაქეზებით, თურქეთში მცხოვრებ სომხებში ანტითურქული განწყობა იზრდებოდა, რაც საფრთხეს უქმნიდა თურქეთის ინტერესებს. ამიტომაც, ოსმალთა იმპერიის მმართველებმა აღმოსავლეთ ანატოლიიდან სირიის უდაბნოში სომხების მასობრივი დეპორტაცია განახორციელეს. დეპორტაციის შედეგად, ასეულ ათასობით სომეხი დაიღუპა, მათი უმრავლესობა მოკლეს, ან შიმშილითა და ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

სომხების მასობრივი დეპორტაციის დაწყების თარიღად 1915 წლის 15 აპრილი ითვლება, როდესაც ხელისუფლებამ 250-მდე სომეხი ინტელექტუალი და თემის

³⁵ ოსმალეთის იმპერიის 34-ე სულთანი. იმპერიას მმართველობდა 1876 წლის 31 აგვისტოდან მის გადაყენებამდე, 1909 წლის 27 აპრილამდე. აბდულ-ჰამიდ II იყო ოსმალეთის უკანასკნელი სულთანი რომელიც მართავდა აბსოლუტური ძალაუფლებით. 1909 წელს ის შეცვალა მეჰმედ V-მ.

³⁶ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრებისა და მათი მომხრეების ევროპაში გავრცელებული სახელწოდება. სახელწოდება „ახალგაზრდა თურქები“ შეიქმნა ევროპის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულ სახელწოდებათა — „ახალგაზრდა გერმანელების“, „ახალგაზრდა უნგრელების“ და სხვათა ანალოგიით.

ლიდერი ჯერ დააპატიმრა, შემდეგ კი, სიკვდილით დასაჯა. სომხები, რომლებიც ოსმალთა იმპერიის არმიაში მსახურობდნენ, განაიარაღეს და მოკლეს, კონფისკაცია გაუკეთეს სომხების ქონებასაც [სვანიძე, 2007:354].

1915 წლის 15 აპრილს დაწყებული მოვლენების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა დღემდე საკამათოდ მიიჩნევა. სომხების შეფასებით, 1.5 მლნ. ადამიანი დაიღუპა, თურქების შეფასებით კი, მხოლოდ 300 ათასი. აღნიშნული საკითხის შემსწავლელი მეცნიერების საერთაშორისო ასოციაციის შეფასებით, დაღუპულთა რაოდენობა მილიონს აჭარბებს.

სომხების გენოციდი მსოფლიოს რიგი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იქნა აღიარებული. 1965 წელს პირველმა, ოფიციალურად, ურუგვაიმ აღიარა და დაგმო სომხების გენოციდი. 1984 წელს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა, 1987 წელს ევროკავშირმა, ევროპარლამენტმა, ეკლესიათა მსოფლიო კავშირმა და ა. შ.

სომეხთა გენოციდი ოფიციალურად აღიარეს საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ, ბელგიამ, შვედეთმა, ნიდერლანდებმა, შვეიცარიამ, რუსეთმა, პოლონეთმა, ლიტვამ, საბერძნეთმა, კვიპროსმა, სლოვაკეთმა, არგენტინამ, ვენესუელამ, კანადამ, ვატიკანმა და სხვა სახელმწიფოებმა. აშშ-ის 50 შტატიდან 40-მა ოფიციალურად აღიარა და დაგმო სომხების გენოციდი. ასევე 24 აპრილი სომეხთა მიერ დააწესებული იქნა სომეხი ხალხის გენოციდის მსხვერპლთა ხსენების დღედ.

დღევანდელი თურქეთი კატეგორიულად უარყოფს სომეხთა გენოციდის ფაქტს. 1915 წლის ტრაგიკული მოვლენების შესახებ საჯარო საუბრები მიღებული არ არის. სისხლის სამართლის კოდექსი გამოიყენება იმათ წინააღმდეგ, ვინც სომხების მასობრივ მკვლელობებზე ხმამაღლა საუბრობს.

თურქული მხარის შიში გამოწვეულია იმითაც, რომ სომხების გენოციდის აღიარების შემთხვევაში, ნაციონალური თავმოყვარეობის შელახვის გარდა,

გენოციდის აღიარება სომხების მხრიდან მატერიალური კონპენსაციის მოთხოვნას და ტერიტორიული პრეტენზიების გაჩენას გამოიწვევს.

სომხეთსა და თურქეთს მჭიდრო ისტორიული ურთიერთობები აკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ დონეზე ურთიერთობები ცვალებადია, უარესდება ან უმჯობესდება, სომხეთსა და თურქეთში მთავრობები იცვლება, ხოლო ერთმანეთის მიმართ ჩვეული მტრული რიტორიკა არ ნელდება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სომხეთის დამოუკიდებლობა აღიარა. თუმცა, ამან ხელი ვერ შეუწყო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის შერბილებას. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტმა კი ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაართულა და ჩიხში შეიყვანა. თურქეთმა სომხეთთან საზღვარი 1993 წელს, მას შემდეგ ჩაკეტა, რაც სომხებმა კელბაჯარის რაიონი დაიკავეს [Görgülü,2014:8].

მიუხედავად არსებული კონფლიქტებისა, სომხეთის პირველი პრეზიდენტი ტერ-პეტროსიანი(1990-1997) და მისი თანამოაზრეები მიიჩნევდნენ, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის არსებულ ისტორიულ გამოცდილებას ხელი არ უნდა შეეშალა ორ სახელმწიფოს შორის პრაგმატული ურთიერთობების დაწყებისათვის [Görgülü,2014:6].

სომხეთის მიდგომა საკითხისადმი რადიკალურად შეიცვალა 1998 წლიდან, როდესაც ქვეყნის სათავეში რობერტ ქოჩარიანი (1998-2008) მოვიდა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა გენოციდის აღიარება იყო, საერთშორისო ასპარეზზე პრეზიდენტი ქოჩარიანი თურქეთისადმი უარყოფითად განწყობილ მოკავშირეებს აქტიურად ეძებდა. დიასპორის მხარდაჭერით, რადიკალურ-ნაციონალისტური მოძრაობების გააქტიურების შედეგად, სომხეთ-თურქეთს შორის ურთიერთობები პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის მმართველობის პერიოდში კიდევ უფრო დაიძაბა.

სერჟ სარქისიანის პერიოდში (2008-2018) სომხეთის საგარეო პოლიტიკა თურქეთისადმი დიდად არ განსხვავდება მისი წინამორბედის მიერ გატარებული პოლიტიკისაგან. სომხეთის გენოციდის აღიარება კვლავ დარჩა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ქვაკუთხედად.

სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დათბობას მოასწავებდა 2009 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული ციურიხის ოქმი, რომელიც ითვალისწინებდა ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასა და სუვერენიტეტის პატივისცემას [Gözen,2009:37]. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ახალი ფაზა იწყებოდა და ისტორიული ნარატივებით გამყარებულ პოლიტიკას პრაგმატული პოლიტიკური კურსი ჩაანაცვლებდა. თუმცა მოლაპარაკებების რაუნდი ჩაიშალა, რაშიც დიდი როლი სომხურმა დიასპორამ ითამაშა, რომელიც ციურიხის ოქმის რატიფიცირების წინააღმდეგი იყო, რადგანაც თურქეთისაგან მოითხოვდა სომეხთა გენოციდის აღიარებას, ხოლო მეორე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი გახდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი სომხეთსა და თურქეთის პარტნიორ აზერბაიჯანს შორის.

თურქეთის პოზიცია გენოციდის საკითხზე 2002 წელს ხელისუფლებაში „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ მოსვლის შემდეგ შერბილდა. თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი პირველი თურქი ლიდერი იყო, ვინც 2014 წელს სომხებს მიუსამძირობა. საგარეო საქმეთა მინისტრმა, აჰმეთ დავუთოღლუმ კი, 2013 წელს განაცხადა, რომ სომხების „არაადამიანური დეპორტაცია“ განხორციელდა[Akçam,2001:23], რაც თურქეთში გაბატონებული მოსაზრების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა. თუმცა რა თქმა უნდა, არა იმ დონეზე, რომ მოვლენა გენოციდად მოიხსენიონ.

„სომეხთა გენოციდის საკითხი“ კვლავ რჩება გადაუჭრელ პრობლემად, რომელიც ხელს უშლის თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის ნორმალიზაციას და

აფერხებს თურქეთის პოლიტიკური გავლენის ზრდას სამხრეთ კავკასიაში. ხოლო თურქეთთან ჩაკეტილი საზღვარი და მთიანი ყარაბაღის გამო გაჩაღებული კონფლიქტი აზერბაიჯანთან, სომხეთს იძულებულს ხდის თავისი პოლიტიკური კურსი მიმართოს რუსეთის ფედერაციისკენ, სომხეთ რუსეთის კავშირი კი ერთგვარ ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება რეგიონის ერთიანი სტაბილიზაციის ჩამოყალიბებაში.

4.2 თურქეთ-სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივები

თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების განახლებაზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც სომხეთმა 1991 წლის 21 სექტემბერს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო 1991 წლის ნოემბერში თურქეთმა აღიარა სომხეთის დამოუკიდებლობა და ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ ურთიერთობებსაც ჩაეყარა საფუძველი. გაიხსნა 268 კმ-იანი საზღვარი, თუმცა მალევე მოხდა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაფუჭება, რამაც განაპირობა 1993 წელს საზღვრის ოფიციალურად ჩაკეტვა. ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენდა სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რიგი საშინაო თუ საგარეო ფაქტორები. ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად სწორედ „სომეხთა გენოციდის“ აღიარება და თურქეთ-აზერბაიჯანის პარტნიორობა წარმოადგენდა ყარაბაღის კონფლიქტში.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მწვავე საკითხებისა, არსებობდა ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის მცდელობა. მაგალითად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, 2001 წლის ივლისში თურქეთ-სომხეთის შერიგების კომიტეტის (TARC) ჩამოყალიბება, რომლის წევრები გახდნენ წარმომადგენლები თურქეთიდან და სომხეთიდან, რომელსაც თავჯდომარეობდა ამერიკელი დავიდ ფილიპსი. კომისიის მიზანი იყო თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების

განახლებისათვის შესაფერისი ნიადაგის მომზადება, თუმცა რეალურად მან გაანალიზა 1915 წლის გენოციდის მასალები, მისცა რეკომენდაციები თურქეთსა და სომხეთის მთავრობებს [Ralchev,2010: 88], სადაც ხაზი გაესვა ურთიერთობების შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებას, წარსულში არსებული პრობლემების ერთად აღმოფხვრისკენ სვლას და საზღვრის გახნას. თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ მოხსენებაში საუბარი არ იყო იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენდა ეს ყველაფერი ურთიერთობების ნორმალიზებაზე.

მეორე მიმართულება, რომლითაც განვითარდა თურქეთ-სომხეთს შორის ურთიერთობები, გახლდათ თურქულ-სომხური ბიზნეს საბჭო (TABDC), რომელიც ჩამოყალიბდა 1997 წელს და გახდა „პირველი დამაკავშირებელი რგოლი ორივე ქვეყანაში კერძო და საჯარო სფეროებს შორის“. TABDC-ის მთავარი მიზანი იყო მოეხდინა ზეგავლენა სომხეთისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე, განევიტ-არებინა ეკონომიკური და სავაჭრო ქსელები პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის. 1993 წლის შემდეგ შეინიშნებოდა მცირე ცვლილებები ქვეყნებს შორის ურთიერთობებში, განსაკუთრებით სომხეთის ხელისუფლების სათავეში ლევონ ტერ-პეტროსიანისა და თურქეთში სულეიმან დემირელის პრემიერ-მინისტრობის დროს. მოგვიანებით რობერტ ქოჩარიანის ხელისუფლებაში მოსვლამ, სომხეთ - აზერბაიჯანს შორის საზღვრის ჩაკეტვამ და ურთიერთობების გაუარესებამ თავისი გავლენა იქონია თურქეთის პოლიტიკაზე [Akçam,2001:56] სომხეთის ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტ სერჟ სარქისიანის მოსვლის შემდეგ განახლდა მცდელობა, სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების მოგვარებისა, 2002 წელს გამოცხადდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ იაშარ იაქიშის სტრატეგია „პრობლემების არარსებობა მეზობლებთან“, რომელშიც საუბარია სომხეთთან დიპლომატიური კავშირების აღდგენაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ სტრატეგიაზე საუბრობდა აჰმეთ დავუთოღლლუც 2009 წლის ივნისში, ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე ამერიკა-თურქეთის

ურთიერთობების შესახებ და საფუძველ მოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით იმასაც, რომ ეს განცხადება ერთგვარი წინაპირობა გახლდათ 2009 წლის ოქტომბერში ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი შეთანხმებისა [Turkey-US relations, 2009:2.06].

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობებების განახლებაზე საუბარი 2008 წელს დაიწყო, როდესაც აპრილში არჩეულმა სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა სექტემბერში ერევანში დაპატიჟა თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული ფეხბურთის მატჩზე. ეს იყო სტრატეგიული ნაბიჯი, რომლითაც სომხეთმა გამოთქვა ახალი ურთიერთობის დაწყების მზაობა. 2009 წლის 10 ოქტომბერს ციურიხში ხელი მოეწერა შეთანხმების პროტოკოლს თურქეთსა და სომხეთს შორის. რომელსაც ხელის მომწერი ქვეყნებიდან ესწრებოდნენ სომხეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, ედუარდ ნალბადიანი და აჰმედ დავუთოღლუ, შუამავლები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზებაში, შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრი მიშელინ კალმი რეი და ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, ასევე აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარდ კუშნერი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ჰავიერ სოლანა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე სამუელ ზბოგარი, სომხეთისა და თურქეთის წარმომადგენლები შვეიცარიაში, შარლ აზნაური და ოლუზ დემირალპი. მთელი რიგი დაბრკოლებების გამო, შეხვედრა სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, თუმცა ამერიკის სახელმწიფო მდივნისა და შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩარევით ხელი მოეწერა პროტოკოლს [Gözen,2009:38]. ეს პროტოკოლი მოიცავდა ორ მნიშვნელოვან ასპექტს: საზღვრების გახსნას თურქეთსა და სომხეთს შორის და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას.

ციურიხის შეთანხმების თანახმად; სომხეთისა და თურქეთის რესპუბლიკებს სურდათ დაემყარებინათ კეთილმეზობლური ურთიერთობა და განევიტარებინათ ერთობლივი თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა სფეროებში, რომელიც მეტ სარგებელს მოუტანდა თურქეთისა თუ სომხეთის მოქალაქეებს.

საზოგადოების დიდ ნაწილი თანხმდება იმ საერთო პრინციპებზე, როგორცაა სუვერენიტეტი, თანასწორობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ტერიტორიული მთლიანობა და დაცული საზღვრები; თანხმდებიან ორ ქვეყანას შორის საზღვრის ორმხრივ ცნობაზე, რომელიც განსაზღვრულია მთელი რიგი საერთაშორისო აქტებით; თანხმდებიან საზღვრის გახსნის შემდეგ მინისტრების რეგულარულ შეხვედრაზე პოლიტიკური კონსულტაციებისათვის ³⁷ [Akçam,2001:53]

ამ ყოველივეს მიუხედავად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საზღვრის გახსნის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი „ყარაბაღის კონფლიქტი“ და „სომეხთა გენოციდის“ საკითხია. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ის იმედები და მოლოდინები, რაც ხელისმომწერ ქვეყნებს ჰქონდათ. თურქეთი ელოდა, აზერბაიჯან-სომხეთის საკითხის გადაწყვეტას, სომხეთის გენოციდის იგნორირებას, ხოლო სომხეთი თავის მხრივ ითხოვდა ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებას თურქეთთან, ენერგომატარებლებით სარგებლობის შესაძლებლობას, ვეტოს მოხსნას თურქეთის მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით და სხვა.

ციურიხის შეთანხმების რატიფიცირება არც ერთი ქვეყნის პარლამენტს არ მოუხდენია. რადგან ერევანის, განსაკუთრებით სომხური დიასპორის აზრით, თურქეთთან საზღვრის გახსნა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა იქნებოდა გენოციდის პატიება და დათმობებზე წასვლა. ოფიციალური ერევანი-

³⁷ Protocol on the Establishment of Diplomatic Relations Between The Republic Of Armenia and Republic of Turkey. Zurich, 2009; იხ.: http://www.armenian.ch/fileadmin/user_upload/saa/Docs/2009/200909-ArmeniaTurkeyProtocols_E.pdf

სთვის თურქეთი წარმოადგენდა მთავარ მუქარას სომხეთის ეროვნული უსაფრთხოებისათვის. რაც შეეხება თურქეთს, ოფიციალურმა ანკარამ უარი განაცხადა სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე სანამ იგი არ გაიყვანდა თავის შეიარაღებულ ძალებს აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიიდან, რომელსაც მოითხოვდა მესამე ქვეყანა, აზერბაიჯანი. მას სურდა სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაზე საუბარი დაწყებულიყო მას შემდეგ, რაც გადაიჭრებოდა მთიანი ყარაბაღის საკითხი, რადგან სხვა შემთხვევაში ეს ფაქტი იქნებოდა აზერბაიჯანის ინტერესების დარღვევა და თურქეთი დაკარგავდა მნიშვნელოვან პარტნიორს სამხრეთ კავკასიაში, რამაც განსაზღვრა თურქეთის პოზიცია.

თურქეთისათვის მონათესავე, ენერგორესურსებით მდიდარი აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ისტორიული მეტოქის - სომხეთისა. სწორედ ამიტომაც დღესდღეობით თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესი შეჩერებულია, რადგან პოლიტიკური დღის წესრიგში დააყენეს გენოციდისა და ყარაბაღის კონფლიქტის საკითხები, რომლებიც აბრკოლებენ საზღვრის გახნასა და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას.

რაც შეეხება პოლიტიკურ მხარდაჭერას, დასავლეთის მხრიდან ამ ფაქტს სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. დასავლეთის განვითარებულმა სახელმწიფოებმა აღიარეს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობების დათბობა სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტად, რამეთუ თურქულ-სომხური ურთიერთობების მოსალოდნელი დარეგულირება, შესაძლოა, უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცეს სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების სისტემაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და დაჩრდილოს ყველაფერი ის, რასაც ადგილი ჰქონდა დღემდე სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

როგორც აღვნიშნეთ, მეტად მნიშვნელოვანია ის თუ, რას მოუტანს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის დარეგულირება რეგიონს? რას შეცვლის რეალურად სამხრეთ კავკასიაში თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა? რა გავლენას იქონიებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დათბობა რეგიონის მომავალზე და დღემდე არსებული ეკონომიკურ პროექტებს გაუჩნდება თუ არა ალტერნატიული რეალიზაციის გზები. რამდენად დააზარალებს სომხეთის გეოპოლიტიკურ პროცესებში ჩართვა რეგიონის სხვა ქვეყნებს?

ჩვენთვის უმთავრესი მაინც ის არის, დაკარგავს თუ არა საქართველო სატრანზიტო ფუნქციას და რა პოლიტიკური თუ ეკონომიკური საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის დარეგულირება.

ყველაზე მეტი წუხილი საქონლის ტრანზიტში საქართველოს განსაკუთრებული რეგიონული როლის და მისგან მიღებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებასთან დაკავშირებით გამოითქმება. აქამდე სომხეთი დასავლეთს და ჩრდილოეთს ხმელეთით მხოლოდ საქართველოს გავლით უკავშირდებოდა. თურქულ-სომხური შეთანხმების შემდეგ, სომხეთის ტვირთებმა შეიძლება თურქეთზე გაიარონ. მეტიც, თუ აქამდე სომხეთი მეზობლებთან არსებული დაძაბული ურთიერთობების გამო მონაწილეობას არ ღებულობდა უფრო მასშტაბურ რეგიონულ სატრანსპორტო პროექტებში, თურქეთთან მისი შერიგების შემთხვევაში სომხეთზე გამავალი გზები შეიძლება უფრო მომგებიანად ჩაითვალოს. თუმცა ასეთ მასშტაბურ პროექტებში სომხეთის ჩართვა მხოლოდ თურქეთ - სომხეთის „შერიგებით“ არ იქნება განპირობებული და ამის მისაღწევად სომხეთ - აზერბაიჯანის ურთიერთობის დარეგულირებაც უნდა მოხდეს[პოლიტიკური ანგარიში 2010. www.nplg.gov.ge].

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის დაკარგვის საფრთხე საკმაოდ რეალურია. როცა საქმე სატრანზიტო მარშრუტებს ეხება - ნავთობი, გაზი ან მსგავსი

ტვირთი A-დან B პუნქტში ერთი კონკრეტული გზით გადაიტანება: თუ ქვეყანა ამ გზაზე არ არის, მას „გვერდს უვლიან“, ის კარგავს სატრანზიტო შემოსავალს და პოლიტიკურ გავლენას, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზაზე ყოფნას მოაქვს. შესაბამისად, საქართველოს რაღაც დანაკარგი ექნება. თუმცა, საჭიროა გავზომოთ, რამხელაა ეს დანაკარგი და ხომ არ აღემატება მას ამ პროცესის სხვა შედეგებიდან მიღებული სარგებელი [პოლიტიკური ანგარიში 2010. www.nplg.gov.ge].

ავიღოთ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის მაგალითი: შეიძლება ვიფიქროთ, რომ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების დარეგულირების შედეგად ის მნიშვნელობას დაკარგავს, რადგან სომხეთის ქალაქ გუიმრიზე გამავალი სარკინიგზო მარშრუტის აღდგენა გაცილებით იაფია. მაგრამ თუ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობები არ გაუმჯობესდა, თურქეთს მაინც დასჭირდება სარკინიგზო კავშირი აზერბაიჯანთან საქართველოს გავლით.

თუ განხორციელდა ყველაზე ოპტიმალური სცენარი, ანუ თურქულ-სომხურ შერიგებას სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის დარეგულირებაც მოჰყვა, ეს იმდენად წაადგება რეგიონის საერთო პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას, რომ საქართველოს მიერ მიღებული სარგებელი საგრძნობლად გადააჭარბებს სატრანზიტო ფუნქციის შემცირებისგან მიღებულ დანაკლისს [ჯულიმანი, ტლაშაძე, ცქიტიშვილი, 2015:64].

თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის დარეგულირებამ შეიძლება შეცვალოს რეგიონში გლობალურ მოთამაშეთა გავლენების გადანაწილების სცენარი, რაც შეცვლის სამხრეთ კავკასიის დერეფნის კონტროლის ბერკეტებსაც [მენტეშაშვილი, 2000:156].

თურქეთ-სომხეთის შეთანხმების შედეგად, საქართველოს გავლენა სომხეთზე ნამდვილად შესუსტდება, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სახიფათო, თუ ვიგულისხმებთ, რომ სომხეთი ახალ ვითარებას საქართველოს ინტერესების

საწინააღმდეგოდ გამოიყენებს. მაგალითად, ეთნიკურ ნიადაგზე დაძაბულობა გაღრმავდეს ჯავახეთში. ეს კი, გავრცელებული მოსაზრებით, სწორედ რუსეთის წაქეზებით შეიძლება მოხდეს. თუმცა დიდი ალბათობით თურქეთთან ურთიერთობების გამოსწორების შემთხვევაშიც საქართველოსთან სერიოზული კონფლიქტის გაჩაღება არ შედის სომხეთის სტრატეგიულ ინტერესებში. რადგანაც ვფიქრობთ, თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების დარეგულირება, ნაკლებად გამოიწვევს რუსეთის გავლენის სერიოზულ გაძლიერებას რეგიონში. უფრო მეტიც, ის სომხეთს, შეუსუსტებს რუსეთზე ორიენტაციის მოტივს და მას ევროპასთან დაახლოებას გაუადვილებს. ხოლო შეეგუება თუ არა რუსეთი სომხეთის თავისი გავლენის სფეროდან გასვლას ეს ცალკე საკითხია.

თავის მხრივ, უნდა ავლნიშნოთ, რომ ევროპა და განსაკუთრებით, ამერიკა, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა შეანელა სვლა დასავლეთისაკენ, აქტიურად უჭერს მხარს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის დარეგულირებას.

როგორი უნდა იყოს ქართული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიური დერეფნის აქტიური როლის შენარჩუნებაში, რაც ამ ასპექტში თურქეთ - სომხეთის ურთიერთობაში გამოიხატება და როგორ უნდა შეძლოს საქართველომ ამ რთული საკმაოდ არაპროგნოზირებადი სიტუაციის მართვა.

ამკარაა, რომ საქართველოს მთავრობას თურქეთ-სომხეთის დარეგულირების პროცესზე გავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი ბერკეტები არ აქვს და ამ კუთხით გააქტიურება არც სჭირდება. მისი ქმედება უნდა ემყარებოდეს იმ დაშვებას, რომ ამ პროცესის არც ერთი შესაძლო შედეგი ურთიერთობების დარეგულირება ან შეთანხმების ჩაშლა საქართველოსათვის უშუალო საფრთხეს არ წარმოადგენს. ამავე დროს, სასურველია შემდეგი პოლიტიკური სტრატეგიების მხარდაჭერა: საქართველოს მთავრობამ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების დარეგულირებას, განსაკუთრებით, თუ ის მოიტანს პროგრესს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებაში. მთავრობამ ასევე ხელი უნდა

შეუწყოს საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარებას. საზოგადოებამ და სახელმწიფო მართვის ორგანოებმა უნდა გაიაზრონ ამ კავშირების საჭიროება და მათი ღირებულება საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის. ამ ფონზე საქართველო შეძლებს შეინარჩუნოს მნიშვნელოვანი როლი სამხრეთ კავკასიის დერეფნის არსებობაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვექტორი გადატანილი იქნას სომხეთის მხარეს [მანჩხა-შვილი,2014:178]

ექსპერტების აზრით: „სომხეთი ამ უაღრესად გონივრული ნაბიჯის გამო წაგებული არ დარჩება, რადგან ამით ის მიიღებს სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დივიდენდებს. აშკარაა, რომ ეს გადაწყვეტილება წაგებულს არ დატოვებს არც აზერბაიჯანს და მასაც აუცილებლად მისცემს იმ რთული მდგომარეობის შემსუბუქების საშუალებას, რომელიც ყარაბაღის პრობლემას უკავშირდება [რეზონანსი,2016:08.11].

ასეთი ფართო მასშტაბიანი პოლიტიკური ცვლილებების ფონზე საქართველო ვერ დარჩება მაცურებლის როლში და არა მარტო აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი თურქეთ-სომხეთისა და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის მოწესრიგებას, არამედ სწორი მოქმედების შედეგად თვითონაც უნდა მიიღოს სერიოზული სარგებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანზიტული ქვეყნის როლი საქართველოს მნიშვნელოვან ფუნქციად რჩება, იგი არ არის ცენტრალური, როცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზეა საუბარი. უფრო კონკრეტულად, ეკონომიკური პოლიტიკა კონცენტრირებულია მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვაზე ენერჯეტიკის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში. ტვირთების ტრანზიტიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადაწყვეტი. თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების დარეგულირება ავტომატურად არ გამოი-

წვევს სომხეთ-აზერბაიჯანის მორიგებასაც. შესაბამისად, აშკარაა, რომ საქართველო შეინარჩუნებს სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი ქვეყნის სტატუსს, რომელსაც შედარებით კარგი ურთიერთობა აქვს რეგიონის ყველა მოთამაშესთან რუსეთის გარდა. ამიტომაც ის კვლავ რჩება ძირითადი რეგიონული სატრანსპორტო პროექტების სასურველ პარტნიორად.

თავი V. თურქეთისა და აზერბაიჯანის სტრატეგიული თანამშრომლობა

5.1 თურქეთი აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორი

აზერბაიჯანის რესპუბლიკამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 30 აგვისტოს, სსრკ-ის ოფიციალურ დაშლამდე (1991 წლის 8 დეკემბერი). აზერბაიჯანის რესპუბლიკამ საწყის ეტაპზე თავის საგარეო კურსი თურქეთს დაუკავშირა. აზულფაზ ელჩიბეის მიერ თავიდანვე პროთურქული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის აღებამ კი ირანისა და რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანი იყო პირველი პოსტ-საბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც წარმატებულად მოახერხა საკუთარი ტერიტორიიდან რუსული ჯარებისა და სასაზღვრო ნაწილების გაყვანა. ელჩიბეი ასევე ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მოთხოვნას აზერბაიჯანის დსთ-ში გაწევრიანების შესახებ, ამტკიცებდა, რომ აზერბაიჯანის დსთ-ში შესვლა, რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებას ნიშნავდა [Shaffer, 2002: 165]. აქედან გამომდინარე, რუსეთი აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ განიხილებოდა. იმ პერიოდში ასევე გართულდა ურთიერთობა ირანთან. ამის მიზეზად შეიძლება მოვიყვანოთ ორივე სახელმწიფოს ქმედებები აზულფაზ ელჩიბეი ღიად აცხადებდა, რომ უნდა მომხდარიყო „ორად გაყოფილი“³⁸ აზერბაიჯანის გაერთიანება, რაც, რაღათქმაუნდა, ირანისათვის უშუალოდ საფრთხეს წარმოადგენდა. თავის მხრივ, ირანის ინტერესებში არ შედიოდა ძლიერი აზერბაიჯანის არსებობა, რის გამოც იგი ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთს უჭერდა მხარს. და ბოლოს, კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის საკითხი და ბუნებრივი რესურსების განაწილება შედარებით მოგვიანებით გახდა ის თემა,

³⁸ აზერბაიჯანის ტერიტორიის ორ ნაწილად გაყოფა 1828 წელს რუსეთსა და ირანს შორის დადებული თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა. ირანში დღეს დაახლოებით 25-30 მილიონი ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს, მაშინ როცა აზერბაიჯანის მოსახლეობა 9 მილიონზე მეტია.

რომელმაც ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების შესაძლებლობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა [Ergun,2003:648].

ამ ყოველივემ განაპირობა აზერბაიჯანის მიერ თურქეთის არჩევა მთავარ მოკავშირედ. ამის მზაობა თურქეთმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაარსებისთანავე გამოთქვა, ანკარა აზერბაიჯანს განიხილავთა მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტნიორად, რომელიც თურქეთს დააკავშირებდა ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და, ამავე დროს, დაეხმარებოდა თურქეთს სამხრეთ კავკასიაში გავლენის მოპოვებაში.

ელჩიბეი ღიად აცხადებდა, რომ „ჩვენ პირველ რიგში ვართ თურქები და შემდეგ მუსლიმები“. ის იმასაც კი ამბობდა, რომ აზერბაიჯანი და თურქეთი იყო „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“ [Baran,2002:226]. გარდა ამისა, თურქეთი დასავლეთთან დამაკავშირებელ ხიდადაც მიიჩნეოდა, რომელმაც პირველმა აღიარა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. ამავე დროს ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში თურქეთის მიერ აზერბაიჯანის პოზიციების მხარდაჭერამ ორ სახელმწიფოს შორის მოკავშირეობისათვის საფუძვლიანი და ხელსაყრელი პირობები შექმნა.

თუმცა მკვეთრმა პროთურქულმა ორიენტაციამ და ამის შედეგად, ირანისა და რუსეთის გაღიზიანებამ თურქეთიც კი დააფიქრა, რომელიც აცნობიერებდა, რომ მის ხელთ არსებული რესურსებით იგი კონკურენციას ნამდვილად ვერ გაუწევდა რუსეთს და ირანს. გარდა ამისა, აზერბაიჯანის ტოტალურმა მარცხმა სომხეთთან ომში და ასევე ელჩიბეის მთავრობის გამოკვეთილად კორუფციულმა ხასიათმა განაპირობა ქვეყანაში ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა რიცხვის ზრდა, რაც დასრულდა 1993 წლის ივლისში სამხედრო გადატრიალებით. ხელისუფლება ყოფილმა კომუნისტურმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა ჩაიბარა.

ჰეიდარ ალიევის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ გამოჩნდა, რომ ის ბევრად უფრო პრაგმატული პოლიტიკოსი იყო, ვიდრე წინამორბედი. მის მთავარ

საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიად რუსეთთან და ირანთან ურთიერთობების ნორმალიზება იქცა.

1993 წლის 16 სექტემბერს ჰეიდარ ალიევმა მოსკოვში ხელი მოაწერა აზერბაიჯანის გაწევრიანებას დამოუკიდებელ თანამეგობრობაში (დსთ). იგი ამ გზით ცდილობდა ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას, თუმცა ამავე დროს ჰეიდარ ალიევი ეწინააღმდეგებოდა აზერბაიჯანის რუსეთის სრულ გავლენის სფეროში დაბრუნებას. კერძოდ, მან უარი განაცხადა ბევრი ისეთი სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რაც აზერბაიჯანის მოქმედების თავისუფლებას შეზღუდავდა. გარდა ამისა, ჰეიდარ ალიევმა უარი თქვა რუსეთის მოთხოვნაზე, რომ რუსული სამხედრო ნაწილები განთავსებული ყოფილიყო ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე [Bertsch,2000:41].

ჰეიდარ ალიევის პრეზიდენტობის დროს, აზერბაიჯანი ასევე ცდილობდა ირანთან ურთიერთობის ნორმალიზებას, რაც საწყის ეტაპზე გამოუვიდა კიდევ. აზერბაიჯანის მიზანი იყო მეზობლებთან სტაბილური ურთიერთობის ფონზე მოეხდინა ყარაბაღის კონფლიქტის თავის სასარგებლოდ გადაჭრა, თუმცა მოსკოვისა და თეირანისაგან იმედგაცრუებულმა აზერბაიჯანმა მზერა კვლავ ანკარისკენ მიაპყრო და მთავარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოკავშირედ თურქეთი გაიხადა. რომლის უშუალო დახმარებით 1994 წელს აზერბაიჯანი ჩაერთო ნატოს პროგრამაში, პარტნიორობა მშვიდობისათვის, 1999 წელს კი პირველად მიიღო მონაწილეობა ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში კოსოვოში. 2000 წელს, დიდი ხნის მოლაპარაკებების შედეგად, აზერბაიჯანი ევროპის საბჭოს წევრი გახდა, რაც პოსტკომუნისტურ ეპოქაში აზერბაიჯანის პროდასავლური ორიენტაციის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად იქნა შეფასებული [Ismailzade, (UNISCI Discussion Papers,) 2004: 4].

მთლიანობაში, თურქეთ-აზერბაიჯანის თანამშრომლობა წარმატებით განვითარდა ყველა სფეროში. 1992 წლის მაისის ბოლოს გაიხსნა მდინარე არაქსზე

თურქეთის მიერ აგებული ხიდი, რომელმაც დააკავშირა მეზობელი სახელმწიფოები. იმავე თვის დამლევს აზერბაიჯანში დემირელის ვიზიტთან დაკავშირებით, ანკარამ მოაწყო თურქეთის პირველი სატელევიზიო პროგრამის ტრანსლაცია. 1993 წლის 1 იანვრიდან კი აზერბაიჯანული ენა გადაიყვანეს ლათინური ალფაბეტის თურქულ ვარიანტზე. თურქეთმა აზერბაიჯანის ხელისუფლებას შესთავაზა დახმარება განათლების სფეროშიც. კერძოდ, ათასობით აზერბაიჯანელ სტუდენტს მოიწვევდა თავისთან განათლების მისაღებად.

1995 წლის 15 ივნისს გაზეთ „ნიუ სფოთში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია თურქეთ - აზერბაიჯანის ერთობლივი ბანკის ამოქმედების შესახებ. ის ჩამოყალიბდა თურქეთის აგრო ბანკის და აზერბაიჯანის ინდუსტრიული ბანკის ბაზაზე. თითოეულ მათგანს თანაბარი წილი ჰქონდა [NEW SPOT,1995:01.6]. ბანკი, მზარდი კაპიტალით, აზერბაიჯანში გახდა დიდი უფლებების მქონე პირველი საერთაშორისო ბანკი. მას შეეძლო მნიშვნელოვანი როლის შესრულება საერთაშორისო ვაჭრობაში.

თურქეთის პოზიციების განმტკიცებას აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში დიდად უწყობს ხელს საკუთრივ ამ რესპუბლიკების სურვილი დაუახლოვდნენ თურქეთს. ამის დასტურია 1994 წლის სექტემბერში სტამბოლში ჩატარებული კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას თურქეთთან ერთად ღებულობდნენ ყოფილი საბჭოთა მუსლიმური რესპუბლიკების პრეზიდენტები [Dogan, Kula,2007:78]. სტამბოლის კონფერენციამ შეასრულა მასზე დაკისრებული მისია, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აღნიშნულ კონფერენციას, ეს ფაქტი კი ბევრ რამეზე მიანიშნებდა.

თურქეთს როგორც აზერბაიჯანთან ისევე მთლიანად კავკასიასთან, სერიოზული წინააღმდეგობა ხვდება რუსეთის მხრიდან. ამ ფაქტთან დაკავშირებით ს. დემირელმა შემდეგი აღნიშნა: „მიუხედავად ყოფილი საბჭოთა მუსლიმური რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა, რუსეთი დიდად არის დაინტე-

რესებული ამ რეგიონში თავისი პოზიციების განმტკიცებით, რაც თურქეთთან მწვავე უთანხმოებას გამოიწვევს“ [TURKISH PROBE,1994:21.10].

თურქეთ - აზერბაიჯანის ურთიერთობათა მწვერვალს გახლდა 90-იანი წლების ბოლოს ჩატარებული სტამბოლის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის სამიტი. 1999 წლის 18 ნოემბერს სტამბოლში აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დოკუმენტს, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა საერთო მამტაბურ პროექტს. მაგრამ აღნიშნული სამიტი დატოვა რუსეთის პრეზიდენტმა ბ.ელცინმა, რომელიც უკმაყოფილო იყო სამუშაო პროგრამით. ეს ფაქტი კი მოასწავებდა სამიტის მონაწილე ზოგიერთ ქვეყანას შორის ურთიერთობების გამწვავებას [მაკარაძე,2000:82].

როგორც ვხედავთ, თურქეთის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში უპირის-პირდება რუსეთისა და ირანის ინტერესები. სწორედ ეს სამი სახელმწიფო საუკუნეების მანძილზე ებრძოდა ერთმანეთს კავკასიაში ბატონობისათვის. ამგვარი პოზიცია ახლაც ახასიათებს მათ, თუმცა მშვიდობიანი საფარველით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვითარება არ შეიძლება შეიცვალოს.

თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობა, რომელიც არასტაბილური იყო მხოლოდ იმიტომ, რომ თურქეთს სურდა სომხეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება, შედარებით ჩაწყნარდა. თურქეთ-სომხეთის მეგობრული ურთიერთობის განახლება დაიწყო მაშინ, როდესაც თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გული ეწვია სომხეთს ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებს. აზერბაიჯანი თვლიდა, რომ თურქეთის მთავრობის ეს ქმედება იყო ნამდვილი ღალატი აზერბაიჯანის მიმართ.

თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანი და სხვა ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ დიპლომატიური ურთიერთობები უნდა იყოს გამჭვირვალე, რათა მოსახლეობამ იცოდეს, თუ რა ხდება, არა ინფორმირებამ

თურქეთის იმიჯი შეარყია აზერბაიჯანში. ეს გახლდათ ახალი გამოწვევა თურქეთისათვის, რომლის წინაშეც ადრე ის არ დამდგარა და რისთვისაც არ იყო მზად. თურქეთს, სომხეთთან მოლაპარაკების გამო ურთიერთობა დაეძაბა აზერბაიჯანთან. დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში სომხებისადმი მტრულად განწყობილ და გარკვეულწილად შიშით შეპყრობილ ამ ქვეყანაში ნაციონალიზმი მძვინვარებდა. მან დაიპყრო მედია საშუალებები. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა მკაცრად გააკრიტიკა ექვსი აზერბაიჯანელი დეპუტატი, რომლებიც ეწვივნენ თურქეთს, რათა გამოეხატათ თავისი წყენა თურქეთის მთავრობის იმ ნაბიჯთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სომხეთს. ისინი გახდნენ მთავარი მოქმედი პირები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა დამაბვის ესკალაციისა. ერდოღანმა უარყო ბრალდება, რომ თურქეთის პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა აზერბაიჯანის ეროვნულ ინტერესებს [Baci,2017:145].

2004 წლის 13 მაისს რ.თ. ერდოღანი ეწვია ბაქოს, რათა აზერბაიჯანის პარლამენტში გამოსულიყო სიტყვით და მოეხსნა ორ ქვეყანას შორის არსებული დამაბულობა. მისმა სიტყვამ მოწონება დაიმსახურა. მან ფაქტობრივად საბოლოოდ აღმოფხვრა ეს კრიზისი. თურქეთ-აზერბაიჯანს შორის ნდობის აღსადგენად რ.თ. ერდოღანმა მიმართა აზერბაიჯანის დეპუტატებს, რათა მათ საფუძველი ჩაუყარონ ურთიერთობის გამყარებას. თურქეთის მთავრობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც აზერბაიჯანის მოსახლეობას აცნობა მიმდინარე ცვლილებების შესახებ. თუმცა, ანკარის პოლიტიკა ერევნის მიმართ ისევ რჩებოდა საკამათო საკითხად აზერბაიჯანის საზოგადოებაში. გამბაროვი, აზერბაიჯანის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი და ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის ლიდერი, ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ამბობდა: „თურქეთმა ანგარიში უნდა გაუწიოს აზერბაიჯანს თუ მას სურს საზღვრის გახსნა, რადგან ეს საკითხი ძალიან მძიმეა აზერბაიჯანისათვის. თურქეთმა და აზერბაიჯანმა ერთად უნდა იმსჯელონ

ამ საკითხზე. მე მჯერა რომ საზღვარი გაიხსნება იმ შემთხვევაში, თუ აზერბაიჯანის ინტერესები სრულად იქნება დაცული“.

აზერბაიჯანის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული გამოკვლევების ცენტრის დირექტორმა არაზ ასლანლიმ განაცხადა, რომ „საზღვარი არ გაიხსნება მანამ, სანამ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი არ მოგვარდება“.

მედია ექსპერტმა და მედია საბჭოს ყოფილმა დირექტორმა ზენალ მემედლიმ, თავის ინტერვიუში აღნიშნა: „თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები გამწვავდა, რადგან ამ ორი ქვეყნის საზოგადოება კარგად არ იცნობს ერთმანეთს. მე მათებს ის ფაქტი, რომ თურქული კულტურული ცენტრები არსებობს გერმანიაში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებული შტატებში, მაგრამ ბაქოში არ არსებობს არცერთი თურქული კულტურული ცენტრი.“ თურქეთმა ბევრი უნდა იმუშაოს, რათა დაწინაურდეს ამ მიმართებით [Baci,2017:149].

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები, პოზიტიური მიმართულებით ვითარდებოდა XX-საუკუნის 90-იან წლებში, ხოლო XXI საუკუნის დამდეგს ამ ურთიერთობებმა კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა, რომლის უმაღლეს მწვერვალად შეიძლება მივიჩნიოთ 2010 წელს თურქეთ-აზერბაიჯანის შორის გაფორმებული სტრატეგიული თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებში. პირობების თანახმად რომელიმე მათგანზე სამხედრო აგრესიის განხორციელების შემთხვევაში ქვეყნები ერთმანეთს მხარდაჭერას უცხადებდნენ.

ამდენად, თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების სიმყარე, რეგიონის სხვა ქვეყნების ურთიერთობისაგან განსხვავებით უფრო გამოკვეთილია, რაც გვაძლევს იმის საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ეს ურთიერთობები მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში მყარი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ უსაფრთხო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც საშუალებას მისცემს რეგიონს საბოლოოდ გამოვიდეს რუსეთის გავლენის სფეროდან.

5.2. მთიანი ყარაბაღის პრობლემა, როგორც თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის განმსაზღვრელი ფაქტორი

მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაწყებული უთანხმოება თურქეთის ურთიერთობაში განმსაზღვრელი ფაქტორია. მთიანი ყარაბაღის საკითხმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სომხეთთან დაკავშირებით თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზებაზე და იმ მცდელობებზე, რომლიც თურქეთის ეკონომიკური და სამხედრო კავშირების, დამყარების თვალსაზრისით ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 1988-1991 წლებში მთიანი ყარაბაღის გამო დაწყებული კონფრონტაცია მალე ომში გადაიზარდა. ამ ომის მსვლელობაში საერთაშორისოდ არაღიარებული დე ფაქტო რესპუბლიკისა და სომხეთის ჯარებმა ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკისა და მისი მოსაზღვრე მხარეების დიდი ნაწილი საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს. ომის დროს 11 000 აზერბაიჯანელი და 6 000 სომეხი დაიღუპა. 500 000 აზერბაიჯანელი განიდევნა მთიანი ყარაბაღისა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებიდან. სომხეთის მოსაზღვრე ტერიტორიიდან 30 000 კაცი განდევნეს, ხოლო მთიანი ყარაბაღის ჩრდილოეთით მდებარე მხარე შაუმიანიდან 40 000 სომეხს მოუწია იძულებით გადაადგილება. ამასთანავე, ჯერ კიდევ 1988-1990 წლებში „პოგრომების“ შედეგად აზერბაიჯანი 350 000 სომეხმა დატოვა და თავი სომხეთსა და რუსეთს შეაფარა. ამავე დროს, 186 000 აზერბაიჯანელმა და 18 000 მუსლიმმა ქურთმა დატოვა სომხეთი აზერბაიჯანში გადასასვლელად [Böll SOUTH CAUCASUS,2018.06.2].

ამიტომაც, ერევანსა და ბაქოს შორის ურთიერთობის ყველა საკითხი პირდაპირ და ირიბად სწორედ ყარაბაღის კონფლიქტთანაა დაკავშირებული. რომელთა შორის განუწყვეტლივ მიმდინარეობს კამათი მთიანი ყარაბაღის სტატუსის, სომხეთსა და მთიან ყარაბაღს შორის სახმელეთო მიმოსვლისა და ლტოლვილთა ორმხრივად დაბრუნების შესახებ.

1992 წლიდან მოყოლებული, მინსკის ჯგუფის³⁹ ფორმატით ეუთოს ფარგლებში წარმოებულმა მოლაპარაკებებმა კონფლიქტის დარეგულირებისათვის დღემდე ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო. სომხური საზოგადოების დიდი ნაწილისათვის აზერბაიჯანელები „თურქები“ არიან. ამის გამო 1915-1916 წლების სომეხთა გენოციდსა და მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანის შესაძლო მიზნებს შორის სწრაფად გამოიძებნა კავშირი [Böll SOUTH CAUCASUS,2018.06.2].

ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში აზერბაიჯანი და თურქეთი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. აზერბაიჯანმა თავისი ტერიტორიის ნაწილი, მთიანი ყარაბაღის სახით, დაკარგა. ის ახლა საერთაშორისოდ არაღიარებული დე ფაქტო სახელმწიფო მთიანი ყარაბაღია. მისი მიმდებარე სომხეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გამოდევნილია მრავალი ათასი ლტოლვილი და მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე არიან მიმობნეული. ბაქო ამ სტატუს-კვოს მდგომარეობის რევიზიას ითხოვს და ბოლო წლებში მასობრივად იარაღდება. მაგრამ გარდა დემარკაციის ხაზთან მოწყობილი პროვოკაციებისა, მაინც თავს იკავებს, კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაწყვეტისგან [Sayari,1994:186-187].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზერბაიჯანის მსგავსად, თურქეთსაც უკვე ორი ათეული წელია, რაც სომხეთთან საზღვარი ჩაკეტილი აქვს. მას მეზობელ სახელმწიფოსთან არც დიპლომატიური ურთიერთობა აკავშირებს. ანკარასა და ერევანს შორის დამაბული ურთიერთობის ძირითადი მიზეზიც ყარაბაღის კონფლიქტია. ანკარა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეცდება სომხეთთან ურთიერთობის გამოსწორებას, თუ ერევანი აზერბაიჯანთან დათმობებზე წავა. სომხეთი კი მთიანი ყარაბაღის საკითხში არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს.

³⁹ ეუთო-ს წევრი ქვეყნების ჯგუფი, რომელიც ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გზებს იძიებს. მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები არიან რუსეთი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. მინსკის ჯგუფის პირველი შეხვედრა 1992 წლის 1 ივნისს რომში ჩატარდა.

მიუხედავად თურქეთის პროაზერბაიჯანული პოლიტიკისა, აზერბაიჯანის მიმართ მისი მხარდაჭერა ძირითადად მაინც ვერბალური განცხადებებით ამოიწურებოდა და რაიმე რეალური შედეგი მას არ მოჰყოლია. თურქეთის თავშეკავებული პოლიტიკა გამოწვეული იყო, უპირველეს ყოვლისა, აშშ-თან მჭიდრო თანამშრომლობით და მეორეც, 1915 წელს სომხური გენოციდის მემკვიდრეობით (თუმცა, თურქეთი არ აღიარებს, რომ გენოციდს მართლაც ჰქონდა ადგილი). ამ უკანასკნელს კარგად იყენებენ სომხები. თურქეთის პასიურ მხარდაჭერას აზერბაიჯანისათვის ისიც განაპირობებდა, რომ აშშ-ის დახმარებაზე, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში, დამოკიდებულება იძულებულს ხდიდა მას ევროპისა და აშშ-ის პოლიტიკას მიჰყოლოდა. მან აშშ-ის ზეწოლით გააუქმა სომხეთზე აზერბაიჯანთან ერთად დაწესებული ემბარგო. ამასთანავე, თურქეთი ცდილობდა კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, თავიდან აეცილებინა რუსეთთან ურთიერთობების გამწვავება. ამავე დროს, თურქეთის ნებისმიერი მცდელობა მოეხდინა სომხეთთან ურთიერთობის ნორმალიზება, აზერბაიჯანის დიდ შემფოთებას იწვევდა, აზერბაიჯანი გმობდა თურქეთის ნებისმიერი სახის ცალმხრივი პოლიტიკას სომხეთთან.

მიუხედავად ამისა, თურქეთი უმნიშვნელოვანეს პრტნიორს წარმოადგენდა ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანისთვის. 1992 წელს ანკარამ და ბაქომ ხელი მოაწერეს სამხედრო სფეროში უთიერთდახმარების პაქტს, რომელიც ორივე მხარეს უადვილებდა ერთმანეთისათვის დახმარების გაწევას მესამე ქვეყნის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში[**მანჩხაშვილი,2014:197**], ეს შეთანხმება არსებით პირობას შეიცავდა: 1) ის რეგულირდებოდა გაეროს პრინციპებით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. რაც გამორიცხავდა თურქეთის პირდაპირ ჩარევას ყარაბაღის კონფლიქტში, რადგან ამისთვის საჭირო იქნებოდა არამარტო სომხეთის ოფიციალური აღიარება აგრესორად გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, არამედ ნატოში თურქეთის მოკავშირეების თანხმობაც. ამ მოვლენების საპირისპიროდ

თურქეთს არ შეეძლო წასულიყო უშუალო სამხედრო ჩარევაზე ყარაბაღის კონფლიქტში. ანკარაში კარგად იცოდნენ, რომ პირდაპირი სამხედრო ჩარევა კავკასიის რეგიონში ჩაეთვლებოდა, როგორც გამოწვევა არამარტო რუსეთისათვის, არამედ სხვა ქვეყნებისათვისაც. რომლებიც არ დატოვებდნენ ყურადღების გარეშე თურქეთ-აზერბაიჯანის სამხედრო ალიანსის პირველივე მოქმედებებს.

[Yanar,2002:107]

ამიტომაც, თურქეთი ცდილობდა ფრთხილი პოზიცია დაეკავა და თავის ურთიერთობებში აზერბაიჯანთან აეცილებინა ის ნაბიჯები, რომელიც მას პოლიტიკურად დამოკიდებულს გახდიდა აზერბაიჯანზე. თუმცა ანკარაში ისიც კარგად ესმოდათ, რომ პასიურობა ყარაბაღის საკითხში შემდგომში შეიძლებოდა ძვირი დაჯდომოდა თურქეთს, მაგრამ მიუხედავად ამისა თურქეთის პოლიტიკა ამ მიმართებით გაწონასწორებული იყო, გამომდინარეობდა რა შექმნილი რეალობიდან. თუმცა იყო ცნობები, რომ მაღალი რანგის თურქი ოფიცრები, მეტწილად უკვე გადამდგარი, იმყოფებოდნენ აზერბაიჯანში და კონსულტაციას უწევდნენ მის სამხედროებს საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვაშიც კი [Baci, 2017: 233].

1993 წლის აპრილში თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ანკარა ვალდებულებას იღებდა მიეწოდებინა აზერბაიჯანისათვის მსუბუქი შეიარაღება და მოემზადებინა სამხედრო სპეციალისტები. გარდა ამისა, თურქეთმა შეადგინა აზერბაიჯანის არმიის მოდერნიზაციის პროგრამა, ამავე დროს, 1993 წლის ნოემბერში ბაქომ რამდენიმე ქვეყანას, მათ შორის თურქეთს, მიმართა თხოვნით გამოეგზავნათ თავისი ჯარები, თუმცა თურქეთმა ეს არ გაკეთა. მეორე მხრივ, თურქეთი ღიად აცხადებდა, რომ არ გაუწევდა პირდაპირ სამხედრო დახმარებას აზერბაიჯანს და საერთოდ არ ჩაერეოდა პოლიტიკურ კონფლიქტში. ის სთავაზობდა თავისი სამხედრო პირების გაგზავნას მშვიდობისმყოფელთა მისიის შესრულებისათვის [კომახია, 2016: 8].

მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის აზრით, ყარაბაღის კონფლიქტი ეროვნული ხასიათის ომია, ზოგჯერ მას მუსლიმურ - ქრისტიანული დაპირისპირების ასპექტშიც განიხილავენ. ამიტომაც ამ კონფლიქტის მოგვარება, საუკუნეთა მიჯნაზე, დარჩა სამხრეთ კავკასიის რეგიონის უმნიშვნელოვანეს გამოწვევად [ორიენტალისტური ძიებანი,1995:95].

თურქეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრ ჰიქმეთ ჩეთინის განცხადებით, ყარაბაღის პრობლემა მსოფლიო მნიშვნელობისაა, რაც თავის მხრივ იმის მანიშნებელია, რომ მის გადაჭრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სხვა სახელმწიფოებმაც, რა თქმა უნდა, თურქეთის ჩათვლით [საქართველოს რესპუბლიკა, 1992: №43 11.03].

თურქული გაზეთი „ჰურიეთი“ წერდა, რომ თურქეთის პრეზიდენტი თურდუთ ოზალი ბაქოში ვიზიტის მეორე დღეს, სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის პარლამენტში, სადაც მტკიცე მხარდაჭერას დაჰპირდა აზერბაიჯნელ ხალხს ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში, სომხეთთან დაკავშირებით მან განაცხადა: „ამ ქვეყანას ისტორიიდან ჯეროვანი გაკვეთილები არ გამოაქვს. სომხებმა იგივე სცადეს ანატოლიაში, მათ არ ახსოვთ ის სიმწარე, სილა რომ გააწნეს.“ იმ შემთხვევაში, თუ სომხები მშვიდობიანად არ დატოვებენ აზერბაიჯანის მიწას, ისინი აქედანაც გამეევებული იქნებიან, აღნიშნა ოზალმა [HURIET, 1993: 14.04].

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ასამბლეის სხდომაზე თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა „ყოველთვის დაუჭერს მხარს თავის მოძმე აზერბაიჯანს სამართლიან ბრძოლაში“ და იქვე დასძინა: „თურქეთი მოითხოვს სომხეთისაგან, დაუყონებლივ დატოვოს აზერბაიჯანის ტერიტორია და შეუქმნას ადგილობრივ მოსახლეობას სამართლიანი, მშვიდობისა და თანამშრომლობის ვითარება, ყოველივე ამის შედეგად კი სამუდამოდ მოეღება ბოლო სისხლისმღვრელ ომს და გატანჯული ხალხი შვებით ამოისუნთქებს.“ თავისი გამოსვლის დასასრულს ს. დემირელმა

აღნიშნა, რომ კავკასიაში მშვიდობის მალე დამყარებით მოიგებს ამ რეგიონის ყველა სახელმწიფო [მაკარაძე, 2000: 79].

საერთაშორისო ურთიერთობების ფონზე, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს კვლავაც გადამწყვეტი გავლენა აქვს სამხრეთ კავკასიაში. აზერბაიჯანი და თურქეთი ერთმანეთთან კვლავ მჭიდროდ არიან დაკავშირებული. მათ სომხეთთან გამავალი საზღვრები ჩაკეტილი აქვთ. იზოლირებული სომხეთი კი აზერბაიჯანისგან, რომელიც გამალებით იარაღდება, საფრთხეს მოელის. რის გამოც უსაფრთხოების მიზნით რუსეთში ეძებს მფარველს. თურქეთი ანგარიშს უწევს ბაქოს მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს სომხეთის იზოლაცია. ბაქო კი, თავის მხრივ, მხარს უბამს თურქეთის ამბიციებს, იცოს რეგიონის მთავარი მოთამაშე.

თავი VI. თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობის მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის

6.1 კავკასიური სამკუთხედი: თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანი

1990 წლიდან მოყოლებული დღემდე, ოფიციალური ანკარა ახორციელებს საკმაოდ პრაგმატულ და სტაბილურ პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში. თურქეთი უპირატესობას ანიჭებს ურთიერთობებს აზერბაიჯანთან. ეს აიხსნება, როგორც ორი ქვეყნის კულტურული და ენობრივი სიახლოვით, ისე აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობით. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენისა და „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“ გაზსადენმა, ისევე როგორც „ბაქო-თბილისი-ყარსის“ სარკინიგზო პროექტის რეალიზაციის დაწყებამ სამხრეთ კავკასიას შესძინა დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია თურქეთისათვის [მაკარაძე, 2000:56]. თურქეთის სურვილი შემდეგში მდგომარეობდა: შეესრულებინა ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია ევროპასა და კასპიისპირეთის რეგიონს შორის. ამის ლოგიკური შედეგი გახლდათ ის, რომ საგრძნობლად გაიზარდა თურქეთის ინტერესი საქართველოს მიმართ, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს თურქეთისა აზერბაიჯანსა და ცენტრალურ აზიას შორის.

თურქეთმა განავითარა მჭიდრო კავშირები საქართველოსთან, რამაც შემდგომში მიიღო სტრატეგიული პარტნიორობის სახე.

ისმება კითხვა, რამდენად მჭიდრო და პერსპექტიულია თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობა და რა განაპირობებს შიიტური აზერბაიჯანის, მართმადიდებელი საქართველოსა და სუნიტური თურქეთის კავშირს?

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რეგიონში წარმოშობილი კონფლიქტებია, რადგან მათ წარმოშობაში საქართველო და აზერბაიჯანი რუსეთს ადანაშაულებენ, რამაც განსაზღვრა შემდგომში თურქეთის სასარგებლოდ მათი პოლიტიკური კურსი.

თეირანის მხრიდან აზერბაიჯანის მიმართ სამხედრო მუქარის არსებობის პერიოდში (2001 წლის ივლისი-აგვისტო) ოფიციალურმა ანკარამ ცალსახად აგრძნობინა ყველას, რომ თურქეთი წარმოადგენდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის უსაფრთხოების გარანტს და წლების მანძილზე, თურქეთს აქტიური წვლილი შეჰქონდა აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში [მაკარაძე,2000:78].

და მაინც, რამ განაპირობა აზერბაიჯანის პროთურქულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება?

პირველი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ელჩიბეი 1992-1993 წლებში თვლიდა, რომ აზერბაიჯანის ეროვნული იდეის შექმნაში მათთვის მისაბამი იყო სეკულარული თურქეთი და არა ისლამური ირანი. ეროვნული ფრონტის იდეოლოგიურ მიდრეკილებებზე საუბრისას ელჩიბეი ღიად აცხადებდა, რომ: „ჩვენ პირველ რიგში ვართ თურქები და შემდეგ მუსლიმები“. ის იმასაც კი ამბობდა, რომ აზერბაიჯანი და თურქეთი იყო „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“. შემდეგ ეს ფრაზა რამდენჯერმე შეახსენა თურქეთის ხელმძღვანელმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა აზერბაიჯანულ მხარეს და მის სიზუსტეში დაარწმუნა [გვალაია,2013:57].

მეორე, თურქეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა აღიარა.

მესამე, ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში თურქეთის მიერ აზერბაიჯანის პოზიციების მხარდაჭერამ ორ სახელმწიფოს შორის მოკავშირეობისათვის საფუძვლიანი და ხელსაყრელი პირობები შექმნა.

მეოთხე, ანკარა დასავლეთთან დამაკავშირებელ ხიდადაც მიიჩნეოდა. ასევე, თურქეთი გახდა აზერბაიჯანის ენერგოპარტნიორი, რასაც გლობალურ სამყაროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

აზერბაიჯანისათვის თურქეთის შერჩევა მთავარ პოლიტიკურ პარტნიორად პრაგმატული და კარგად გათვლილი სვლა იყო. თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა. ამით აზერბაიჯანი ნატოს სივრცეს უახლოვდება და მასთან პარტნიორულ თანამშრომლობაშია. თურქეთი მონათესავე ერია, ორივე ე.წ. „დიდი თურანის“ სივრცის შემადგენლები არიან [Demirkıran,2011:96] მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი სუნიტური სახელმწიფოა, ხოლო აზერბაიჯანი შიიტური, ორივე სახელმწიფოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მუსლიმური რწმენის მიმდევარია და ეთნიკური, კულტურული და მენტალური ასპექტით ახლოს დგანან ერთმანეთთან. თუმცა არც ერთ სახელმწიფოში რელიგია არ წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის წარმმართველ ძალას. რელიგიის უმთავრესი მიზანი გარდა სულიერი საზრდოსი, ეთნიკური იდენტობის და საზოგადოების სოლიდარობის ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გასაგებია, თუ სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა აზერბაიჯანის პროთურქული ორიენტაციის ჩამოყალიბება. თურქეთის მიზნები კი ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში უფრო გლობალურია, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა:

- ევროპასა და აზიას შორის ხიდის ფუნქციის შენარჩუნება;
- კავკასიაში რუსეთის დომინანტობის აღკვეთა;
- მეზობლებთან მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნება.

ყოველივე ეს რეგიონში ჰეგომონობის დამყარებას ისახავდა მიზნად.

აზერბაიჯანთან პირდაპირი კავშირის საჭიროება თურქეთს კარნახობდა, რომ მას სჭირდება მინიმუმ ორიდან ერთი - ან საქართველოს, ან სომხეთის გაკონტროლება. რუსეთის მიერ სომხეთის კონტროლისა და სომხეთ-თურქეთის ისტორიული უთანხმოების გამო ანკარამ გადაწყვიტა, აერჩია საქართველოსთან თანამშრომლობისა და სომხეთის იზოლირების სტრატეგია. აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისა და განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით,

თურქეთი ბაქოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორია. თურქეთთან ერთად ენერგო-დერეფნის ფუნქციის ათვისება და ყარაბაღის კონფლიქტის პერსპექტივები ბაქოს კარნახობდა, რომ მას სასიცოცხლოდ სჭირდება ანკარასთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება. [Brzezinski,2004:165]

რუსეთ-საქართველოს მტრობა თურქეთს ხელს აძლევდა, რადგან ეს სიტუაცია თბილისს თურქეთის სასარგებლოდ განაწყობდა, ბაქოსა და თბილისთან პარტნიორობა კი ანკარას კასპის ზღვაზე გასასვლელს მოპოვების გარანტი იყო. ამიტომ, კავკასიაში რუსეთის დაბრუნება თურქეთისთვის რეალური საფრთხის შემცველი იყო, ირანი კი მხოლოდ პოტენციურ საფრთხედ აღიქმებოდა თურქეთის მიერ. შესაბამისად, თურქეთის ინტერესი იყო, რომ საქართველოში და აზერბაიჯანში პოზიციები გაემყარებინა და ისეთი პირობები შეექმნა, როდესაც სომხეთში რუსეთის ყოფნა აზრს დაკარგავდა.

ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება ანკარასა და ერევანის შეთანხმების გარეშე, რეგიონის ორ დანარჩენ სახელმწიფოს აზერბაიჯანისკენ გზას უხსნიდა, თურქეთს კი ამ გზას უკეტავდა. შედეგად, მოსალოდნელია, რომ თურქეთი აქტიურად ჩაერთვება ყარაბაღის კონფლიქტის საკითხში, რომ მისი გადაწყვეტა ანკარას ინტერესების გათვალისწინების გარეშე არ დაუშვას.

შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქეთის გეოსტრატეგიული მიზნები, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, სამხრეთ კავკასიის მიმართ შემდეგია:

- დაემყარებინა საქართველოზე საკმარისი კონტროლი;
- გაემლიერებინა სტრატეგიული კავშირი აზერბაიჯანთან;
- შეექმნა პოლიტიკური დასაყრდენი ჩრდილოეთ კავკასიაში და მოეჭრა რუსეთისათვის გზა სამხრეთ კავკასიისკენ;
- განედევნა რუსეთი სომხეთიდან და უზრუნველყო რეგიონზე საკუთარი გრძელვადიანი გავლენა.

ზემოთ ჩამოთვლილიდან, თურქეთმა პირველი ორი სვლა ბრწყინვალედ შეასრულა, შეძლებს თუ არა მესამე და მეოთხე სვლების ასევე ბრწყინვალედ შესრულებას და პირველი ორის შენარჩუნებას ამას დრო გვიჩვენებს.

ყოველივედან გამომდინარე, საჭიროა სწორად გავანალიზოთ 90-იან წლებში, თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების სტრატეგია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით კი თურქეთ - აზერბაიჯანის სტრატეგიული ურთიერთობის ფონზე საქართველოსათვის.

უნდა ავღნიშნოთ, რომ XX საუკუნის მიწურულს თურქეთის მოსახლეობა იყო 70 მილიონზე მეტი, 784 ათასი კმ.კვ ტერიტორიით, საკმაოდ მზარდი ეკონომიკითა და ძლიერი შეიარაღებით [ბატიაშვილი,2000:45]. 2003 წელს კი პრემიერ - მინისტრად რეჯეფ თაიფ ერდოღანის არჩევის შემდეგ თურქეთმა კიდევ უფრო ძლიერი წინსვლა განიცადა, პრაქტიკულად ყველა სფეროში. აზიიდან ევროპაში ენერგეტიკული რესურსების გადაზიდვების საკვანძო სახელმწიფოდ გადაქცევამ, მას მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებული როლი შესძინა. რამაც, მას დიდი ამბიციები გაუჩინა, რომლის განხორციელებასაც მიზანმიმართულად და მეთოდურად ეწეოდა თურქეთის ხელისუფლება. თურქეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტი, დოქტორი მეჰმედ აკიფ ოყური თავის ნაშრომში ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური ტენდენციების შესახებ წერს, რომ „მსოფლიო ერთპოლარული პოლიტიკიდან მრავალპოლარულზე გადადის, და ხაზს უსვამს თურქეთის როლს რეგიონის უსაფრთხოებაში“ [Akif okur,2016: 235].

ჯერ კიდევ 2012 წლის 8 ივნისს ტრაბზონში თურქეთ -საქართველო - აზერბაიჯანს შორის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გაფორმდა კომუნიკე საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნისა და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ.

2012 წლის აგვისტოს დასაწყისში თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გულმა გააკეთა განცხადება „დიდი თურანი“-ს ერთიანი სივრცის შექმნის შესახებ, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდნენ, თურქეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და ყირგიზეთი. შეიქმნა და დამტკიცდა „დიდი თურანის“ დროშაც [კობახიძე, 2015:6].

2012 წლის სექტემბრის დასაწყისში ბიშკეკში ამ ოთხი ქვეყნის პირველი პირების შეხვედრაზე ხელი მოეწერა ერთიანი სატრანსპორტო კორიდორის შექმნის ხელშეკრულებას. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულტან ნაზარბაევმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ სატრანსპორტო კორიდორი თურქეთი (საქართველოს გავლით) - აზერბაიჯანი - კასპიის ზღვა- ყაზახეთი - ყირგიზეთი ვიდრე ჩინეთამდე დიდი თურანის სივრცის გასაძლიერებლად სერიოზული მექანიზმია. რა თქმა უნდა ეს სივრცე საქართველოს ნების გარეშე წარმოუდგენელია, რამეთუ იგი წარმოადგენს დამაკავშირებელ გზას თურქეთისა აზერბაიჯანთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან [მანჩხაშვილი, 2013: 158].

ამ სივრცეში კი საქართველო არათურქული მოდგმის ერთგვარი ლაქაა. ამ ლაქის აღმოსაფხრელად კი თურქეთის ძალისხმევა ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს 1988- 2004 წლები და 2004-დღემდე. აზერბაიჯანი თურქეთის მონათესავე ერია და ამ ორ სახელმწიფოს ერთმანეთთან ურთიერთობაში პრობლემები იშვიათად ჰქონიათ, ხოლო რაც შეეხება საქართველოს, მისი ე.წ. „ათვისება“ სერიოზული პრობლემების ფონზე მიმდინარეობს. თურქეთის მიერ საქართველოში საკუთარი ინტერესების გატარების უახლესი ისტორია 1988 წლის 8 ნოემბრით შეიძლება დავათარილოთ. ამ დღეს თურქეთთან მოსაზღვრე სოფელ სარფში გაიხსნა პირველი თავისუფალი საბაჟო გასასვლელი. ეს იყო პირდაპირი საკომუნიკაციო ხაზი სსრკ-სა და ნატო-ს სივრცეს შორის. თურქეთის განსაკუთრებულ ინტერესს საქართველო წარმოადგენდა, რადგან „დიდი თურანის“ სივრცეში ერთადერთ არამუსლიმურ სახელმწიფოს სწორედ საქართველო წარმოადგენს და იგი ერთგვარ ბარიერად მიიჩნევა ამ სივრცის ასათვისებლად. 2004 წლამდე საქართველოსა და

თურქეთს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები საშუალო დონის სავაჭრო ბალანსით გამოიხატებოდა. 2003 წლიდან საქართველოში და თურქეთში მომხდარმა ხელისუფლების ცვლილებებმა, ამ ორ მიმართულებას ახალი იმპულსი მისცა. ამ პერიოდიდან დაიწყო თურქეთმა საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ექსპანსია. თურქულმა წრეებმა ისლამის გავრცელების მიზნით დაიწყეს სერიოზული ინვესტიციების ჩადება რელიგიური ტაძრებისა და სასულიერო სკოლების დაფინანსებაში. ფინანსები ჩაიდო არა მარტო აჭარაში, არამედ ეთნიკური აზერბაიჯანლებით დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონშიც. თურქეთის ხელშეწყობით დაიწყო საქართველოს მოქალაქე მუსულიმური რელიგიის მიმდევარი ახალგაზრდების გაგზავნა თურქეთის საერო და სასულიერო სასწავლებლებში. სადაც ისლამის მოძღვრებასთან ერთად ეუფლებოდნენ თურქულ ენასა და ეცნობოდნენ თურქულ კულტურას [კომახია,2017:65]. ასეთმა პოლიტიკამ შედეგი გამოიღო და აჭარის მოსახლეობის მცირე ნაწილი ისევ მიუბრუნდა ისლამის რწმენას. მეორეს მხრივ, საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულმა ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარების პოლიტიკურმა კურსმა და ორმაგი მოქალაქეობის შემოღებამ თურქ ბიზნესმენებს საშუალება მისცა სწრაფი ტემპებით მიეღოთ საქართველოს მოქალაქეობა და აქედან გამომდინარე საშუალება მიეცათ საკუთარი ბიზნესის სწრაფად განსავითარებლად და უძრავი ქონების შესაძენათ.

2006 წელს რუსული ბაზრის ჩაკეტვის გამო თურქეთი გახდა მთავარი პარტნიორი სახელმწიფო საქართველოსთან ურთიერთვაჭრობის სფეროში. რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარმა 2008 წლის აგვისტოს ომმა კი უფრო დააჩქარა პროცესები და გაზარდა თურქეთის ეკონომიკური როლი ქვეყანაში. 2012 წლის პირველ სამ კვარტალში ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთბრუნვამ ერთ მიალიარდ დოლარს მიაღწია [Çelikpala, Cavid Veliyev, 2015: 12].

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოსათვის ოსმალეთის იმპერია საუკუნეების განმავლობაში მტრად და დამპყრობლად მიიჩნეოდა. მხოლოდ ბოლო სამი ათეული წელია თურქეთსა და საქართველოს შორის პარტნიორული ურთიერთობები ჩამოყალიბდა, მაგრამ ის ძველი მენტალიტეტი ქართველებში დღემდე არსებობს. თუ ზემოთ აღნიშნულ სამ ასპექტს - ეთნიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ექსპანსიას გავითვალისწინებთ, საკმაოდ დამაფიქრებელ სურათს მივიღებთ. თურქეთის მხრიდან „დიდი თურანის“ სივრცეში საქართველოს ათვისება სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს.

რაღა თქმა უნდა, კავკასიური გეოპოლიტიკა ვაკუუმში არ არის მოქცეული და ახლო აღმოსავლეთში ძალთა ბალანსის ნებისმიერ ცვლას შეუძლია კავკასიაში ნებისმიერ მოთამაშეს შეუქმნას ილუზია, რომ სტატუს-კვოს თავის სასარგებლოდ მარტივად შეცვლის [ჩიტბე,2008:112].

გამომდინარე აქედან, წარმოუდგენლად მიმაჩნია ამ რეგიონში მოვლენების თვითდინებაზე მიშვება. მიუხედავად ჯერ კიდევ მოუგვარებელი პრობლემების არსებობისა. აუცილებელია დიპლომატიური კონტაქტების გაძლიერება კავკასიის ყველა ქვეყანასთან და თურქეთის ქმედებების მიმართ უფრო მეტი პოზიციის დაფიქსირება. ეს კი შეაჩერებს დამატებით რისკებს და საბოლოო ჯამში, არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნების შესაძლებლობას მოგვცემს.

საქართველოს ხელისუფლებამ სიღრმისეულად უნდა გააცნობიეროს ის კონიუქტურა, რაც საქართველოს პარტნიორების თურქეთისა და აზერბაიჯანის გეგმებში შედის „დიადი თურანის“ სივრცის შექმნის თაობაზე და ადექვატური ნაბიჯები გადადგას.

ზემოთ აღნიშნული სურათი აჩვენებს, რომ თურქეთის გაცხადებული გეგმები „დიადი თურანის“ ერთიანი სივრცის შექმნის შესახებ საქართველოსათვის სერიოზული გამოწვევაა, ხოლო უკვე გადადგმული ნაბიჯები, რომელიც თურქეთის და აზერბაიჯანის მხრიდან განხორციელდა საქართველოში, რისკის მატარებელია

სახელმწიფოს სტაბილურობისა და განვითარებისათვის. პერსპექტივაში კი იგი დიდ საფრთხედ შეიძლება გადაიქცეს ქართული სახელმწიფოს მომავლისათვის, თუ ხელისუფლებამ ადექვატური ზომები არ მიიღო და სტრატეგიული გეგმები არ შეიმუშავა გამოწვევების და რისკების გაუვნებელყოფისათვის.

6.2 ენერგოპროექტები და მისი გავლენა თურქეთზე და სამხრეთ კავკასიის რეგიონზე

სამხრეთ კავკასიაში მომხდარი ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენა, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მიმდინარე მოვლენებზე აისახება, რის მიზეზსაც მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა განაპირობებს.

აღნიშნული რეგიონი უძველესი დროიდან წარმოადგენდა ევრაზიის დამაკავშირებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს. მისმა მიძინებულმა ფუნქციამ XX საუკუნის 90-იან წლებში კვლავ გამოცოცხლება დაიწყო და რეგიონს ახალი პერსპექტივები ჩაუსახა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დასავლეთმა შეძლო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობის დამყარება, მის ერთ-ერთ ძირითად ინტერესის საგანს ამ სივრცეზე არსებული წიაღისეული წარმოადგენდა. ის ყოფილი „მოკავშირე რესპუბლიკები“, რომლებიც ნავთობის, გაზის, ქვანახშირის ან სხვა სახის პირველადი ნედლეულის დიდ მარაგს ფლობენ, იმთავითვე აქტიურად ეძებდნენ და ეძებენ თავიანთი სიმდიდრის დასავლეთში გადატანის ალტერნატიულ გზებს, ვინაიდან რუსეთის ტერიტორიაზე გამავალი მაგისტრალური ხაზები მათი პოლიტიკური და ეკონომიკური დაკაბალების საშუალება ხდებოდა, მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თურქმენეთი, რომელიც მსოფლიოში მეორე ადგილზეა ბუნებრივი აირის მარაგით, მაგრამ ამ სიმდიდრის პოსტსაბჭოური სივრცის გარეთ გატანის არანაირი საშუალება არ გააჩნია: ყველა

მილსადენი რუსეთზე გადის, ეს უკანასკნელი კი ნამდვილად არ არის დაინტერესებული თურქმენეთის კონკურენციით ევროპულ ბაზარზე, ვინაიდან თავად სურს ამ ბაზრის დაპყრობა და ჯერ-ჯერობით საკმაოდ წარმატებითაც ახერხებს ამას [Demirkıran,2011:146].

ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიის დერეფნის წარმოქმნა, როგორც დამაკავშირებელი გზა ევროპასა და აზიას შორის, განპირობებულია ცენტრალური აზიის ენერგორესურსებთან სიახლოვით, რუსეთის ენერგომონოპოლიის შესუსტებით და ირანის რადიკალიზმით. მეორე მხრივ, ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის პერსპექტივა რუსეთ-საქართველოს შორის არსებულმა კონფლიქტებმა შეასუსტა, აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ენერგოდერეფნის საქართველოს ტერიტორიაზე გაჭრა კი სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტმა და სომხეთსა და თურქეთს შორის დამაბულმა ურთიერთობამ წაახალისა. ყარაბაღის კონფლიქტი რომ არა, საქართველო თავის ენერგოსატრანსპორტო ფუნქციას ნაწილობრივ დაკარგავდა, რადგან, უმოკლესი გზა თურქეთიდან აზერბაიჯანში არა საქართველოს, არამედ სომხეთის ტერიტორიაზე გადის.

თანამედროვე მსოფლიოში ენერგეტიკული ბაზრების და საკომუნიკაციო არხების გადანაწილება უმაღლეს გავლენის სფეროთა ცვლილებას. ამ რეალობიდან გამომდინარე, 1992-1993 წლებიდან, თურქეთის წინადადებით, ცენტრალური აზიისა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელებმა დაიწყეს სერიოზულად ფიქრი ევროპაში გასასვლელი ალტერნატიული მაგისტრალის მარშრუტზე. ეს პროექტი კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის მაშინდელმა ხელისუფლებამ ჰეიდარ ალიევის ხელმძღვანელობით პრინციპულად გადაწყვიტა საკითხი, არსებული ნავთობის უზარმაზარი მარაგის დასავლეთში გატანის შესახებ [Baci, 2017:331].

1993 წელს ბრიუსელში ინიცირებული იქნა სატრანსპორტო დერეფნის პროექტი „ევროპა-კავკასია-აზია“ (TRACECA).⁴⁰ იგი ერთ-ერთი დამაკავშირებელი სატრანსპორტო ხაზია, რომელიც გადის ევროპიდან შავი და კასპიის ზღვების გავლით ცენტრალური აზიის ქვეყნებში. ამ პროექტში რვა ქვეყანა მონაწილეობდა (აზერბაიჯანი, თურქმენეთი, საქართველო, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი). კონფერენციის შედეგად მიიღეს ბრიუსელის დეკლარაცია, რომელმაც დასაბამი მისცა ტექნიკური ხელშეწყობის რეგიონ-თაშორის პროგრამას ევროკავშირის დაფინანსებით [მანჩხაშვილი, 2014:198]. დღესდღეობით ამ პროექტის მონაწილეა აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის 13 ქვეყანა. 1996-1998 წლებში პროგრამას შეუერთდა უკრაინა და მოლდოვა, ხოლო 2000 წლის მარტში ბულგარეთი, თურქეთი და რუმინეთი, რომლებიც ასევე გახდნენ „დერეფნის განვითარების საერთაშორისო ტრანსპორტის ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმების“ მონაწილეები [გორგილაძე,2005:86].

1998 წლის სექტემბერში ბაქოში ჩატარდა კონფერენცია „TRACECA - ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენა“. აღსანიშნავია პროექტის მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ იგი ორჯერ უფრო მოკლე სატრანზიტო გზას წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფნებს შორის.

პროექტის დაწყებიდან დღემდე „ტრასეკას“ მიერ დაფინანსებული იქნა უამრავი პროექტი, რომლის მიზანი იყო პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მხარდაჭერა, მათი ევროპულ და მსოფლიო ბაზრებზე გასვლის ზრდაში დახმარება და ალტერნატიული სატრანსპორტო გზების მოძიება [ივერია,2017:07.8].

მეორე მნიშვნელოვან პროექტს, რომელსაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონის სატრანზიტო, ევრაზიის დამაკავშირებელი დერეფნის ჩამოყალიბებას, 1995 წელს

⁴⁰ ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (TRACECA). ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ამ რეგიონის სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა განვითარებას.

ჩაეყარა საფუძველი და ინოვეიტის (INOGEOT)⁴¹ პროგრამის სახელით შევიდა ისტორიაში. იგი წარმოადგენდა ენერგეტიკული თანამშრომლობის საერთაშორისო პროგრამას, რომელშიც ჩართულნი არიან ევროკავშირის (EU) წევრი სახელმწიფოები, თურქეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, გარდა ბალტიისპირეთის და რუსეთის ფედერაციისა. აღნიშნული პროგრამა იმიფრება როგორც „ევროკავშირის, შავი და კასპიის ზღვის სახელმწიფოებსა და მათ მეზობელ ქვეყნებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშემწყობი პროგრამა“, რომელიც თავდაპირველად ორიენტირებული იყო ნავთობისა და ბუნებრივი აირის მილსადენებზე, აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის გავლით ევროკავშირისაკენ.

INOGATE-ის პარტნიორი ქვეყნები არიან:

- აზერბაიჯანი
- საქართველო
- სომხეთი
- ბელარუსი
- უკრაინა
- მოლდოვა
- თურქეთი
- ტაჯიკეთი
- უზბეკეთი
- ყაზახეთი
- თურქმენეთი
- ყირგიზეთი

⁴¹ INOGATE (ინოვეიტი) წარმოადგენს ენერგეტიკული თანამშრომლობის საერთაშორისო პროგრამას, ინოვეიტს საფუძველი ჩაეყარა 1995 წელს. იგი წარმოადგენდა ევროკავშირის მხრიდან მხარდამჭერის ისეთ მექანიზმს, რომელიც მიმართული იყო ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების ევროპაში ტრანსპორტირების უზრუნველყოფისაკენ.

- რუსეთის ფედერაცია სარგებლობს მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით.

INOGATE-ის სამდივნო უკრაინაშია (კიევი), ხოლო მისი ფილიალი – საქართველოში (თბილისი). ამ პროექტებმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა კავკასიის, როგორც ევრაზიის დამაკავშირებელი ხიდის შექმნას [Ugur,2000:97].

სამხრეთ კავკასიის ენერგოსატრანზიტო დერეფნის ჩამოყალიბებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიულ თანამშრომლობასაც.⁴²

ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები სტრატეგიული პარტნიორობის წარმატებული მაგალითია. მითუმეტეს ისეთი რეგიონის კვალობაზე, როგორცაა სამხრეთ კავკასია. პარტნიორობას საფუძველი ჩაუყარა მრავალმა ფაქტორმა. ეს იყო საერთო პრობლემები და გამოწვევები - ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და მისი თანმხლები ომები, სამოქალაქო დაპირისპირება და საბჭოთა კავშირის დანგრევის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები; მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო საერთო ხედვა, თავი დაეღწია საბჭოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელისაგან.

საქართველო -აზერბაიჯანის თანამშრომლობას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ენერგეტიკა წარმოადგენს ორი ქვეყნის თანამშრომლობის უმთავრეს მიმართულებას. 2008 წლის ნოემბერში, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიას (SOCAR) შორის გაფორმდა მემორანდუმი საქართველოსათვის აზერბაიჯანული გაზის მოწოდების თაობაზე. ამ დოკუმენტის ხელმოწერით, საქართველომ პირველად გააფორმა გრძელვადიანი კონტრაქტი

⁴² დღეისათვის ორ სახელმწიფოს შორის ხელმოწერილია 100-ზე მეტი ხელშეკრულება - სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს თანამშრომლობის ყველა სფეროს.

ქვეყნისათვის გაზის მიწოდების მხრივ. ამავდროულად, SOCAR-ი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინვესტორია [www.azerbaijan.mfa.gov.ge].

ორ ქვეყანას ერთმანეთთან აკავშირებს ისეთი მსხვილმასშტაბიანი, რეგიონული მნიშვნელობის მქონე ენერგეტიკული მიღწევები, როგორებიცაა „ყულევის“ ნავთობტერმინალი, „ბაქო-სუფსისა“ და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენები.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, იყო ის პირველი პროექტი რომელმაც საქართველოს გავლით აზერბაიჯანული ნავთობი მსოფლიო ბაზარზე გაიტანა. სწორედ ამ პროექტის წყალობით მოექცა სამხრეთ კავკასია დასავლეთის ყურადღებისა და ინტერესების სფეროში. მისი წყალობით შემოვიდა საქართველოში დიდი ინვესტიციები, დახმარება და ქვეყანა მოწყდა რუსეთის გავლენის სფეროს. ეს სრულიად კანონზომიერი იყო, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელსაც გადარჩენისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი, სულ ცოტა რეგიონული მასშტაბის, ფუნქცია სჭირდება [სვანიძე, 2007:354].

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, რომლის წყალობითაც ქვეყანა „გაზპრომზე“ დამოკიდებულებული აღარ იყო. ბაქო-თბილისი-ერზერუმი მალე რეგიონის მასშტაბსაც გასცდება (მას შემდეგ რაც ახალი მილსადენით იგი სამხრეთ ევროპაზე გავა), რის წყალობითაც საქართველოს და აზერბაიჯანის მნიშვნელობა ევროპისა და დასავლეთისათვის კიდევ უფრო გაიზრდება.

საქართველო და აზერბაიჯანი ერთად მონაწილეობენ „სამხრეთის დერეფნის“ ინიციატივის განხორციელებაში. ისეთი გლობალური ენერგეტიკული პროექტების პრაქტიკული განხორციელება, რომელიც („Nabucco“, „Trans-Caspian Pipeline“ („ტრანს-კასპიური“ მაგისტრალი), „White Stream“ (თეთრი ნაკადი), AGRI (აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთის შორის შეკუმშული ნავთობის ტრანსპორ-

რტირება) ხელს შეუწყობს მონაწილე სახელმწიფოების ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვან ზრდას [Taskin,2006:112].

თანმშრომლობა ენერგეტიკის სფეროში, მიზნად ისახავს ენერგორესურსებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციას და ევროპის რეგიონის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ასევე, საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეოპოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დივერსიფიკაცია და მისი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. საქართველო და აზერბაიჯანი წარმოადგენს სატრანსპორტო კომუნიკაციების საკვანძო რგოლებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. გრძელდება რეალიზაცია ქ. ბაქოში 1998 წლის 8 სექტემბერს ხელმოწერილ ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმების ევროპა-კავკასია-აზია სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესახებ (TRACECA). საქართველო-აზერბაიჯანის წარმატებული თანამშრომლობის დადასტურებას წარმოადგენს „ბაქო-თბილისი-ყარსის“ სარკინიგზო პროექტი. რომლის რეალიზაციის შედეგად, საქართველოსა და აზერბაიჯანის სარკინიგზო სისტემები დაუკავშირდება ევროპის ცენტრალიზებულ სარკინიგზო ქსელს, რომელსაც გააჩნია გეოსტრატეგიული მნიშვნელობა შავი ზღვისა და კასპისპირეთის მთელი რეგიონისათვის [Brown,2000:97].

ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილი პროექტები პანაცეა არ არის. მაგრამ საქართველოსნაირი სახელმწიფოსათვის, რომლის უმნიშვნელოვანეს კაპიტალს მისი ადგილმდებარეობა და სატრანზიტო პოტენციალი წარმოადგენს, ისინი მეტად მნიშვნელოვანია. მით უფრო, რომ ქართულ-აზერბაიჯანული პარტნიორობა ამით არ ამოიწურება და მას მრავალმხრივი თანამშრომლობა ახასიათებს ისეთ

რეგიონულ ფორმატებში, როგორებიცაა: სუამი (GUAM),⁴³ ბისეკი (BSEC), ტრასეკა (TRACECA), ინოგეიტი (INOGATE) და ა.შ. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ (EaP) ინიციატივას და ამ ინიციატივის ფარგლებში აზერბაიჯანულ მხარესთან ერთობლივი რეგიონული პროექტების განხორციელებას. სწორედ ეს პროექტები და საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობა არის განმსაზღვრელი სამხრეთ კავკასიის, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფნის არსებობაში, რომელსაც აქვს საკმაოდ მზარდი პერსპექტივა უზრუნველყოს ცენტრალური აზიის ენერგორესურსების ტრანზიტი ევროპაში და ევროპის ენერგოუსაფრთხოება [მუხიგულიშვილი,მარგველაშვილი,2015:65].

ენერგორესურსები თავისი აღმოჩენის დღიდან გამოიყენებოდა როგორც ეკონომიკური დივიდენდების მისაღებად, ასევე მძლავრ პოლიტიკურ იარაღად. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინო გახდა თანამედროვე მსოფლიოში, როცა ენერგორესურსებისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

მსოფლიოში სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება ბუნებრივ აირსა და ნავთობზე, მათი არსებული მარაგი კი ამოწურვისკენ მიდის. ამიტომაც, იმ რეგიონების მიმართ დაინტერესებამ, რომელთაც ნავთობის და გაზის დიდი რეზერვი გააჩნიათ, განსაკუთრებულად იმატა. კასპიის რეგიონს კი ახალ მსოფლიო ენერგოპოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით - ევროპისათვის [გორგილაძე,2005:56].

ბრიუსელის დღის წესრიგში უკვე რამდენიმე წელია სერიოზულად დგას ალტერნატიული ენერგორესურსების მოძიების საკითხი და შესაბამისად, კასპიის რეგიონი ევროპის ყურადღების ცენტრშია, თუმცა, მსოფლიო ენერგოპოლიტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არამარტო იმ ქვეყნებს, რომლებიც უშუალოდ

⁴³ სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1997 წლის ოქტომბერში ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკის მიერ - რომელშიც გაწევრიანებული არიან საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა.

მისი მომპოვებელნი არიან, არამედ იმ ქვეყნებსაც, რომელთა გავლითაც ამ ენერგორესურსების ტრანსპორტირება ხდება დანიშნულების ადგილამდე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევრაზიის რეგიონი დიდი გეოპოლიტიკური თამაშების არეალი გახდა [KIZILBUĞA, 2013: 154].

ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე თავად ევროპაა, რომელიც გაზისა და ნავთობის მოხმარების მხრივ მსოფლიოში წამყვან ადგილს იკავებს, ამიტომაც ის მაქსიმალურად ცდილობს ენერგოდამოკიდებულების დივერსიფიცირებას.

თავის მხრივ, სერიოზულ მოთამაშედ ჩამოყალიბდა რუსეთი, რომელმაც ენერგორესურსები საგარეო პოლიტიკის ძირითად იარაღად აქცია. იგი ევროპისთვის ყველაზე დიდი ენერგომომწოდებელია და ცდილობს ბრიუსელი რუსულ ენერგორესურსებზე სულ უფრო დამოკიდებული გახადოს.

კიდევ ერთი მოთამაშე, რომელიც, მართალია, თავად არ გახლავთ ენერგორესურსების მფლობელი ქვეყანა, მაგრამ ევროპის ალტერნატიული ენერგორესურსებითა და მისი ტრანსპორტირების გზებით დაინტერესებამ განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მნიშვნელობა შესძინა - თურქეთია, მსოფლიოს დამტკიცებული ნავთობრესურსების 72%-ისა და გაზის მარაგის 73%-ის სიახლოვე თურქეთს საშუალებას აძლევს, მსოფლიო ენერგორესურსების ტრანსპორტირებისა და განაწილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცეს. თურქეთს აქვს უდიდესი პოტენციალი, ევროპისათვის გახდეს ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის რესურსებთან წვდომის უმოკლესი გზა, რომელიც ბრიუსელს ტექნოლოგიურად გამართულ უსაფრთხო სისტემას, სტაბილურ მიწოდებასა და მისაღებ ფასს სთავაზობს [Davutoglu,2013:124]. შესაბამისად, ანკარას სურს, ენერგორესურსების არამარტო ტრანზიტორი ქვეყანა იყოს, არამედ მისი გადამყიდველიც, ამისათვის კი მას ახლო აღმოსავლეთთან, ცენტრალურ აზიასთან და კავკასიასთან განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა სჭირდება. სამივე რეგიონი ენერგორესურსების სიმდიდრით გამოირჩევა. გარდა ამისა, ეთნიკური ნათესაობა, რელიგი-

ური ერთობა და ისტორიული სიახლოვე თურქეთს საშუალებას აძლევს ზემოხსენებულ რეგიონებში საკუთარი გავლენა გაზარდოს და ახალი ენერგო-პროექტების საშუალებით არამარტო ეკონომიკური მოგება მიიღოს, არამედ მსოფლიო ენერგოპოლიტიკაში მნიშვნელოვანი მოთამაშის ადგილი დაიმკვიდროს. ამ პოლიტიკაში კი აზერბაიჯანსა და საქართველოს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება [Davutoglu,2013:124].

თანამედროვე მსოფლიოში ენერგეტიკული ბაზრების და საკომუნიკაციო არხების გადანაწილება, არის ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გავლენის სფეროთა ცვლილება. ამ მხრივ, პირველ რიგში, თურქეთის ყურადღებას იქცევს კასპიის ზღვის რეგიონის ენერგორესურსები. უხეში გათვლებით კასპიის რეგიონში მსოფლიო ნავთობის მარაგის 12% და გაზის 15 % არის განთავსებული [Baci,2013:137]. გარდა ამისა, ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე, ენერგორესურსების ტრანსპორტირების მცირე ხარჯები კავკასიის რეგიონს თურქეთის თვალში კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ანკარის პოლიტიკის შედეგიანობაზე უკვე განხორციელებული პროექტები და ამ პროექტების მომავალი პერსპექტივები მეტყველებს. აღსანიშნავია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლის მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა. ის ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენთან ერთად მსოფლიოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს, რადგან კასპიის ზღვის აუზიდან რუსეთის გვერდის ავლით აწვდის ევროპას ენერგორესურსებს. არანაკლებ ფუნქციური დატვირთვა აქვს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალს, რომელიც ჩინეთისა და ყაზახეთის ჩართვის შემთხვევაში კონკურენციას გაუწევს რუსეთზე გამავალ ტრანსციმბირულ მაგისტრალს. მას „რკინის აბრეშუმის გზასაც“ კი უწოდებენ. თურქეთის ჩართულობა მსგავს პროექტებში მას არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოს სტატუსს ანიჭებს [მაკარაძე, 2010:87].

თურქეთის მიერ კეთილმეზობლური რკალის შეკვრა ამყარებს მის პოზიციებს რეგიონში. აზერბაიჯანის პროთურქული პოლიტიკა უკვე ტრადიციადაა ქცეული. საქართველოსა და თურქეთს შორის კი საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა ბოლო ათწლეულის მანძილზე. გარდა ამისა, საყურადღებოა ორმხრივი და სამხრევი ხელშეკრულებები: ღია საზღვრები, თვისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პაქტი და ახლახანს გაფორმებული „ტრაპზონის დეკლარაცია“. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს საქართველოს, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობას სამთავრობო უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის დარგში [ჩიტალაძე, 2014:19.2].

ეკონომიკური აქტიურობის ფონზე თურქეთის გავლენა განუხრელად იზრდება სამხრეთ კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ მას ძლიერი შეიარაღებისა, სწრაფი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფონზე აქვს სურვილი თავისი გავლენის სფეროში მოაქციოს ეს რეგიონი. მსგავსი მცდელობა შესაძლოა, მისი გრძელვადიანი პოლიტიკური კურსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყოს და პანთურქული იდეოლოგიასთანაც კი აღმოაჩნდეს საერთო[მანჩხაშვილი, 2014:188].

თურქეთის ინტერესები მხოლოდ სამხრეთ კავკასიით არ შემოიხზავრება. თურქეთი რეგიონალური მოთამაშეა და მისი ავტორიტეტი დღითი დღე იზრდება განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ თურქეთის ენერგოსატრანზიტო პოტენციალს.

თურქეთის სატრანზიტო ხაზი მოიცავს ისეთ, ექსპულატაციაში შესულ და განსახორციელებელ პროექტებს, როგორცაა:

- ერაყ-თურქეთის ნავთობსადენი;
- ერაყ-თურქეთის ბუნებრივი გაზსადენი;
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი;

- შაჰდენიზი (ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი);
- რუსეთ-თურქეთის გაზსადენი;
- „ცისფერი ნაკადი“, რომელიც ნოვოროსისკიდან შავი ზღვის ფსკერის გავლით თურქეთში შედის;
- ნაბუქო, რომლის განხორციელების შემთხვევაში ცენტრალური აზიის ბუნებრივი გაზი მიეწოდება ევროპას;
- ირან -თურქეთის გაზსადენი.

ეს ის პროექტებია, რომლის განხორციელების შემთხვევაში თურქეთი არ იქნება მხოლოდ ენერგოტრანზიტორი ქვეყანა და იგი იქცევა მსოფლიო პოლიტიკაში რესურსების გამანაწილებელ სერიოზულ მოთამაშედ. მის ხელში გადავა ევროპის ქვეყნების ენერგო უსაფრთხოების ერთ-ერთი გასადები, რითაც თურქეთის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.

თურქეთის „ახალი შესაძლებლობები“ ფუნდამენტურად შეცვლის სამხრეთ კავკასიის და ევრაზიის პოლიტიკურ არქიტექტურას.

დასკვნა

არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, საარქივო დოკუმენტები, ექსპერტ-პოლიტოლოგთა და პოლიტიკოსთა შეფასებები, მათი შესწავლა და ერთმანეთთან შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები, რითაც თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობა 90-იან წლებში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ანკარის კავკასიური პოლიტიკა მდგომარეობდა შემდეგში: „ნულოვანი დამაბულობა“ მეზობლებთან, რაც მეზობელ ქვეყნების პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერებას და ეკონომიკური გარემოს განვითარებაში დახმარებას გულისხმობდა. თურქეთისათვის ეს რეგიონი ისტორიულად მნიშვნელოვანი იყო და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ანკარას საშუალება მიეცა თავისი ინტერესები გაემყდარებინა რეგიონის მიმართ. თურქეთის ძალისხმევა იმთავითვე მიმართული იყო რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობდა კავკასიის ქვეყნების თურქეთთან დაახლოებას. რაც გაზრდიდა თურქეთის გავლენას ამავე რეგიონზე. ამით თურქეთი თავიდან აიცილებდა მესამე ძალის ჩარევას სამხრეთ კავკასიის რეგიონში და წამყვან ძალად მოგვევლინებოდა, ხოლო სტაბილური სამხრეთ კავკასია, მისი საგარეო პოლიტიკის გამარჯვებად ჩაითვლებოდა. აქედან გამომდინარე, თურქეთი ნაბიჯ-ნაბიჯ შეუდგა ახლადწარმოქმნილ სამხრეთ კავკასიურ ქვეყნებთან დიპლომატიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში (XIX საუკუნის დასაწყისიდან სამხრეთ კავკასია მოექცა რუსეთის გავლენის ქვეშ) საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი წარმოადგენდნენ რუსეთის იმპერიის ბუფერულ ზონას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ძირეულად შეიცვალა რეგიონში გეოპოლიტიკური სურათი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე

დაიწყეს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება, რომლის მიზანი იყო რუსეთის გავლენის სფეროდან გათავისუფლება. მათ ამაში აქტიური მხარდაჭერა თურქეთმა გამოუცხადა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ ანკარამ მაშინვე აღიარა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა მათ შორის სომხეთის, მიუხედავად ამ ორ ქვეყანას შორის ზემოთ აღნიშნული კონფლიქტისა და ხელი შეუწყო რეგიონში სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს შექმნას.

პირველი ნაბიჯები, რომელიც რეგიონის სტაბილურობასა და მის უსაფრთხოებას ემსახურებოდა და რომელიც ასევე წარმოადგენდა რუსეთის პოლიტიკურ მარცხს კავკასიაში, იყო კასპიის ზღვის ენერგო რესურსები და მათი ტრანსპორტირება აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ხაზით. რუსეთის ჩამოშორება ენერგოპროექტებიდან აშშ-ის მთავარი ამოცანაც იყო. ასევე ერთ-ერთ ამოცანად რჩებოდა, ირანის გავლენის შემცირება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე. ამ გარემოებებით მშვენივრად ისარგებლა თურქეთმა და რეგიონში ის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა.

თურქეთი გახდა საქართველოს და აზერბაიჯანის მთავარი ეკონომიკური პარტნიორი. საქართველოში ის პირველ ადგილზეა ბიზნეს ინვესტიციებით. ჩვენს მიერ მოძიებული მასალებისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თურქეთმა XX საუკუნის მიწურულს, სწორი და საფუძვლიანი პოლიტიკის საშუალებით შეძლო სამხრეთ კავკასიაში გავლენების მოპოვება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა შეძლო დაბრუნებულიყო რეგიონში, როგორც ანგარიშგასაწევი ძალა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეგიონის შემდგომი განვითარების განსაზღვრაში.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული თურქეთის სტრატეგიული დამოკიდებულება კავკასიის რეგიონის მიმართ არ შეცვლილა, პირიქით, უფრო გაძლიერდა, ის ენერგოდერეფნების ამოქმედებით (ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი), ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო დამა-

კავშირებელი ხაზის მშენებლობით, სამხედრო თანამშრომლობის დაწყებით და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხელშეკრულებებით დაგვირგვინდა.

თურქეთმა XX საუკუნის მიწურულს აქტიური პოლიტიკის წყალობით მიაღწია რეგიონში მნიშვნელოვანი მოთამაშის სტატუსს და დასავლეთისათვის სტრატეგიული პარტნიორის იმიჯიც მოიხრგო. თურქეთის მნიშვნელობა დასავლეთისათვის განსაკუთრებით გამოიხატა შემდეგში: თურქეთი გარკვეულწილად გახდა დამაკავშირებელი ხიდი ენერგო რესურსების მომპოვებელ ქვეყნებსა (კასპიის ზღვის ქვეყნები) და ენერგომომხმარებელ ქვეყნებს შორის (დასავლეთ ევროპის ქვეყნები). ყოველივე ამან კი გამოიწვია რუსეთის გავლენის შეუსუსტება საქართველოზე და აზერბაიჯანზე. რაც შეეხება საქართველოს და აზერბაიჯანს, ისინი არსებული პოლიტიკური კავშირებით და ეკონომიკურ პროექტებში ჩართულობით ცდილობენ რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლას, თუმცა არსებული კავშირები არ აღმოჩნდა საკმარისი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციისაგან თავის დახსნისათვის, რომლის უმთავრეს კოზირს, რეგიონში გავლენის შენარჩუნებისთვის ეთნიკური (აფხაზეთი და ოსეთი) და ეროვნული (სომხეთ-აზერბაიჯანის) კონფლიქტების ხელშეწყობა წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად ასევე გვევლინება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა, არაერთგვაროვანი პოლიტიკა, აზერბაიჯანი, რომელიც წარმოადგენს პროთურქულ ქვეყანას და ასევე ცდილობს შეინარჩუნოს კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან, სომხეთი, რომელსაც საზღვარი აქვს ჩაკეტილი თურქეთთან და წარმოადგენს რუსეთის სატელიტს რეგიონში და საქართველო, რომლის პროდასავლური ორიენტაცია განსაკუთრებით აღიზიანებს რუსეთს, რომელსაც საქართველოს 20 % ოკუპირებული აქვს.

საქართველო, როგორც დასავლური ორიენტაციის მქონე ქვეყანა თურქეთთან მჭიდრო დიპლომატიური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებით გამოირჩევა. ანკარა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომელმაც ბოლო 30 წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სტაბილურობა და უსაფრთხოება. ეს იყო აფხაზეთის ომის დროს (1992-1993), როდესაც თურქეთმა დიდი ეკონომიკური დახმარება გაუწია საქართველოს, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, როცა თურქეთმა გამოუყო საქართველოს ფულადი დახმარება ვადამდელი არჩევნების ჩატარებაში თუ, რუსეთ-საქართველოს შორის, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც თურქეთმა პირველმა გაუწია ჰუმანიტარული დახმარება ჩვენს ქვეყანას.

სამხრეთ კავკასიის ერთადერთი ქვეყანა რომელთანაც თურქეთს არ აქვს დიპლომატიური კავშირები სომხეთია. თურქეთ-სომხეთის ურთიერთობაში დღესდღეობით სერიოზული პროგრესი არ არის, ქვეყნებს შორის ჯერ-ჯერობით ისევ ჩაკეტილია საზღვარი და მათ არ აქვთ დიპლომატიური ურთიერთობები. საწყის ეტაპზე, როდესაც თურქეთმა ერთ-ერთმა პირველმა ცნო სომხეთის დამოუკიდებლობა იყო მცდელობები დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისა, თუმცა ყარაბაღის კონფლიქტის საომარ მოქმედებებში გადასვლამ და თურქეთის მიერ აზერბაიჯანის მხარდაჭერამ, განაპირობა 1993 წელს ამ ორ ქვეყანას შორის საზღვრის ჩაკეტვა. ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთის მხარეს რუსეთის ჩართვამ, განაპირობა სომხეთის კვლავ რუსეთის ორბიტაზე დაბრუნება, რამაც სომხეთი გამოთიშა ყველა იმ მნიშვნელოვან რეგიონალურ პროექტს, რომელზეც გვექონდა საუბარი. რუსებმა ყარაბაღის ომი შესანიშნავად გამოიყენეს და 1995 წელს სომხეთში ქალაქ გიუმრში რუსული სამხედრო ბაზა გახსნეს. რითაც დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია სომხეთის მხარდაჭერაში. მიუხედავად სომხეთ-თურქეთს შორის არსებული ჩაკეტილობისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს

თურქეთ-სომხეთს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობები, რომელშიც მთავარი როლი საქართველოს აკისრია, თუმცა, ასეთი მწირი ურთიერთობები ვერ იქნება ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის აღდგენის საფუძვლები.

ჩვენს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური კავშირების აღდგენა უშუალოდ დაკავშირებულია ყარაბაღის კონფლიქტთან და აზერბაიჯანის პოზიციასთან, რამეთუ აზერბაიჯანი მტკივნეულად რეაგირებს ყველა იმ ქმედებაზე, რომელიც მიზნად ისახავს თურქეთ-სომხეთს შორის ურთიერთობის აღდგენას. ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი სომეხთა გენოციდის აღიარებასთან ერთად სწორედ აზერბაიჯანის პოზიციასა, რის გამოც ვერ მოხერხდა ციურიხის ხელშეკრულების რატიფიცირება. დღეისათვის სიტუაცია უცვლელია, თურქეთს და სომხეთს ერთმანეთთან საზღვარი ისევ ჩაკეტილი აქვთ.

თურქეთის რესპუბლიკისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყანას აზერბაიჯანი წარმოადგენს, რომელთანაც თურქეთმა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა. კულტურულად და ენობრივად ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს ენათესავება, რაც მათ ურთიერთობას კიდევ უფრო მეტ სიმყარეს სძენს. აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის მიმართულება ყარაბაღის კონფლიქტზე გადის და შესაბამისად აზერბაიჯანი ნებისმიერ სახელმწიფოსთან ურთიერთობას ამ ასპექტიდან გამომდინარე ამყარებს.

თურქეთი აქტიურად უჭერდა მხარს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას და ყარაბაღის კონფლიქტშიც საწყის ეტაპზევე აზერბაიჯანის მთავარ მოკავშირედ მოგვევლინა. ამან კიდევ უფრო გაამყარა ამ ორ მონათესავე ერს შორის არსებული კავშირები, რომელიც ასევე განმტკიცებული იქნა 1990-იანი წლების მეორე ნახევარში დაწყებული ენერგოპროექტებით.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი წარმოადგენს დსთ-ს წევრ ქვეყანას და კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს რუსეთის ფედერაციასთან, არსებულ რეალობაში რუსეთის გავლენის სფეროდან გამოყვანაში მისთვის მთავარ პარტნიორად მაინც თურქეთი მოიაზრება. რომელთანაც აქვს მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირები.

„ცივი ომის“ დასრულების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთმა გამოიყენა დრო და მოახერხა თავისი გავლენის გავრცელება კავკასიის ორ სახელმწიფოზე (საქართველოზე და აზერბაიჯანზე), რაც გახდა საწინდარი რუსეთის გავლენის შემცირებისა, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის მესამე ქვეყანა სომხეთი, რუსეთის მოკავშირეა, ეს ვერ უშლის ხელს თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის მჭიდრო თანამშრომლობას და თურქეთის გავლენის გაზრდას რეგიონზე, რომელიც საბოლოოდ სამხრეთ კავკასიაში ლიდერის როლის მორგებას ეცდება.

თურქეთი მსოფლიოში სამხედრო სიძლიერით წამყვან ადგილს იკავებს, აქვს უახლესი შეიარაღება და მისთვის უმთავრეს გამოწვევას ქვეყნის უსაფრთხოება წარმოადგენს. თურქეთისათვის ასევე მნიშვნელოვანია ენერგოდერეფნის უსაფრთხოება, რომელიც მას დამატებით შემოსავალს და საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვან როლს ანიჭებს. თურქეთი მნიშვნელოვანია ევროპისათვის, რადგან ევროპამ არაერთხელ იწვნია რუსული ენერგოპოლიტიკის სიმკაცრე, როცა რამდენჯერმე მოხდა რუსეთის მხრიდან ფასების მატება და ენერგორესურსების ტრანსპორტირების შეწყვეტა. ენერგოპოლიტიკის დივერსიფიცირებამ და თურქეთზე გატარებამ, ანკარას საშუალება მისცა რუსული გავლენა შეესუსტებინა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე.

ამრიგად, არამარტო რეგიონისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის იქნება მნიშვნელოვანი დღევანდელ გეოპოლიტიკურ არეალში თურქეთის საბოლოო ადგილის დადგენა. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთმა არ გადადგა სერიოზული

გეოპოლიტიკური ნაბიჯები ევრაზიულობისკენ, რაც დამღუპველი იქნება, თურქეთის დემოკრატიული პოლიტიკისა და ღირებულებებისათვის, ისევე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის და თუ ანკარამ თავისი ძველი გეოპოლიტიკური კურსის მოკავშირეები შეინარჩუნა, მაშინ ეს იქნება უკვე აბსოლუტურად ახალი შესაძლებლობებისა და პერსპექტიული ინიციატივების ხანა, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის, ისე რეგიონის ისეთი პატარა ქვეყნებისათვის, როგორცაა სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი.

ბიბლიოგრაფია და წყაროები:

წყაროები:

1. დეკლარაცია საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და სოლიდარობის შესახებ. ანკარა, 13 იანვარი 1994 წელი;
2. ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ. ქ. თბილისი, 30.07.92;
3. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში და სავიზო შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის. ქ. ანკარა, 04.04.96;
4. საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 1996 წლის 4 აპრილის სავიზო შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. 2005 წლის 5 დეკემბერი;
5. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, [http://www.nsc.gov.ge / files/files/National%20Security%20Concept.pdf](http://www.nsc.gov.ge/files/files/National%20Security%20Concept.pdf);
6. არსის ხელშეკრულება „Договор о дружбе между Армянской ССР, Азербайджанской ССР и Грузинской ССР, с одной стороны, и Турцией - с другой, заключенный при участии РСФСР в Карсе 13 октября 1921 г. www.amsi.ge;

გამოყენებული ლიტერატურა:

7. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები. თბილისი, 2000;
8. ბატიაშვილი ზ., ცნობარი თურქეთზე, საქართველოს სტრატეგიული კვლევების ცენტრი. ბიულეტენი, №23, თბილისი, 1999;

9. ბუეზინსკი ზ., დიდი საჭადრაკო დაფა. ნიუ-იორკი, 1997;
10. გაბადაძე ბ., საქართველო და ევროპული ენერგომატარებლები. თბილისი, 2012;
11. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი (სივრცე, ხალხი და პოლიტიკა). თბილისი, 2003;
12. გეგეშიძე ა., გეოპოლიტიკა. თბილისი, 1998;
13. გრიგალაშვილი, ს., თურქეთი თანამედროვე რეგიონალურ პოლიტიკაში. თბილისი, 2009;
14. გორგილაძე ი., გეოპოლიტიკის საფუძვლები, თბილისი, 2009;
15. გორგილაძე ი., თურქეთის ტრანსკასპიური პოლიტიკა. ბსუ „საისტორიო მაცნე“. XVIII. გამომცემლობა „მთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ბათუმი, 2005;
16. გორგილაძე ი., ზოგიერთი მოსაზრება კასპიის ზღვის (ტბის) სტატუსის ირგვლივ. ბსუ „სოციალურ მეცნიერებათა საკითხები“, III. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2009;
17. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები. ბათუმი, 2000;
18. მაკარაძე ე., ნატო და კვიპროსის პრობლემა. თბილისი 1989;
19. მაკარაძე ე., სამხრეთ კავკასიის საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში თანამედროვე ეტაპზე, სამხრეთ კავკასია: რეგიონალური თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები. ბათუმი, 2010.
20. მაკარაძე ე., გოგიტიძე მ., კვიპროსის საკითხი აღმოსავლურ პოლიტიკაში. ბათუმი, 2000;
21. მაკარაძე ე., თურქეთის საშინაო პოლიტიკა 1980-2012 წლებში. ბათუმი, 2012;
22. მაკარაძე ე., თურქეთის საგარე პოლიტიკა 2003-2018. ბათუმი, 2018;
23. მაკარაძე ე., თურქეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკა კავკასიის გარშემო I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შრომათა კრებული, თბილისი, 2010;

24. მენტეშაშვილი ზ., ახლო და შუა აღმოსავლეთი XX საუკუნის 90-იან წლებში. ახლო და შუა აღმოსავლეთი ტ. I თბილისი, 2002;
25. მენტეშაშვილი ზ., საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია XXI საუკუნეში, საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია ტ 1. თბილისი, 2004;
26. მენტეშაშვილი ალ., კავკასიისა და ცენტრალური აზიის როლი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში, თბილისი, 2000;
27. სურგულაძე აბ., საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობის ისტორიისთვის, ბათუმი, 1997;
28. სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი., ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან. თბილისი, 2011;
29. ჭიღვარია გ., თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იან წლებში. თბილისი, 2014;
30. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია. თბილისი, 2000;
31. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია. თბილისი, 2007;
32. კომახიძე ნ., მეზობელი კარისაო. საქართველო-თურქეთის ურთიერთობის თვისობრივად ახალი ეტაპი. თბილისი, 2000;
33. მანჩხაშვილი მ., რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები სამხრეთ კავკასიაში, სამხრეთ კავკასია: რეგიონული თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები, ბათუმი, 2014;
34. მანჩხაშვილი მ., თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008, თბილისი. 2014
35. თურქეთის კავკასიური პოლიტიკის შესახებ თანამედროვე ეტაპზე, ორიენტალისტული ძიებანი, ტ.5. თბილისი, 1996;
36. პაპავა ლ., რუსეთ-თურქეთის ინტერესები კავკასიაში. თბილისი, 2016;
37. კომახია ვ., თურქეთის კავკასიური პოლიტიკა. თბილისი, 2017.
38. ჩიტიძე ნ., გეოპოლიტიკა. თბილისი, 2008;

39. ხოზრევანძე ლ., „თურქეთის საგარეო პოლიტიკის ასპექტები“. თბილისი, 2019;
40. Akçam T., İnsan haklar ve Ermeni sorunu: İhtihat ve Terakki'nden Kurtuluş Sava'ına, İstanbul, 1999;
41. Ali Baci., Çağda kavramlar ve düzenler. İstanbul,1993;
42. Ali baci., Türk dış politikası İstanbul, 2017;
43. Brown J.F., Türkiye'nin yeni jeopolitik konumu, İstanbul, 2000;
44. Davutoğlu A., Stratejik derinlik, İstanbul, 2001;
45. Doğan N., Kula F. M., Türkiye'nin jeoekonomisi ve jeopolitikası, Türkiye geleceğin neresinde? Ankara, 2007;
46. Korkmaz T., Ankara Washington hattı, Amerikan iktidarının sonu, İstanbul, 2007;
47. Oran B., Türk dış politikası, Cilt 1, İstanbul, 2002;
48. Oran B., Türk dış politikası, Cilt 2, İstanbul, 2002;
49. Tavkul U., Etnik Çatışmaların gölgesinde Kafkasiya, İstanbul, 2002;
50. Yanar S., Türk Rus ilişkilerinde gizli güç: Kavkasiya, İstanbul, 2002;
51. Uğur M., Avrupa Birliği ve Türkiye, İstanbul, 2000;
52. Akçam T., Dialogue across an international divide: Essays towards a Turkish-Armenian dialogue, Zorlayan Institute, 2001;
53. Ahmad F., The making of Modern Turkey, London, 1993;
54. Brzezinski Z., The Grand Chessboard, New York, 2004;
55. Demirkıran V., The Role of Turkey in International Energy Projects. İzmir, 2011;
56. Гаджиев К.С., Геополитика, Москва, 1997;
57. Нартов Н. А., Геополитика, Москва, 2002;
58. Дугин А., Проект Евразия, Москва, 2008;

ინტერნეტ რესურსები:

59. ნატა დუმბაძე. ოქტომბერი 2017. „მთიანი ყარაბაღი“. მოძიებულია 5 მარტი, 2018, <https://konpliqtebi2017.wordpress.com/>;
60. ww.mfa.gov.ge;
61. www.nplg.gov.ge;
62. თურქეთ-აზერბაიჯანის თანამშრომლობა ღრმავდება. 21 მარტი, 2012. მოძიებულია 10 მაისი 2018. <http://www.amerikiskhma.com/a/turkey--azerbaijan-cooperation-143756036/1209963.html>;
63. ლარისა პატარაია . „ევრაზიული კავშირი“ და საქართველო“. მაისი. 2011. მოძიებულია, 9 აპრილი, 2018, for.ge;
64. RUSYA FEDERASYONU ENERJİ STRATEJİSİ: DIŞ İLİŞKİLERDE BİR EKONOMİK VE SİYASİ BASKI ARACI MI? ივნისი, 2013, მოძიებულია 10 მარტი, 2018, <http://politikaakademisi.org/rusya-federasyonu-enerji-stratejisi-dis-iliskilerde-bir-ekonomik-ve-siyasi-baski-araci-mi/>;
65. მამუკა კომახია. თურქეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში, პოლიტიკური ანგარიში. 2010. მოძიებულია 4 მარტი 2018. www.nplg.gov.ge;
66. „ევროპა რუსული გაზისგან “ხუთვას” თავს აღწევს“. ოქტომბერი, 2012. მოძიებულია 17 მარტი 2018, <http://news.ge/ge/news/story/3744-evropis-energopolitikashi-gardatexaa-mosalodneli>;
67. რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტი. ”ნაბუქო – მითი თუ რეალობა,” 21 ივნისი 2011. მოძიებულია, 16 მაისი 2018. <http://www.presa.ge/new/?m=politics&AID=7205>;
68. რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტი “საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია – რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკის ჭრილში, 14 აპრილი

- 2011”. მოძიებულია, 13 აპრილი 2018. <http://presa.ge/new/i.php?m=politics&AID=4379>;
69. ჩიტაღაძე ანა, თურქეთის „ახალი შესაძლებლობები“ სამხრეთ კავკასიაში. 9 ივნისი, 2016 წელი. <http://jeanspolitics.wordpress.com/2016/06/09/%E1%83%91/>;
70. მჭედლიშვილი ირაკლი. კავკასიაში გეოპოლიტიკურ ძალთა გადანაწილების შესახებ. 9 ივნისი, 2016 წელი. მოძიებულია 5 მარტი, 2018. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=66.5> ;
71. ჯი-ეიზ-ენი, რუსეთი და თურქეთი სამხრეთ კავკასიაში. მოძიებულია, 9 ივნისი, 2016 წელი, <http://ghn.ge/news-61139.html> ;
72. სურმავა თეონა, თურქეთის ევროკავშირთან ურთიერთობა და რეგიონული ლიდერობა. 9 მარტი, 2013 წელი. მოძიებულია 5 მარტი, 2018, <http://ydcgblog.blogspot.com/2013/03/blog-post.html>.;
73. დვალიშვილი თინათინ, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური თამაშები, 04.03.2010. მოძიებულია, 9 ივნისი, 2016 წელი. <http://azrebi.ge/index.php?pid=1044> ;
74. თურქეთის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ და საქართველო. 2017/05/22. მოძიებულია 2 თებერვალი 2018 წელი, <http://nationalview.wordpress.com/> ;
75. აბაშიძე მანანა, „თურქეთი საგარეო პოლიტიკის კურსს იცვლის?“, 9 ივნისი, 2016 წელი, <http://internet.ge/v3-0/index.php?action=news&category=3&news=62826>;
76. კობახიძე ვლადიმერი, ევრაზიის საკითხი მსოფლიო პოლიტიკაში და მისი მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიისთვის. 2013 წელი. მოძიებულია 9 ივნისი, 2018 წელი <http://www.academia.edu/4595601/>;
77. კუჭუხიძე ვასო, თურქულ-ქართული ინტერესები. 12 მაისი 2013, მოძიებულია 8 მარტი, 2018 წელი <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/114193/>;
78. ემილა სულეიმანოვი, იოზეფ კრაუსი, ძველი და ახალი ინტერესები. ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში 6 თებერვალი, 2018. მოძიებულია, 14 ივლისი

2018 წელი, <https://ge.boell.org/ka/2018/02/06/zveli-da-axali-interesebi-iranis-politika-samxret-kavkasiashi>.